A3
სპეცსამსახურები B4-B5
ფოტოკონკურსი B8

www.24hours.ge
# 24 საათი
ყოველდღიური
© გაზეთი 24 საათი
შაბათი, 10 დეკემბერი, 2002 წელი. №191
ფასი 50 თეთრი

### პოლიტიკა

**პორტოს სამიტის შედეგებით რუსები კმაყოფილები არიან**

*ქალაქ პორტოში ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ეუთო-ს ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭოს მეათე სხდომა. მის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს დელეგაცია, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, დავით აფციაურის ხელმძღვანელობით. მინისტერიალზე მიიღეს ქარტია, სახელწოდებით "ეუთო-ს სტრატეგია XXI საუკუნეში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის წინააღმდეგ მიმართული ახალი მუქარის გასაუვნებელყოფად".*

A3

### უცხოეთი

**ევროკავშირი კოპენჰაგენის სამიტს პრობლემებით დახუნძლული ეგებება**

*იმის მიუხედავად, რომ ათი სახელმწიფოს ევროკავშირის კოპენჰაგენის სამიტზე გაწევრიანება კარგა ხნის წინ გადაწყდა, მომავალ წევრებთან ყველა დეტალი საბოლოოდ ჯერ არ შეუთანხმებიათ. თურქეთის ბედი კი კვლავ გაურკვეველია.*

A4

### ეკონომიკა

**სასამართლომ ირიბარენი და მოლაშვილი დაჰკითხა**

საკონსტიტუციო სასამართლოში ლეიბორისტების მიერ შეტანილი სარჩელის განხილვა მიმდინარეობს. ლეიბორისტები მთავრობას - "თელასის" უკანონო პრივატიზებაში, სემეკს – ტარიფის უკანონო გაზრდაში, ხოლო კომპანია "ეი-ი-ესს" – გამრიცხველიანების პროცესის დაგვიანებაში ადანაშაულებენ.

A6

### სამართალი

**მოსკოვში ექსტრადირებული ყარაჩაელი ტერორისტი ლეფორტოვოში დააკავეს**

რუსეთის ფედერალური საგამოძიებო ბიუროს საგამოძიებო იზოლატორში – ლეფორტოვოს ციხეში გუშინ გფბ-ს თანამშრომლებმა ტერორისტობაში ბრალდებული იუსუფ კრიმშამხალოვის დაკითხვა დაიწყეს.

A7

### საზოგადოება

**არასრულწლოვანთა დანაშაული ადეკვატური რეაქციაა, მაგრამ ისჯება**

*არასრულწლოვანის ციხეში მოხვედრა უფრო დრამაა. ტრაგედია მერე იწყება, ციხიდან გამოსვლის შემდეგ, როცა სასჯელმოხდილს არ იღებს სამყარო, რომელმაც ის დანაშაულამდე მიიყვანა.*

A8

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 0 | ❄ |
| ქუთაისი | 7 | წვიმა |
| ბათუმი | 8 | წვიმა |
| სოხუმი | 5 | ❄ |
| ფოთი | 8 | წვიმა |
| თელავი | -2 | ❄ |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1651 |
| ევრო | 2.1046 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3666 |
| რუბლი | 0.0687 |

# არასამთავრობო სექტორი ცესკო-ს წინააღმდეგ



იური მეჩითოვის ფოტო

*ცესკო-მ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მისთვის პოლიტიკური ვაჭრობები კანონზე მაღლა დგას.*

*გუშინ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, რვა ხმით ხუთის წინააღმდეგ, რუსთავის მაჟორიტარული არჩევნები გამართულად ცნო. ამ გადაწყვეტილებით იგი სავსებით დაეთანხმა რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის ოქმის შინაარსს, რომლის თანახმად 30 ნოემბერს კენჭისყრაში მონაწილეობა ამომრჩეველთა 34 პროცენტზე მეტმა მიიღო და უმრავლესობამ საკუთარ მაჟორიტარად დამოუკიდებელი კანდიდატი როლანდ მგალობლიშვილი აირჩია.*
*ცესკო-ს ეს გადაწყვეტილება "უპრეცედენტო ცინიზმად" შეაფასეს იმ არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა (მათ შორის იყვნენ: "სამართლიანი არჩევნები", "NDI", "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია"), რომლებიც რუსთავის არჩევნებში დამკვირვებლების სტატუსით მონაწილეობდნენ. უახლოეს ორ დღეში ისინი ცესკო-ს გადაწყვეტილებას უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრებენ.*

თამარ მჭედლიშვილი

ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება აშკარად პოლიტიკური მოტივაციით იყო განპირობებული, რადგან შინაურულ საუბრებში ცესკო-ს ყველა წევრი ადასტურებდა, რომ რუსთავში არჩევნები არ შედგა. ამის მიუხედავად, გუშინ, საკმაოდ ხანგრძლივი ბჭობისა და კამათის შემდეგ, კომისიამ არ გააუქმა რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება, რითიც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მისი ყოველი ნაბიჯი პოლიტიკური ვაჭრობა-გარიგებების შედეგია.

როგორც წესი, ვაჭრობის პროცესი და ფასი გარეშე თვალისთვის ყოველთვის დაფარულია, მაგრამ მისი შედეგი ყველასთვის თვალში საცემია. ასე მოხდა გუშინაც, როდესაც ცესკო-მ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მისთვის პოლიტიკური ვაჭრობები კანონზე მაღლა დგას.

გაგრძელება A2 გვერდზე

## ვინ მართავს ქვეყანას

**პასუხი კითხვაზე: არის თუ არა დემოკრატია საქართველოში?**

ია ანთაძე
რადიო "თავისუფლება"
სპეციალურად "24 საათისთვის"!

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლების ყველაზე სტაბილური მაჩვენებელია დაპირისპირება საკანონმდებლო და აღმასრულებელ შტოებს შორის.

1998 წლის ზაფხულში მოქალაქეთა კავშირის რეფორმატორთა გუნდმა პირველად საჯაროდ მოითხოვა კონსტიტუციური წესრიგის შეცვლა, მინისტრთა კაბინეტისა და პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტის შემოღება და აღმასრულებელი ხელისუფლების დაკომპლექტება არჩევნებში გამარჯვებული პარტიის ძალებით.

ბოლო ოთხი წლის მანძილზე პარლამენტიც შეიცვალა, არჩევნებში გამარჯვებული პარტიის შიგნით ძალთა ბალანსიც სრულად დაირღვა, მთავრობაც არაერთხელ დამტკიცდა, მაგრამ დაპირისპირება საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის არ აღმოფხვრილა. პირიქით, პარლამენტსა და მთავრობას შორის, პარლამენტსა და სახელმწიფო კანცელარიას შორის კონფლიქტი კიდევ მეტად გამწვავდა და ქართული პოლიტიკის მთავარ მოვლენად, მთავარ მამოძრავებელ ძალად იქცა.

* * *

პარლამენტი და მთავრობა, პირველ რიგში, თავისი არსით განსხვავდება ერთმანეთისგან. არა მხოლოდ განსხვავდება, უპირისპირდება კიდეც ერთმანეთს. პარლამენტი არჩევითი ორგანოა. მისი თითოეული წევრი არჩეულია საქართველოს მოსახლეობის მიერ და ყოველი მათგანი თანასწორია. პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი პოლიტიკური ტრიბუნა და, ამასთან, დემოკრატიული სივრცე, სადაც გადაწყვეტილებები საჯარო განხილვის შემდეგ უნდა მიიღებოდეს.

გაგრძელება A2 გვერდზე

## მზე ისევ ჩრდილოეთიდან ამოვა?

*კრემლმა საქართველოს მიმართ ოფიციალური პოზიცია შეცვალა. თბილისიდან ტერორისტების ექსტრადიცია შემობრუნების წერტილად იქცა. თბილისსა და მოსკოვს შორის დაპირისპირება განელდა. კრემლის ზეწოლამ შედეგი გამოიღო - რუსი ანალიტიკოსები, რუსული პრესა და საზოგადოება დარწმუნებულია, რომ შევარდნაძემ უკან დაიხია და ეს კარგად ჩანს თბილისის მხრიდან მთელი რიგი დათმობების ფონზე.*
*ექსტრადიციის შემდეგ რჩება ძალიან ბევრი შეკითხვა, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, თუ რატომ შეიცვალა საქართველოს ხელისუფლების პოზიცია ჩეჩნებისადმი. მოსკოვის საზოგადოებრივი და პოლიტიკური წრეების წარმომადგენელთა მიერ გამოთქმული მოსაზრებებით, იქნებ ნაწილობრივ მაინც გაეცეს პასუხი ამ მთავარ შეკითხვას.*

რუსუდან ნიკურაძე
საქ.კორ.მოსკოვში

**სერგეი კოვალიოვი:**

- ძლიერ ვეჭვობ, რომ ტერორისტულ აქტებში ეჭვმიტანილი პირები რუსეთის "ფეესბეს" ზეწოლით გადმოგვცა საქართველოს ხელისუფლებამ. ასევე არ მინდა დავიჯერო, რომ საქართველოს პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ დაარღვია საკუთარი ქვეყნის კანონმდებლობა და ექსტრადაციის შესახებ. მოქმედი საერთაშორისო კანონი. მინდა შეგახსენოთ, რომ ექსტრადიციის განხორციელება შესაძლებელია ორი პირობით: პირველი - თუკი სამართლებრივი ქმედებების უფლებამოსილებათა შეზღუდვაზეა საუბარი და მეორე - ექსტრადირებულებს საშუალება უნდა მიეცეთ, სასამართლოში გაასაჩივრონ

გაგრძელება A3 გვერდზე

## ერაყში სამხედრო მოქმედებების დაწყება გავლენას იქონიებს პოლიტიკური ურთიერთობების მთელ სპექტრზე



B1

ვახო [illegible] ფოტო

*რეზო ადამია*

## „აზოტი" პრეზიდენტის ოჯახის და მოქალაქეთა კავშირის ინტერესებს შეეწირა

სოფო კვინტრაძე
გვანცა კვინიკაძე

**"იტერას" აქვს ძალზე სერიოზული ფინანსური პრობლემები. მას მთელ მსოფლიოში შეუმცირდა აქტივები და ამიტომაც სჭირდება "აზოტი" თავის ბალანსზე,"** – "გაერთიანებული დემოკრატების" ერთ-ერთმა ლიდერმა გია ბარამიძემ ამგვარი განცხადება სამი ფრაქციის ერთობლივ შეხვედრაზე გააკეთა, სადაც "გაერთიანებული დემოკრატები", "ტრადიციონალისტები" და "ნაციონალური მოძრაობა" სააქციო საზოგადოება "აზოტის" კომპანია "იტერასთვის" პირდაპირი წესით მიყიდვას აპროტესტებდნენ.

პარლამენტართა შეკითხვებს ქონების მართვის მინისტრის მოადგილე გენო მალაზონია პასუხობდა. თუმცა, მალაზონიამ ვერ შეძლო დამაჯერებელი არგუმენტების მოყვანა და, შესაბამისად, დეპუტატებს უამრავი უპასუხო შეკითხვა და საფუძვლიანი ეჭვი დაუტოვა. შეხვედრის დასაწყისშივე ბარამიძემ ცალსახად გამოაცხადა, რომ "აზოტი" პრეზიდენტის ოჯახის ინტერესებსა და "მოქალაქეთა კავშირის" წინასაარჩევნო მზადებას შეეწირა.

გაგრძელება A6 გვერდზე

## რუსეთის ხელისუფლება ჩეჩნეთის კონფლიქტის საბოლოო გადაწყვეტისთვის ემზადება

შოთა უტიაშვილი

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რუსეთი აპირებს, მიმდინარე წლის ბოლომდე დახუროს ინგუშეთის ტერიტორიაზე განლაგებული ჩეჩენ ლტოლვილთა ბანაკები და დევნილებს სამშობლოში დაბრუნება აიძულოს.

გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის პროტესტის მიუხედავად, გასულ ორშაბათს ხელისუფლებამ დახურა ქალაქ აკი-იურტში მდებარე ბანაკი ამინი, სადაც 1500-მდე დევნილი ცხოვრობდა. ათგრადუსიან ყინვაში ხელისუფლებამ ბანაკს შუქის, წყლისა და გათბობის მიწოდება შეუწყვიტა. ჩეჩნები იძულებულნი გახდნენ, საცხოვრებლად გამოუსადეგარი ბანაკი დაეტოვებინათ და, რაკი სხვაგან წასასვლელი არ ჰქონდათ, ჩეჩნეთის გზას დასდგომოდნენ.

რუსეთის ხელისუფლება ამას ნებაყოფლობით დაბრუნებას უწოდებს.

გაგრძელება A4 გვერდზე

## როგორ ხვდება საქართველო ადამიანის უფლებების დღეს 21-ე საუკუნეში

თინა ხიდაშელი

40-იანი წლების ბოლოს, როდესაც ფაშიზმის დამარცხებით ეიფორიაში მყოფი სხვადასხვა ქვეყნების დემოკრატიული ძალები ადამიანის უფლებათა დეკლარაციას იღებდნენ, ალბათ, ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე, რომ 21-ე საუკუნის დასაწყისში მსოფლიო კვლავ მსგავსი პრობლების წინაშე იდგებოდა. სამწუხაროდ, საქართველო სწორედ იმ ქვეყნების რიგში დგას, სადაც ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევების ყველაზე უფრო სასტიკი მაგალითები ყოველდღიური რეალობაა. ხელისუფლება საბჭოური შემართებით მიჰყვება ათწლეულების მანძილზე ქვეყანაში დამკვიდრებულ ტრადიციებს. ჩვენში, ადამიანის უფლებების დაცვა სახელმწიფო აპარატისათვის კვლავაც სახუმარო თემაა და ძნელად თუ მოიძებნებიან ჩინოვნიკები, რომლებიც რეალურად აცნობიერებენ ადამიანის უფლებას, არ აწამონ, არ დაუქვემდებარონ არაჰუმანურ, სასტიკ და ღირსების შემლახავ მოპყრობას, თავისუფლად გამოხატოს საკუთარი შეხედულებები, გამოხატოს საკუთარი პოლიტიკური მრწამსი თავისუფალი არჩევნების გზით, სარგებლობდეს სხვებთან თანაბარი უფლებებით და არ გახდეს დისკრიმინაციის მსხვერპლი, იცოდეს მასზე სახელმწიფო დაწესებულებებში არსებული ინფორმაცია, სარგებლობდეს ხელშეუხებლობით, სარგებლობდეს თავისუფალი გაერთიანებისა და შეკრების უფლებით და მრავალი სხვა.

გაგრძელება A8 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 უცხოეთი A5 რეკლამა A6 ეკონომიკა A7 სამართალი A8 საზოგადოება
B2 კულტურა B3 ანკეტა B4-B5 სპეცსამსახურები B6 განცხადებები B7 სპორტი B8 სხვადასხვა

## მოკლედ

**თბილისი.** ორშაბათს, ფუნქციონირება დაიწყო რუსეთ-საქართველოს საზღვარზე "ქვემო ზარამაგის" საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე, როკის გვირაბთან ახალმა საბაჟო ტერმინალმა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სოხუმის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა სერგეი შამბამ ორშაბათს განაცხადა, რომ თბილისი, გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომაში აფხაზური მხარის მონაწილეობას უფრთხის. მისი თქმით, ასეთ ვარიანტს ქართული მხარე აპროტესტებს, რის გამოც გაერო-ს უშიშროების საბჭომ 9 დეკემბერს, აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით დახურული კონსულტაციების გამართვა გადაწყვიტა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველო-რუსეთს შორის მოლაპარაკებები სამხედრო საკითხთა მთლიან კომპლექსზე, რომელიც ივლისში შეწყდა, ექსპერტთა დონეზე ოთხშაბათს, თბილისში განახლდება და ორ დღეს გასტანს.

რუსეთის საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროთა წარმომადგენლები თბილისს სამშაბათს ეწვევიან. მხარეები ბათუმში, ახალქალაქსა და გუდაუთაში დისლოცირებული რუსეთის სამხედრო ბაზების საკითხს განიხილავენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ევროსაბჭოს სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ჟან ლუი ლორანმა გუშინ პარლამენტის ვიცე-სპიკერ გიგი წერეთელთან შეხვედრისას ისაუბრა იმ ვალდებულებებზე, რომელიც საქართველოს ევროსაბჭოს წინაშე აქვს აღებული და შეუსრულებელია. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**ბაქო.** საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა აზერბაიჯანელი კოლეგა ჰეიდარ ალიევი პარიზში მიიწვია.

მიწვევა ალიევს გადაეცა ჟაკ შირაკის საპასუხო წერილის სახით მილოცვაზე, რომელიც შირაკს დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით აზერბაიჯანის პრეზიდენტმა გაუგზავნა. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**სოხუმი.** აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვლადისლავ არძინბამ ხელი მოაწერა ბრძანებულებას რესპუბლიკის ვიცე-პრემიერების დანიშვნის შესახებ. პრემიერ-მინისტრის წარდგინებით, თავდაცვის მინისტრად და მთავრობის პირველ ვიცე-პრემიერად დაინიშნა რაულ ხაჯიმბა.

ეკონომიკისა და საგარეო ეკონომიკური კავშირების მინისტრად და მთავრობის პირველ ვიცე-პრემიერად დაინიშნა რუსლან არძინბა, ვლადისლავ არძინბას ნათესავი **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** 9-11 დეკემბერს იტალიაში ჩატარდება საქართველოსა და იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროების ორმხრივი კონსულტაციების მორიგი რაუნდი. კონსულტაციებში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით აფციაური და საგარეო საქმეთა სამინისტროს პირველი ევროპული დეპარტამენტის დირექტორი ლევან ნიჟარაძე. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში არსებულ კონფლიქტებსა და ამ რეგიონებში შექმნილ მდგომარეობაზე ისაუბრეს გუშინდელ შეხვედრაზე საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრმა მალხაზ კაკაბაძემ და ევროპის საბჭოს სტრატეგიული დაგეგმარების დირექტორმა ჟან ლუი ლორანმა. საუბარი ასევე შეეხო სამშვიდობო პროცესის გააქტიურების საკითხებს და საერთაშორისო ორგანიზაციების როლს კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოგვარებისათვის. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**სოხუმი.** აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა გენადი გაგულიამ მიიღო გერმანიის ელჩი საქართველოში უვე შრამი. შეხვედრა გაცნობითი ხასიათის იყო. ქართულ-აფხაზურ კონფლიქტს მოგვარების პერსპექტივა აქვს, განაცხადა უვე შრამმა შეხვედრის დასასრულს. შრამი აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს სერგეი შამბასაც შეხვდა. **კავკას-პრესი.**

# არასამთავრობო სექტორი ცესკო-ს წინააღმდეგ

პირველი გვერდიდან

შეგახსენებთ: "24 საათმა" დაწვრილებით გააშუქა რუსთავის არჩევნების მიმდინარეობა. კენჭისყრის დღესვე ცხადი იყო, რომ იქ არჩევნები ჩაიშალა, რადგან მასში ამომრჩეველთა, დაახლოებით, 10-12-მა პროცენტმა მიიღო მონაწილეობა. საგულისხმოა ისიც, რომ 30 ნოემბერს და 1 დეკემბერს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებიც ადასტურებდნენ რუსთავის არჩევნების ჩაშლის ფაქტს.

შემდგომ კი მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება. რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისია არჩევნებს გამართულად აცხადებს და გამარჯვებულის ვინაობასაც ასახელებს. რამდენიმე დღეში იცვლება თავად ცენტრალური საარჩევნო კომისიის განწყობაც. კომისიაში არჩევნების ჩაშლის თაობაზე უკვე ხმამაღლა აღარ ლაპარაკობენ. რუსთავის საკითხი მხოლოდ კულუარული საუბრების თემა ხდება.

საგულისხმოა ისიც, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, ნებსით თუ უნებლიედ, საჩივრების განხილვის ვადები დაარღვია და ამ მოტივით, თითოეულ საჩივარზე აზრის გამოთქმისაგან თავი შეიკავა. კომისიის წევრები მხოლოდ მათ შინაარსს გაეცნენ.

გუშინ ვერც მაჟორიტარობის დანარჩენი ორი კანდიდატის – ნარგიზი გვალიასა და მურმან ომანიძის არგუმენტებმა და ვერც არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართლიანი არჩევნების" მიერ წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ ვერ "დაარწმუნა" კომისიის წევრთა უმრავლესობა, რომ კენჭისყრის დღეს ამომრჩეველთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა და საარჩევნო ურნებთან მისვლას სახლებში დარჩენა ამჯობინა.



*აქცია ცესკო-ს შენობასთან*

**"ასეთი უპრეცედენტო ცინიზმით მიღებული გადაწყვეტილებისთვის ცესკო-მ პასუხი უნდა აგოს",** – აცხადებს "სამართლიანი არჩევნების" დირექტორი ზურაბ ჭიაბერაშვილი.

**"რაც კი საქართველოში არჩევნები ჩატარებულა, რუსთავი ერთ-ერთი ყველაზე უფრო მძიმე და მოულოდნელი იყო თავისი შედეგებით. ჯერ საოლქომ და შემდგომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიებმა განუხილველად დატოვეს ასობით საჩივარი და იგნორირება გაუკეთეს იმ დარღვევებს, რაც დამკირვებლებმა აღმოაჩინეს. თავად ცესკო-ს გუშინდელი სხდომის დამოკიდებულება რუსთავის მოვლენებისადმი აბსოლუტურად არასერიოზული იყო. ცესკო-მ ამით კიდევ ერთხელ გვითხრა, რომ ის ხელშეუხებელია და როგორც უნდა, ისეთ გადაწყვეტილებას მიიღებს. და მაინც: დარწმუნებული ვარ, რომ მათ ამ გადაწყვეტილებით საკუთარ თავს განაჩენი გამოუტანეს. ჩვენ არა გვაქვს გაჩუმების უფლება. ორი მიმართულებით ვიმოქმედებთ: ვიბრძოლებთ ამ გადაწყვეტილების გასაუქმებლად სასამართლოში და შევეცდებით დავსვათ როგორც საუბნო და საოლქო, ასევე ცენტრალური საარჩევნო კომისიის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი,** - ამბობს "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წარმომადგენელი თინა ხიდაშელი.

საგულისხმოა, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის გუშინდელი სხდომა საპროტესტო აქციის ფონზე მიმდინარეობდა. "იმელის" შენობის წინ შეკრებილი რუსთაველთა ნაწილი საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებას აპროტესტებდა და ცესკო-ს არჩევნების ჩაშლილად გამოცხადებას მოუწოდებდა. მოგვიანებით აქციის მონაწილეებს როლანდ მგალობლიშვილის მხარდამჭერებმა ტრანსპარანტები დაუხიეს და ისინი ძალით დაშალეს.

და ბოლოს: დღეს ცენტრალური საარჩევნო კომისია სამტრედიისა და საბურთალოს რაიონებში ჩატარებული არჩევნების შედეგებზეც იმსჯელებს. გუშინდელის მსგავსად, დღევანდელი სხდომაც საკმაოდ დაძაბულად წარიმართება.

# ვინ მართავს ქვეყანას

პირველი გვერდიდან

როდესაც პარლამენტში არსებობს უმრავლესობა და უმცირესობა, ეს არ ნიშნავს, რომ უმრავლესობის წევრი უმცირესობის წევრს რაიმე ნიშნით აღემატება. უფრო მეტიც, ნებისმიერი ფრაქციის ლიდერი და ნებისმიერი კომიტეტის თავმჯდომარე, თვით პარლამენტის თავმჯდომარეც კი, არსებითად, ზუსტად ისეთივე დეპუტატია, როგორიც ყველა დანარჩენი. ამიტომ, საკანონმდებლო ორგანოში ყოველგვარი იერარქია და თანამდებობრივი რანგირება სიმბოლურ ხასიათს ატარებს. იმის მიუხედავად, რომ არსებობს საპარლამენტო თანამდებობები და თანამდებობის პირები; იმის მიუხედავად, რომ პარლამენტის წევრები სხვადასხვაგვარად არიან უზრუნველყოფილი სახელმწიფოს მიერ და ზოგჯერ სხვადასხვა დონის ინფორმაციაზე მიუწვდებათ ხელი, მაინც, თითოეული პარლამენტარი ხალხის წარმომადგენელია, საკუთარი თავის უფროსია (თავისუფალია) და სხვა უფროსი არ ჰყავს.

სულ სხვაგვარად ორგანიზებული სახელისუფლო სივრცეა მთავრობა. პარლამენტისგან განსხვავებით, იგი მკაცრად იერარქიულია. აღმასრულებელი ხელისუფლების პოსტებზე ადამიანები ინიშნებიან და იხსნებიან; მათ ჰყავთ უფროსები და ხელქვეითები; მათ აქვთ საქმის გაკეთების და გაფუჭების რეალური ბერკეტები; ისინი ფლობენ ძალაუფლებას და, როგორც წესი, ამ ძალაუფლების ტყვეობაში მოქცეულები, კარგავენ თავისუფლებას.

■ ■ ■

მთავრობის სხდომა და პარლამენტის სხდომა ისევე განსხვავდება ერთმანეთისგან, როგორც ცა და დედამიწა. პარლამენტის სხდომაზე "ჰორიზონტალური" წესრიგი სუფევს, მთავრობის სხდომა კი "ვერტიკალურ" წესრიგს ექვემდებარება.

ერთხელ, მთავრობის სხდომაზე, პრეზიდენტმა თავად განმარტა: პარლამენტში კამათი მიღებულია, ჩვენთან კი – არაო. საქართველოს მთავრობის სხდომებზე მართლაც არავინ კამათობს, განსაკუთრებით, იმის შემდეგ, რაც მთავრობა დატოვა მისმა ერთადერთმა მეამბოხე წევრმა – მიხეილ სააკაშვილმა. ისეთი ამაღელვებელი თემებიც კი, როგორიც არის კორუფციასთან ბრძოლა შინაგან საქმეთა ან ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სამინისტროში, უშიშროებასა თუ პროკურატურაში – ყოველგვარი კამათის, კითხვა-პასუხისა და ემოციების გარეშე მიმდინარეობს. აღმასრულებელ ვერტიკალზე, მით უმეტეს, მის წვერზე, მეამბოხეებისთვის ადგილი არ არის.

ცხადია, ეს ვითარება არ ნიშნავს, რომ მინისტრები უფრო უარესად აზროვნებენ, ვიდრე მუდმივად მოკამათე პარლამენტარები; ან ემოციების დეფიციტს განიცდიან. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ აღმასრულებელი (დანიშვნითი) ხელისუფლება თავისი არსით უფრო ავტორიტარულია, ხოლო საკანონმდებლო (არჩევითი) ხელისუფლება – უფრო დემოკრატიული.

მთავრობის სხდომა, ძირითადად, მონოტონურად და მოსაწყენად მიმდინარეობს. აქ არაფერი წყდება. ყველა საკითხი, რომელიც მთავრობის სხდომაზე "იხილება", სინამდვილეში, წინასწარ არის გადაწყვეტილი. ერთადერთი ადამიანი, ვისაც იმპროვიზაციის უფლება რჩება, სხდომის თავმჯდომარეა. დანარჩენები – მდუმარედ ელოდებიან დღის წესრიგის ამოწურვას. ეს მხოლოდ სახელმწიფოს მთავრობას არ ეხება. ამბობენ, რომ, მაგალითად, თბილისის მთავრობის პრემიერის – გიორგი შერაძის – თათბირებზე ბუზის გაფრენის ხმა ისმის. ამ თათბირების მონაწილეს, ცხადია, ყურს მოჭრის პარლამენტის სხდომაზე ერთმანეთში აჭრილი ათასნაირი ხმაური და უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მუშაობა უწესრიგოდ და ქაოსურად მოეჩვენება.

მაგრამ უცხო თვალისთვის "ქაოსად" აღქმულ ამ სინამდვილეში, გაწაფული თვალი ბევრ საინტერესოს აღმოაჩენს. თითოეული პარლამენტარის მოძრაობა, კოლეგა-პარლამენტარის მაგიდასთან მიახლოება და გადაჩურჩულებაც კი, არცთუ იშვიათად, ძვირფასი ინფორმაციის მატარებელია. არიან პარლამენტარები, რომლებიც ერთ ადგილზე ვერ ჩერდებიან და, როგორც წესი, მაგიდებს შორის დადიან. არიან სხვა კატეგორიის დეპუტატები: ისინი სულ სხედან და მათთან მოსათათბირებლად სხვები მიდიან, ცალ-ცალკე და, ზოგჯერ, ჯგუფ-ჯგუფადაც. ყველა ფრაქციაში არიან აქტიურები და პასიურები, საქმიანები და ნაკლებად საქმიანები, ბეჯითები და გამცდენები; არიან წყვილები, კროსვორდების მოყვარულები, გაბმულად ტელეფონზე მოსაუბრეები, ძილისგუდები...

საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის არსებითი სხვაობაა და მათი მუშაობის სტილს მთლიანად განსაზღვრავს მათივე არსი. შესაბამისად, ადამიანების ერთი ნაწილი პარლამენტის თავისუფალ, ჰორიზონტალურ, არჩევით სივრცეში უკეთ წარმოაჩენს საკუთარ თავს, მეორე ნაწილი კი – მთავრობის მკაცრ, დანიშვნით ვერტიკალში. ოღონდ, საქართველოს ხელისუფლების მთავარი სპეციფიკა ისაა, რომ პარლამენტში (ისევე, როგორც მთავრობაში) სხდომები ფორმალურად ტარდება და, სინამდვილეში, არაფერი წყდება.

■ ■ ■

კონსტიტუციური წესრიგის თანახმად, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას პარლამენტი განსაზღვრავს, მთავრობა ამ პოლიტიკას აღასრულებს, ხოლო პარლამენტი, როგორც ხალხის ნდობით აღჭურვილი უმაღლესი ორგანო, კონტროლს აწესებს მთავრობის მიერ პოლიტიკის აღსრულებაზე.

დღევანდელი მთავრობა უპრეცედენტოდ ერთგვაროვანია იმ თვალსაზრისით, რომ მასში, წინა წლებისგან განსხვავებით, წმინდა პოლიტიკური ფიგურები აღარ არიან. ეს ფაქტი სხვადასხვაგვარად ფასდება. ვისაც მიაჩნია, რომ მინისტრის პოსტი პოლიტიკური პოსტია, მას დღევანდელი მთავრობა კატეგორიულად არ მოსწონს; ვისთვისაც მინისტრი, პირველ რიგში, კარგი მეურნე და ორგანიზატორია, მას დღეს ნაკლები პრეტენზია უჩნდება.

სინამდვილეში, პრობლემას სულ სხვა რეალობა ქმნის. იმის შემდეგ, რაც პრეზიდენტმა საპარლამენტო უმრავლესობა დაშალა და ერთადერთ საყრდენად მთავრობა დაიტოვა, აშკარაა მცდელობა, რომ არაოფიციალურად დაკანონდეს მანამდე არსებული ვითარება: პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების ცენტრად მთავრობა ჩამოყალიბდეს და მთელმა ძალაუფლებამ თავი სახელმწიფო კანცელარიაში მოიყაროს. ეს რეალობა პირდაპირ ხელყოფს კონსტიტუციურ წესრიგს.

■ ■ ■

ერთ-ერთი მთავარი ნიშანი, რითიც საქართველოს სახელმწიფო უნდა განსხვავდებოდეს საბჭოთა საქართველოსგან, ისაა, რომ მას არ შეიძლება ჰყავდეს ნომენკლატურა – თანამდებობის პირები, რომლებიც ინიშნებიან და იხსნებიან გავლენიან ადამიანთა ვიწრო წრის რეკომენდაციებით, რომლებიც წარმართავენ ქვეყნის პოლიტიკას და სარგებლობენ განსაკუთრებული პრივილეგიებით.

დემოკრატიულ ქვეყნებში ძალაუფლება ეკუთვნის ხალხს, არადემოკრატიულ ქვეყნებში კი – ნომენკლატურას. საბჭოთა კავშირში პარტიული სკოლებისთვის სპეციალურად შექმნილი სახელმძღვანელო ("პარტიული მშენებლობა") ასე განმარტავს ამ ცნებას: "ნომენკლატურა არის ჩამონათვალი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი თანამდებობებისა, რომლებზეც კანდიდატურები წინასწარ განიხილება და მტკიცდება პარტიული კომიტეტების მიერ".

საქართველოს კონსტიტუციაში მოცემულია ჩამონათვალი იმ თანამდებობებისა, როლმებზეც კანდიდატები ინიშნებიან საპარლამენტო განხილვისა და მხარდაჭერის შემდეგ.

საბჭოთა საქართველოსგან განსხვავებით, საქართველოს სახელმწიფოში გვაქვს პარლამენტი და აღარ გვაქვს პარტიული კომიტეტები. თუმცა, ბოლო ათი წლის განმავლობაში, არც ერთი სერიოზული თანამდებობის პირი არ დანიშნულა და არც ინიშნება დახურულ კარს მიღმა, ვიწრო წრეში მიღებული გადაწყვეტილების და დასტურის გარეშე. ამიტომაც ხდება, რომ თანამდებობის პირები პასუხისმგებლობას გრძნობენ სწორედ იმ ვიწრო წრის წინაშე და არა პარლამენტის ან, მით უმეტეს, ქვეყნის მოსახლეობის წინაშე. ეს წმინდა ნომენკლატურული ცნობიერებაა.

მართალია, აღმასრულებელ ვერტიკალზე განლაგებული ნომენკლატურა საკმაოდ დათრგუნულია თათბირებსა და სხდომებზე, მაგრამ, სამაგიეროდ, გალაღებულია "თავის" თანამდებობრივ სივრცეში და, ჩვეულებრივ მოქალაქესთან შედარებით, წარმოუდგენლად ბევრი უპირატესობით სარგებლობს. საქართველოში დღემდე მიღებულია, რომ ნებისმიერი მაღალი რანგის ჩინოვნიკი - ფაქტობრივად, თანამედროვე ნომენკლატურის წარმომადგენელი - თავისი თანამდებობის შესატყვისად უნდა ცხოვრობდეს, თანამდებობის საკადრისი სახლი და აგარაკი უნდა ჰქონდეს, შესაბამისი დასვენება და კეთილდღეობა, ნადირობა და თევზაობა, ჰალსტუხი და ფეხსაცმელი. უფრო მეტიც – თანამდებობის პირს მეგობრებიც თანამდებობის შესაფერისი უნდა ჰყავდეს და ღონისძიებებსაც მხოლოდ გამორჩეულს ესწრებოდეს, ვთქვათ, თეატრალურ პრემიერებს ან საგასტროლო წარმოდგენებს.

ამგვარ ცხოვრებას, ცხადია, მყარი ფინანსური საფუძველი სჭირდება, რასაც სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს. მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ ნომენკლატურა თითქმის მთლიანად ეუფლება სახელმწიფო ძალაუფლებას, შემდეგ, მოპოვებული ბერკეტების მეშვეობით, ქვეყნის ეკონომიკას უპრობლემოდ უქვემდებარებს საკუთარ კეთილდღეობას. ეს ლოგიკურია, რადგან საქართველოში - ისევე, როგორც ყველგან - ეკონომიკის მდგომარეობას პოლიტიკური სისტემის მდგრადობა განსაზღვრავს.

ნომენკლატურის მთავარი ფუნქცია, მიზანი და ბერკეტი ისაა, რომ იგი ქვეყნის პოლიტიკურ მართვას ახორციელებს. ნომენკლატურისთვის პირველადია ძალაუფლება, საკუთრება კი მხოლოდ ძალაუფლების ბუნებრივი გაგრძელებაა.

ამიტომ, ბოლო ათწლეულის ქართული პოლიტიკის მთავარი პრობლემა სწორედ ისაა, თუ სად, რომელ სივრცეში მიიღება პოლიტიკური გადაწყვეტილებები: პარლამენტში თუ ჩაკეტილ კაბინეტებში? ღია, დემოკრატიულ გარემოში თუ გავლენიან ადამიანთა ვიწრო წრეში?

■ ■ ■

პოლიტიკური კონსერვატიზმი თუ ეკონომიკური რეფორმა? კადრების სტაბილურობა თუ ახალი სახეები? პირადი ერთგულება თუ პროფესიონალიზმი? მეტი სახელმწიფო ჩარევა (ოფიციალური ან არაოფიციალური) თუ საბაზრო ეკონომიკა? ერთი პიროვნების ირგვლივ შემოკრებილი მმართველი ელიტა თუ ხალხის მმართველობა?

ამ შეკითხვებზე პასუხი, დიდი ხანია, გაცემულია: ხელისუფლება ირჩევს ეკონომიკურ რეფორმას, ახალ სახეებს, პროფესიონალიზმს, საბაზრო ეკონომიკას და დემოკრატიას. მაგრამ წლები გადის და ამგვარი არჩევანი ვერბალურ დონეზე რჩება. საქმით კი მხოლოდ ის დასტურდება, რომ ქვეყანას მართავს ნომენკლატურა – პრივილეგირებულთა მცირე ფენა, რომელიც აწესებს სახელისუფლო წესრიგს, რომელიც წლიდან წლამდე ინარჩუნებს ძალაუფლებას და, თუ მეტისმეტად გაჭირდა, თანამდებობებს უცვლის ერთმანეთს.

ქვეყნის მართვა თანამედროვე ნომენკლატურის მეშვეობით სრულად განაპირობებს იმ რეალობას, რომ არც ერთ სფეროში არაფერი იცვლება და, განვითარების ნაცვლად, სახელმწიფო – თავისი ინსტიტუტებით - დეგრადაციას განიცდის. მაშინაც კი, როდესაც თანამდებობის პირები იცვლებიან, უცვლელი რჩება შიდა განაწესი, რომლითაც მმართველი ელიტა მოქმედებს. ეს შიდა განაწესი კი გულისხმობს ნომენკლატურის ციხე-სიმაგრის და მისი მასაზრდოებელი კორუფციული პირამიდების უცვლელად შენარჩუნებას. ამ განაწესის თანახმად, მაღალი თანამდებობის პირები კორუფციაში მონაწილეობისთვის არ ისჯებიან და თუ ვინმეს პასუხს სთხოვენ, სასჯელი უკავშირდება თამაშის წესების უგულებელყოფას და არა რაიმე სახის კანონდარღვევას ან უშუალო მონაწილეობას კორუფციაში.

■ ■ ■

ნომენკლატურის მთავარი ძალა ქვეყნის პოლიტიკური მართვაა. ამიტომ, საკმარისია, პარლამენტმა თავისი ფუნქცია შეასრულოს, რომ ნომენკლატურა თავისთავად წყვეტს არსებობას.

დემოკრატიული ამბიციის მქონე ქვეყანაში პოლიტიკური გადაწყვეტილებები უნდა იყოს საჯარო და ხელმისაწვდომი ქვეყნის მოსახლეობისთვის. რაც მთავარია, თითოეული პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელიც მიიღება პარლამენტში და რომელიც აისახება კანონში, დადგენილებაში, მიმართვასა თუ განცხადებაში, - სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფის ღია განხილვას უნდა დაექვემდებაროს.

წესით და რიგით, აღმასრულებელი ვერტიკალის საქმიანობა პარლამენტის პოლიტიკური გადაწყვეტილებების შესრულებაა. თავისთავად კი ეს ვერტიკალი აპოლიტიკურია და, ამიტომ, ნაკლებად გამჭვირვალეც არის. აღმასრულებელი ხელისუფლების მკაცრი იერარქია აუცილებელია მთავრობის საქმიანობის ეფექტიანობისთვის. პარლამენტის არსში ჩადებული თანასწორობა კი პოლიტიკის გამჭვირვალებას უზრუნველყოფს. მაგრამ ეს სახელისუფლო მოდელი, ჯერჯერობით, მხოლოდ ფურცლებზე არსებობს. პარლამენტის თავმჯდომარემ, ნინო ბურჯანაძემ, ბოლოხანს არაერთხელ აღიარა, რომ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო თავის ფუნქციას ვერ ასრულებს: იგი უარს ამბობს, შეაფასოს მთავრობის საქმიანობა ბიუჯეტის შესრულების კუთხით; მას არ შეუძლია, მიიღოს მკაფიო პოლიტიკური გადაწყვეტილებები და შემდეგ გააკონტროლოს ამ გადაწყვეტილებების შესრულება მთავრობის მიერ.

პარლამენტის თავმჯდომარის ამ აღიარების შემდეგ, განსაკუთრებულად თვალსაჩინო ხდება ის რეალობა, რომელიც საიდუმლოს არც მანამდე წარმოადგენდა: პოლიტიკური პროცესი, რომელსაც საჯარო სახე უნდა ჰქონდეს, რომელიც ღია სივრცეში უნდა მიმდინარეობდეს, სინამდვილეში, კანცელარიის დახურულ კაბინეტებშია გადატანილი. სწორედ იქ წყდება, შეიქმნება თუ არა საპარლამენტო უმრავლესობა, შეფასდება თუ არა საბიუჯეტო პროცესი, ვინ სად დაინიშნება ან არ დაინიშნება. დღეს ეს საკითხები წყდება არა თანასწორთა კამათის გზით, როგორც მიღებულია დემოკრატიულ ქვეყნებში და როგორც ამას საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს, არამედ – წყდება თანამდებობრივი იერარქიის საფუძველზე.

ასე რომ, საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის ძალაუფლების ბალანსი აშკარად დარღვეულია. მართალია, პოლიტბიურო აღარ არსებობს, მაგრამ არსებობს გავლენიან პირთა წრე, რომელიც რეალურად წარმართავს ქვეყნის პოლიტიკას. პარლამენტი უსუსურია, მაგრამ თავის მდგომარეობას არ ეგუება და დროდადრო მაინც ცდილობს დარღვეული ბალანსის აღდგენას. დღეს ეს შეუძლებელია, რადგან საპარლამენტო პოლიტიკური სპექტრი 15 ფრაქციად არის დაჩეხილი. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ როდესაც ფორმალურად უმრავლესობა არსებობდა, არსებობდა მხოლოდ იმისთვის, რომ დახურულ კაბინეტებში მიღებული გადაწყვეტილებები დაედასტურებინა, დაემოწმებინა.

ძალაუფლების ბალანსის დარღვევის თანამდევი მოვლენებია ფაქტობრივი ნომენკლატურის არსებობა, მისი მკვებავი კორუფციული პირამიდების სიმყარე და არჩევითი ორგანოების დაკნინება. ეს ბუნებრივად იწვევს საკანონმდებლო ხელისუფლების მუდმივ დაპირისპირებას აღმასრულებელ ხელისუფლებასთან. ვიდრე დარღვეული ბალანსი არ აღდგება, ვიდრე კონსტიტუციური წესრიგი არ დამყარდება და პარლამენტი რეალურად არ ჩაენაცვლება ნომენკლატურას, ხელისუფლება დარჩება ცნობიერებაგაპობილ, ანუ შიზოფრენიულ მდგომარეობაში.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# ორად გაყოფილმა საკრებულომ მთავრობის ახალი წევრები დაამტკიცა

*გუშინ საკრებულომ ქალაქის მერის ვანო ზოდელავას მიერ წარდგენილი ორი ვიცე-პრემიერი და ქალაქის მთავარი არქიტექტორი დაამტკიცა. ჯერ კიდევ დილით, კოლეგიის სხდომაზევე გამოჩნდა, რომ საკრებულო ერთსულოვანი ვერ იქნებოდა. დღის მეორე ნახევარში, კანდიდატურების განხილვისას, ლეიბორისტებმა დემონსტრაციულად დატოვეს დარბაზი. "ახალმა მემარჯვენეებმა" დემარშისტული გამოსვლებისგან თავი შეიკავეს, თუმცა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღიათ. დარჩენილი ხუთი ფრაქცია ერთსულოვანი აღმოჩნდა.*

ვერიკო თევზაძე

დღეიდან თბილისს ახალი ვიცე-პრემიერები - გიორგი კარბელაშვილი (კომუნალურ და საქალაქო მეურნეობის საკითხებში) და თემურ ქურხული (ეკონომიკის საკითხებში) ეყოლება. ქალაქის მთავარი არქიტექტორი ლოლაშვილი არც ისე უცნობმა სახემ, მთაწმინდა-კრწანისის ყოფილმა გამგებელმა ირაკლი როსტომაშვილმა შეცვალა.

კავშირგაბმულობის მინისტრის ყოფილი მოადგილე კარბელაშვილი პრესასთან საუბრისას არ მალავს, რომ იგი "ნაციონალების" მეგობარია. ირაკლი როსტომაშვილს "დემოკრატებთან" აქვს კარგი ურთიერთობა. ისანი-სამგორის ყოფილი გამგებელი ქურხული ზოდელავას კაცად აღიქმება. თუმცა, იმასაც ამბობენ, რომ მას ზურაბ ჟვანიაც სწყალობს. თავად ვიცე-პრემიერმა ჟურნალისტებს თავმომწონედ განუცხადა: არავის კაცი არ გახლავართ, მე ვარ დამოუკიდებელი პიროვნება.

კოლეგიის სხდომის შემდეგ მოლაპარაკებების დანიშვნამ არ გაჭრა. ლეიბორისტებმა და "მემარჯვენეებმა" კონსულტაციებში მონაწილეობაც კი არ მიიღეს. ფრაქცია "ლეიბორისტის" ლიდერმა გიორგი გუგავამ "24 საათთან" საუბრისას განაცხადა, რომ თბილისის მთავრობა "ნაციონალებისა" და "დემოკრატების" ვანო ზოდელავასთან ალიანსის შედეგად კომპლექტდება. **"უნდობლობაგამოცხადებული მერის მიერ წარმოდგენილ არც ერთ კანდიდატურას მხარს არ დავუჭერთ. სანამ ზოდელავასა და მის მოადგილე შერაძეს მართვის სადავეები ხელთ აქვთ, ფიგურების ჩანაცვლებით არაფერი შეიცვლება. ამის მწარე გამოცდილება აქვთ თავად იმ პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც მხარს უჭერენ ქალაქის მთავრობის ამგვარი წესით დაკომპლექტებას. ამ ძალების წარმომადგენლები საკმაოდ მაღალ თანამდებობებზე ბრძანდებოდნენ, მაგრამ იქიდან ისეთი სისწრაფით გამოიქცნენ, რომ ამერიკული "ბოინგიც" ვერ გაასწრებდათ. მათი მოტივაცია ასეთი იყო: "სანამ შევარდნაძე პრეზიდენტი იქნება, ჩვენ საქმის გაკეთების საშუალება არ გვექნება." დღეს რატომ ჰგონია ამ ხალხს, რომ ვიცე-პრემიერების დონეზე ფიგურების ჩანაცვლებით ფურორს მოახდენენ ქალაქში და განახორციელებენ იმ პროგრამებს, რომლებითაც საკრებულოში მოვიდნენ? ამ შემთხვევაში, უბრალოდ, მოხდება კადრების ჩანაცვლება იმ ძალებიდან, რომლებიც ამინდს ქმნიან საკრებულოში. ჩვენ პასუხისმგებლობას ვიხსნით და მთლიანად იმ პოლიტიკურ ძალებს ვაკისრებთ, როლებიც ზოდელავას მიერ წარდგენილ მთავრობას მხარს დაუჭერენ."** იგივე პოზიცია დააფიქსირეს ლეიბორისტებმა სხდომაზეც.

"მემარჯვენე" ლევან გაჩეჩილაძე "ნაციონალური მოძრაობის" მიმართ უკმაყოფილებას გამოთქვამს. მისი აზრით, სააკაშვილის პოლიტიკა მოკლევადიან ეფექტებზე, ანუ მომავალ, 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებზე არის გათვლილი. **"რამდენიმე დღის წინ შეხვედრა გვქონდა "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერებთან. მათ შევთავაზეთ, რომ ფორსირებული წესით გადაგვეხედა 2002 წლის ბიუჯეტისათვის, რათა გაგვეთვალისწინებინა პრობლემური საკითხები და შეგვექმნა 2003 წლის სერიოზული ჩარჩო-ბიუჯეტი. საქმის კეთება ფულიდან იწყება, ფულს უნდა მოარგო სწორი სტრუქტურა, შემდეგ უნდა აირჩიო მთავრობის ახალი შემადგენლობა",** - განუცხადა გაჩეჩილაძემ "24 საათს". მისი აზრით, კანდიდატების შერჩევა პოლიტიკური ნიშნის მიხედვით ხდება. სხდომაზე კენჭისყრის წინ მან განაცხადა: **"დარწმუნებული ვარ, რომ ძველი მუნიციპალური სტრუქტურის პირობებში მთავრობის ახალი წევრებიც იმავეს გააკეთებენ, რასაც ძველები აკეთებდნენ. ამიტომაც ჩვენი ფრაქცია პასუხისმგებლობას ვერ აიღებს."**

"ნაციონალები" ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ თუ ისინი ახალ მთავრობას არ დაამტკიცებენ, პრაქტიკულად, საქმის კეთებას ვერ შეძლებენ და საკრებულო იქცევა ადგილად, სადაც შეიძლება მხოლოდ ლამაზი განცხადებები გააკეთო. **"თუ ახალ მთავრობას არ დავაკომპლექტებთ, ეს იმას ნიშნავს, რომ იმ ხალხის ლეგიტიმაციას მოვახდენთ, რომელთაც ცოტა ხნის წინათ უნდობლობა გამოვუცხადეთ. აქედან გამომდინარე, თბილისში ვერანაირ პრობლემას ვერ მოვაგვარებთ".**

"დემოკრატი" დავით ხუციშვილის გამოსვლა მკაცრი და რადიკალური იყო: **"ლეიბორისტების საქციელი "იმათ" წისქვილზე ასხამს წყალს. გამოდის, რომ საჯაროდ გამართლდა მათი კავშირები ზოდელავასთან, ჯორბენაძესთან..."**


საკრებულოს სხდომაზე

მიხეილ სააკაშვილი მეტ თავშეკავებულობას იჩენდა. "დაბეჯითებით ძნელია იმის თქმა, ვის ვისთან აქვს კავშირი, მაგრამ ერთი რამ ცხადია: **ლეიბორისტებს აქვთ ვანო ზოდელავასთან თანამშრომლობის გამოცდილება. დღეს კი მათ სხვა გზა აირჩიეს."** დიახ, "ნაციონალებმა" და "დემოკრატებმა" ლეიბორისტებს ახლო წარსული გაუხსენეს, როცა ლეიბორისტი მუხრან მდივანი ვიცე-პრემიერი იყო და შესანიშნავად ახერხებდა ვანო ზოდელავასთან ურთიერთობას.

საკრებულოს მდივანმა, ლეიბორისტმა ზურაბ ჟვანიამ მთავრობის წევრთა კენჭისყრისას ბრიფინგი მოაწყო და განაცხადა, რომ საკრებულომ ერთსულოვნება და პრინციპულობა არ გამოიჩინა. **"საკრებულოს ზოდელავას მიერ შემოთავაზებულ კანდიდატებზე უარი რომ ეთქვა, მერის გადაყენებას მოვახერხებდით".**

მიხეილ სააკაშვილი კენჭისყრის შედეგებით უზომოდ კმაყოფილი იყო და ჟურნალისტებთან საუბრისას ჟვანიას საპირისპიროს ამტკიცებდა: **"დღეს საკრებულომ ერთსულოვნება გამოიჩინა. ამ ხალხის დამტკიცება წინწადგმული ნაბიჯია."**

უნდა ველოდოთ თუ არა მომავლისთვის სერიოზულ განხეთქილებას საკრებულოში? ლეიბორისტები გვპირდებიან, რომ ისინი ყველა ძალასთან გააგრძელებენ "თემატურ თანამშრომლობას" ამა თუ იმ საჭირბოროტო პროგრამების განხილვისას. **"სასიცოცხლო პრობლემები აუცილებლად ერთად უნდა გადავწყვიტოთ,"** – განუცხადა "24 საათს" გიორგი გუგავამ. კულუარებში უკვე დიდი ხანია საუბრობენ, რომ საკრებულოს ორი წამყვანი პოლიტიკური ძალის - "ნაციონალების" და ლეიბორისტების გზები გაიყო. ამჟამინდელ მოვლენათა ანალიზიც ცხადყოფს, რომ ისინი სხვადასხვაგვარად აპირებენ პოლიტიკური კაპიტალის დაგროვებას. "ნაციონალები" ზომიერ, შუალედურ პოზიციას ამჯობინებენ. ისინი ზოდელავასთან თანამშრომლობაზე უარს არ ამბობენ და ამით შანსს იტოვებენ, საკრებულოში მოღვაწეობის პერიოდში რაღაცის გაკეთება მოასწრონ, რათა საპარლამენტო არჩევნების წინ ელექტორატის ნდობა მოიპოვონ.

ლეიბორისტების ტაქტიკა უფრო რთული და მრავალწახნაგოვანია. ჯორბენაძე-ნათელაშვილის ფარული კავშირები სერიოზულ ვერსიად რჩება. ნათელაშვილს კვლავაც აწუხებს სურვილი, ისარგებლოს ჯორბენაძის გულისწადილით; თუ მისი ხელით ზოდელავას გადააყენებენ, იგი მასაში ქულებს დააგროვებს, ხალხის გულს მოიგებს. მეორეც, ლეიბორისტებმა მთავრობის დაკომპლექტებაში არმონაწილეობით დაიტოვეს კოზირი: თუ საკრებულო ჩაფლავდა, მათ პოლიტიკური პასუხისმგებლობა მოხსნილი ექნებათ და ამომრჩევლის წინაშე თავის გამართლებას ადვილად მოახერხებენ. მესამე (და მთავარი), ამბობენ, რომ ნათელაშვილი დიდი ხანია მუშაობს სააკაშვილის ჩაძირვაზე. "ნაციონალური მოძრაობის` ლიდერის რეიტინგის ზრდა ბატონი შალვას პოლიტიკურ კარიერას სერიოზულ საფრთხეს უქმნის. აქედან გამომდინარე, შრომის პარტიის ლიდერის პოლიტიკური სვლები, უპირველესად, სააკაშვილის დისკრედიტაციას ითვალისწინებს.

ლეიობორისტები თუ "ნაციონალები"? – მაინც რომელი გაიმარჯვებს ამ ორ ძალას შორის? ამას მომავალი გვიჩვენებს. თუმცა, მანამდე უპრიანი იქნება, გავიხსენოთ, რომ, პოლიტიკური თამაშის გარდა, არსებობს ამომრჩეველი, რომელმაც საკრებულო იმისთვის აირჩია, რომ მან საქმე გააკეთოს, მტკივნეული პრობლემები მოაგვაროს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქალაქის ხელისუფლება პოლიტიკურ თამაშებს არ გადაყვება და ხალხსაც მოხედავს.

## "ნაციონალურმა მოძრაობამ" ზუგდიდიდან დაიწყო

სოფო ბუკია

**"ჩვენ ზუგდიდში მოვედით იმისთვის, რომ დავრჩეთ,"** – განაცხადა "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერმა მიხეილ სააკაშვილმა ზუგდიდელ ამომრჩეველთან შეხვედრისას.

სამტრედიის არჩევნებში განცდილი მარცხის შემდეგ, "ნაციონალები" სერიოზულად ანერვიულდნენ და საპარლამენტო არჩევნების წინ რეგიონების გულის მონადირების აქტიური კამპანია წამოიწყეს. საარჩევნო სტარტი "ნაციონალებმა" ზუგდიდში აიღეს.

"ნაციონალური მოძრაობის" სიმბოლოდ ქცეულ ჯვრიან დროშასა და პარტიის ჰიმნთან ერთად, სააკაშვილმა ზუგდიდელებს სამომავლო გეგმებიც გაუზიარა.

მამა გიორგის ლოცვითა და კურთხევით საზეიმო ვითარებაში დაფუძნდა "ნაციონალური მოძრაობის" სამეგრელო-აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაცია. ორგანიზაციაში სამეგრელოს კოორდინატორი კახა არდია იქნება, აფხაზეთისა კი - ვახტანგ გამსახურდია.

კოკისპირული წვიმის მიუხედავად, კულტურის სასახლეში გამართულ შეხვედრაზე სააკაშვილის მოსასმენად რვაასამდე ზუგდიდელს არ დაეზარა მისვლა. სააკაშვილთან ერთად, ზუგდიდს სხვა გამოჩენილი "ნაციონალებიც" ეწვივნენ: კოტე კემულარია, ბესო ჯუღელი, ვანო მერაბიშვილი, ზვიად ძიძიგური, კობა დავითაშვილი...

**"შენ ყველას უყვარხარ, შვილო, გეფიცები ჩემს შვილებს და შვილიშვილებს,"** – უთხრა სააკაშვილს 79 წლის თალიკო კვარაცხელიამ.

სააკაშვილმა ზუგდიდელებს საარჩევნო დარიგებები მისცა. **"საარჩევნოდ ბევრ ფულს შემოგთავაზებენ. მჯერა, რომ თქვენს ხმებს ფულზე არ გაყიდით... "აზოტი" რომ გაიყიდა, 20 მილიონს ჯიბეში ჩაიდებენ, 8 მილიონს კი საარჩევნოდ დახარჯავენ,"** – არ ღალატობს საკუთარ ამპლუას სააკაშვილი.

"ნაციონალების" ლიდერმა ზუგდიდელები დაარწმუნა, რომ აფხაზეთის საკითხს მხოლოდ ძლიერი ეკონომიკა გადაწყვეტს და არავითარ შემთხვევაში სუსტად დაფინანსებული სახელმწიფო თავდაცვის იმედზე გაჩაღებული საომარი მოქმედებები.

წელიწადნახევრის წინ სააკაშვილი ზუგდიდელებს ამავე დარბაზში შეხვდა. მაშინ, როგორც თავად იხსენებს, მოსახლეობამ მას "მოქალაქეთა კავშირის" წევრობა უსაყვედურა. ზუგდიდელებმა წელიწადნახევრის წინ სააკაშვილს საერთო მტრის გარშემო ოპოზიციურ პარტიათა დარაზმვაც მოსთხოვეს. ამჯერად, "ნაციონალების" ლიდერი სიამაყით აცხადებს, რომ "მოქალაქეთა კავშირი" მისთვის უკვე წარსულია. სააკაშვილი ზუგდიდელებთან იმითაც ამაყობს, რომ ბლოკი "ნაციონალური მოძრაობა" თავის თავში არაერთ ოპოზიციურ პარტიას აერთიანებს.

**"ჩვენ კიდევ უფრო გავიზრდებით, მოლაპარაკებები გვაქვს "გაერთიანებულ დემოკრატებთან", "ტრადიციონალისტებთან", "ახალ მემარჯვენეებთან",** - განაცხადა ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარემ კოტე კემულარიამ.

თსუ-ს ზუგდიდის ფილიალის პედაგოგს ზეინაბ სარიას თბილისელების თეთრი შურით შურს: **"ჩვენს ქალაქსაც თქვენნაირი პატრონი რომ ჰყავდეს, ოცდაოთხსაათიან სიბნელეში არ ვისხდებით,"** – მიმართა თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს ქალბატონმა ზეინაბმა და დასძინა, რომ ქვეყანას და, მათ შორის, ზუგდიდსაც ჰალსტუხიანი ძროხები მართავენ.

კობა დავითაშვილმა ზუგდიდელებს განუმარტა, რომ საქართველოში შუქის პრივილეგია მხოლოდ დედაქალაქს აქვს: **"ედუარდ შევარდნაძე თბილისელებს შუქის გამორთვას ვერ უბედავს, რადგან იცის, ხალხი ქუჩაში გამოვა, აქციებს გამართავს და, შესაძლოა, ამ აქციებს თავად პრეზიდენტი ემსხვერპლოს. საქართველოს პრეზიდენტს თქვენი არ ეშინია და შუქსაც იმიტომ გირთავთ... საჭიროა ერთად დგომა, მიზნის მიღწევა მხოლოდ ასე შეიძლება."**

ზუგდიდელები, სააკაშვილის გამოჩენასთან ერთად, ექსცესებსაც ელოდნენ. მთავარი "ნაციონალის" უკანასკნელმა სტუმრობამ ზუგდიდში პარტიზან ბადრი ზარანდიასა და მისი მეგობრების გულისწყრომა გამოიწვია. მაშინ სააკაშვილის სამეგრელოში გამოჩენა ზარანდიას მომხრეებს ისე ეწყინათ, რომ საქმე ცემა-ტყეპამდეც კი მივიდა.

კულტურის სასახლესთან ზარანდია ამჯერადაც გამოჩნდა, თუმცა თავს არავის დასხმია, შენობასთან რამდენიმე წუთი დაჰყო, არემარეს თვალი გადაავლო და მალევე გაუჩინარდა.

"ნაციონალურ მოძრაობას" ზუგდიდში სხვა ღონისძიებებიც ჰქონდა დაგეგმილი, თუმცა, წვიმიანი ამინდის გამო, ქალაქში გასვლა ვერ მოხერხდა. "ნაციონალების" ლიდერი ზუგდიდელებს მომავალ შეხვედრამდე დაემშვიდობა.

ცნობისათვის, მდინარე ენგურის ნაპირზე გაშენებულ რაიონს ელექტროენერგია თითქმის არ მიეწოდება. საღამოს ექვსი საათისთვის ქალაქი უკუნეთში ეფლობა. შებინდებისთანავე ზუგდიდელები საკუთარ სახლებში იკეტებიან, ქალაქში არავინ გადის: უკეთეს შემთხვევაში, სიბნელეში ფეხს წამოკრავ რამეს და შეიძლება კისერიც მოიტეხო, უარეს შემთხვევაში კი, ყაჩაღები დაგესხმიან თავს. **"ჩვენი ქალაქი ერთ დიდ გვირაბს ჰგავს, სადაც არც სინათლეა და არც სხვა რამე,"** – ამბობენ ზუგდიდელები.

# პორტოს სამიტის შედეგებით რუსები კმაყოფილები არიან

*ქალაქ პორტოში ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ეუთო-ს ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭოს მეათე სხდომა. მის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს დელეგაცია, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, დავით აფციაურის ხელმძღვანელობით. მინისტერიალზე მიიღეს ქარტია, სახელწოდებით "ეუთო-ს სტრატეგია XXI საუკუნეში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის წინააღმდეგ მიმართული ახალი მუქარის გასაუვნებელყოფად".*

გიორგი ასანიშვილი

რუსული საინფორმაციო საშუალებების ცნობით, პორტოში გამართულ ღონისძიებას მოულოდნელობების გარეშე არ ჩაუვლია. ყოველდღიური "ვრემია ნოვოსტეის" მტკიცებით, ინტრიგის წამომწყები იყო აზერბაიჯანის დელეგაცია, რომელსაც არ მოეწონა შეხვედრის მასპინძლის – პორტუგალიის შეთავაზება, რომ ქარტიაში ხაზგასმით აღნიშნულიყო რუსეთისა და აშშ-ს განსაკუთრებული წვლილი "სტრატეგიის" შემუშავების საქმეში. **"საბოლოოდ, პორტუგალიამ გააკეთა "ინტერპრეტაციული განცხადება", ანუ ოქმში დააფიქსირა თავისი განსაკუთრებული აზრი, რომლითაც რუსეთისა და აშშ-ს მოღვაწეობა კიდევ უფრო რელიეფურად წარმოჩნდა",** - იუწყება რუსული გაზეთი.

მინისტერიალზე მიღებულ დოკუმენტში "თავისი განსაკუთრებული აზრი" საქართველომ და მოლდოვამაც გამოხატეს. მათ დაადანაშაულეს მოსკოვი ეუთო-ს სტამბულის სამიტის გადაწყვეტილებების დარღვევაში. კიშინიოვის ბრალდება შეეხებოდა დნესტრისპირეთიდან რუსეთის შეიარაღებული ძალების არგაყვანას, ხოლო საქართველოს დელეგაციისა - გუდაუთის სამხედრო ბაზის ფაქტობრივ არდახურვას.

რუსული გაზეთი წერს, რომ საქართველოსა და მოლდოვას ამ მცდელობებმა, მოლოდინის საწინააღმდეგოდ, უკუშედეგი გამოიღო. **"ახლა რუსეთი უკვე აღარ არის შეზღუდული კონკრეტული ვადებით: ევროპელებმა ობიექტურად მიიჩნიეს ის სირთულეები, რომელსაც მოსკოვი აღებული ვალდებულებების შესრულების საკითხში აწყდება",** - იუწყება "ვრემია ნოვოსტეი".

მინისტერიალზე სიტყვით გამოსული რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, იგორ ივანოვის გამოსვლაში განსაკუთრებული გაღიზიანება იგრძნობოდა ლონდონის პოლიციის მიერ ახმედ ზაკაევის თავდებით გათავისუფლების გამო.

**"რა მოხდებოდა, ლონდონში რომ ჩასულიყო სხვა ტერორისტი, მაგალითად, ბენ ლადენი, რომელზეც, ზაკაევის მსგავსად, საერთაშორისო ძებნაა გამოცხადებული და ეთქვა, რომ აშშ-ს სამოქალაქო ობიექტების წინააღმდეგ მიმართულ ახალ ტერაქტებს ამზადებს? როგორ მოექცეოდნენ მას? როგორც ზაკაევს? გაესაუბრებოდნენ პოლიციაში და შემდეგ ქუჩაში გაუშვებდნენ?"** - კითხულობს რუსეთის დიპლომატიის ამჟამინდელი შეფი.

ინფორმაციის ნაკლებობის გამო, პორტოს მინისტერიალის შედეგების კომენტარისგან გუშინ თავი შეიკავეს საქართველოს საგარეო პოლიტიკურ უწყებაში. საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორის კახა სიხარულიძის განცხადებით, იგი ეუთო-ს შეხვედრების ირგვლივ სრულ და ამომწურავ ინფორმაციას საზოგადოებას დღეს მიაწვდის, მანამდე კი მხოლოდ იმას დასძენს, რომ **"საქმე ნამდვილად არ არის ისე, როგორც რუსებს სურთ წარმოაჩინონ საქართველოში არსებულ ბაზებთან მიმართებაში."**

# მზე ისევ ჩრდილოეთიდან ამოვა?

პირველი გვერდიდან

ექსტრადიცია. სამწუხაროდ, არ ვფლობ ამომწურავ ინფორმაციას, თუ რა მოხდა თბილისში ამ დღეებში. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ თუ ექსტრადირებულებს წაართვეს სასამართლოში გასაჩივრების უფლება, მაშინ აშკარა დარღვევებთან გვაქვს საქმე. საინტერესოა, ამ პირების მიმართ იყო თუ არა რუსეთის გენერალური პროკურატურის სათანადო წერილი-მოთხოვნა ექსტრადიციის თაობაზე.

**- რუსეთის უმაღლესმა ხელისუფლებამ უკვე საკმაოდ მაღალი შეფასება მისცა ამ ფაქტს. როგორ გგონიათ, ამიერიდან მაინც შეწყდება საქართველოს დადანაშაულება ტერორისტების მფარველობაში?**

- რუსეთი რომ ისეთი სახელმწიფო იყოს, სადაც ექსტრადირებულთა მიმართ უზრუნველყოფილი იქნება სწრაფი და სამართლიანი სასამართლო პროცესი, ან კანონიერი განაჩენი, მაშინ შეიძლებოდა ნორმალური დასკვნები გაგვეკეთებინა. მე არ მჯერა, რომ საქართველოდან გადმოყვანილ ტერორისტებს რუსეთში ობიექტურად გაასამართლებენ. ისიც საკითხავია, ზუსტად დაასახელეს თუ არა ამჯერად საკუთარი გვარები ექსტრადირებულებმა.

დასადგენია, თუ რა სამართლებრივი საფუძველი ჰქონდა ამ ოპერატიულ ღონისძიებას. თუ ხელისუფლებამ საჭიროდ ჩათვალა მისი ჩატარება, არა მგონია, რომ აქ რაიმე დარღვევასთან გვქონდეს საქმე, მაგრამ მე მაინც ეჭვი მაქვს,რომ ეს ნორმები საქართველოში დაირღვა. გასაჩივრების უფლებას ექსტრადირებულებს არსად, არცერთ ნორმალურ ქვეყანაში არ ართმევენ.

**ასლანბეკ ასლახანოვი:**

-მერედა, ვინ გითხრათ, რომ ეს არაკაცები, ეს ბანდიტები ჩეჩენი ეროვნების მოქალაქენი არიან? რატომ აწნებებთ დაუმსახურებელ იარლიყებს ჩემს ხალხს, რომელსაც საკუთარი უბედურებაც ეყოფა? რამდენიმე არამზადამ მსოფლიოში სახელი გაგვიტეხა, რა ვქნათ ახლა, მთელი ჩეჩენი ხალხი გავწყვიტოთ? ვინ გითხრათ, რომ თბილისიდან გადმოცემული ბანდიტები ჩეჩნები არიან? ეს არაკაცი იუსუფ კრიმშამხალოვი ყარაჩაელი ვაჰაბიტია. ესეც რომ არ იყოს, მოსკოვის ჩეჩნურ დიასპორას საქართველოს პრობლემებზე საფიქრალად არ სცალია. ისედაც ბევრი პრობლემა გვაქვს.

**- ადრე საქართველოს კრიტიკას ჩეჩენი ტერორისტების რუსეთისათვის გადაუცემლობა განაპირობებდა. რაიმე გაქვთ ექსტრადიციის საწინააღმდეგო?**

-საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ნუ ამბობენ, რომ ისინი ჩეჩნები არიან. ჩვენ ჩვენი ცოდვებიც გვეყოფა სატარებლად. მთელი ხალხი ბანდიტებში არ უნდა ჩაწერონ. როგორც კი ვინმე სადმე რამეს დაარღვევს, აუცილებლად ჩეჩენია და ალ-ქაედას წევრია? თუ ოფიციალურმა თბილისმა ბანდიტები ორი ქვეყნის კონსტიტუციის ნორმების დაცვით გადასცა, მაშინ დარღვევებზე საუბარი უადგილოა. ეს არის ნორმალური ანტიტერორისტული ოპერაცია. მე ბანდიტების ადვოკატობას არ ვაპირებ. ვინც ამ ხელობას ეწევა, მათი მისამართით მინდა ვთქვა, რომ დღეს სამართალდამცველებს მიუფურთხებიათ ჩეჩნებისათვის და მათი ადამიანური ტრაგედიისათვის. ადვოკატობა მათი პროფესიაა, მათი ხელობაა, მათი პურია და ყველაფერს გააკეთებენ ისტერიკის ასატეხად. ისინი საზღვარგარეთ ოჯახებით დასეირნობენ, მე კი საქმეს ვაკეთებ.




# რუსეთის ხელისუფლება ჩეჩნეთის კონფლიქტის საბოლოო გადაწყვეტისთვის ემზადება

პირველი გვერდიდან

ჩეჩნეთის საქმეთა მინისტრის სტანისლავ ილიასოვის განცხადებით, ჩეჩნეთში დაბრუნებულ ლტოლვილებს მთავრობა ყოველგვარ დახმარებას გაუწევს. მათ უფასოდ გადაიყვანენ და სახლებსაც გამოუყოფენ. გარდა ამისა, ყველა დაბრუნებული დევნილი დღეში ოც რუბლს (დაახლოებით, 1 ლარი და 40 თეთრი) მიიღებს.

ხელისუფლების ამ დაპირებების არავის სჯერა. ჩეჩნეთში დაბრუნებულებს, სიღატაკესთან და მინიმალური საცხოვრებელი პირობების ნაკლებობასთან ერთად, საკუთარი სიცოცხლის დასაცავადაც მოუწევთ ბრძოლა. საერთო შეფასებით, ფიზიკური უსაფრთხოება დაბრუნებულთათვის მთავარი პრობლემა იქნება. ამასთან შედარებით, შუა ზამთარში დანგრეულ სახლებში წყლის, დენისა და გათბობის გარეშე ცხოვრება მხოლოდ მსუბუქ უხერხულობად ჩანს. მაგრამ ერთადერთი ალტერნატივა ინგუშეთში დარჩენა და მიტოვებულ ფერმაში ან გაჩერებულ ქარხანაში ცხოვრებაა, რაც, ფაქტობრივად, შეუძლებელია

რუსეთის მთავრობის ამ გადაწყვეტილებას არ ეთანხმება გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი, რომლის წარმომადგენელიც აცხადებს, რომ კომისარიატი უაღრესად შეშფოთებულია დევნილი ჩეჩნების მდგომარეობით. კრის იანოვსკის თქმით, მისი სამსახური არწმუნებდა რუსეთის მთავრობას, არ დაეხურა ბანაკი, მაგრამ უშედეგოდ. გაერო-მ რუსებს შესთავაზა, რომ თავისი ხარჯებით აუშენებდა ჩეჩნებს ახალ ბანაკს, მაგრამ შედეგი არც ამას მოჰყოლია. ჩეჩენი ლტოლვილები, ძირითადად, საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციების ხარჯზე ცხოვრობენ, რომლებმაც, ბანაკებში კარვების გარდა, ელემენტარული ინფრასტრუქტურაც შექმნეს. მათ მიერ დაარსებული სკოლები და საავადმყოფოები მალე აღარავის დასჭირდება.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ფილიპ რიკერმა განაცხადა, რომ მისი მთავრობა არ იზიარებს მოსკოვის აზრს, თითქოს ამინის ბანაკიდან ლტოლვილების ნებაყოფლობითი დაბრუნება მოხდა და მომხდარს დეპორტაციად მიიჩნევს. მაგრამ დეპორტირებულთათვის ეს ვერაფერი ნუგეშია.

თავად კრემლის წარმომადგენელი ადამიანის უფლებათა საკითხებში მირონოვი აცხადებს, რომ თუ მთავრობა თავისი გეგმის განხორციელებას შეძლებს, ქვეყანაში, ადამიანის უფლებათა თვალსაზრისით, ნამდვილი კატასტროფა მოხდება.

გაერო-ს მონაცემებით, ამჟამად ინგუშეთში 130 ათასი დევნილი ცხოვრობს, მათგან ოცი ათასი ბანაკებშია განთავსებული, დანარჩენი კი ახლობლებთან აფარებს თავს.

სამწუხაროდ, აშკარაა, რომ დეპორტაციის პროცესის შეჩერება არავის ძალუძს, არც საერთაშორისო ორგანიზაციებს, არც მესამე ქვეყნებსა და არც თავად რუსეთის სამოქალაქო საზოგადოებას.

ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მომუშავე რუსული ორგანიზაციები, და მათ შორის ყველაზე ცნობილი - "მემორიალი", ამბობენ, რომ ხელისუფლებას სურს, დევნილები საერთაშორისო საზოგადოებისა და ჟურნალისტების თვალს მოარიდოს. ჩეჩნეთში, როგორც ცნობილია, არც ერთსა და არც მეორეს არ უშვებენ.

ექსპერტები კი ამტკიცებენ, რომ ხელისუფლება ჩეჩნეთში დაგეგმილი რეფერენდუმის წინ ამომრჩევლებს უყრის თავს. მოსკოვი გაზაფხულზე ჩეჩნეთის ახალი კონსტიტუციის მიღებას, შემოდგომაზე კი ახალი არჩევნების ჩატარებას აპირებს.

ექსპერტთა ერთი ნაწილი აცხადებს, რომ ვერც ახალი კონსტიტუცია და ვერც ახალი პრეზიდენტი რესპუბლიკაში რეალურად ვერაფერს შეცვლის. ამბოხებულები, ბუნებრივია, არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებენ და ისევე შეებრძოლებიან "არჩეულ" მთავრობას, როგორც აქამდე "დანიშნულს" ებრძოდნენ.

თუმცა, ბევრი მიმომხილველის აზრით, ამ ღონისძიებებით კრემლი ბევრ რამეს მიიღებს. ჯერ ერთი, მართალია, მასხადოვს ტერორიზმში ადანაშაულებენ, მაგრამ ასეა თუ ისე, იგი მაინც სავსებით ლეგიტიმურად არჩეული პრეზიდენტია. 1997 წლის არჩევნები ეუთო-ს მიერ იყო ორგანიზებული. ჩეჩნეთის სამართლებრივ სტატუსს კი ჯერჯერობით ისევ ხასავ-იურტის შეთანხმება არეგულირებს (უფრო სწორად, ვერ არეგულირებს, რადგან მაშინ იჩქერიის ოფიციალური სტატუსის გარკვევა ხუთი წლით გადაიდო). ახალი მთავრობა და კონსტიტუცია კი ამ იურიდიულ ხარვეზებს ამოავსებს. თუ რუსეთმა მართლაც მოახერხა გაზაფხულამდე დევნილების ჩეჩნეთში დაბრუნება და არჩევნებზე ომამდელი მოსახლეობის ნახევარზე მეტის დასწრება უზრუნველყო, ყველა იძულებული იქნება, არჩევნების შედეგებს ანგარიში გაუწიოს.

# რუსული დაზვერვა აქტიურდება

როგორც დაზვერვის სფეროში ყველაზე ავტორიტეტული საერთაშორისო გამოცემა Jane's Intelligence Digest იუწყება, რუსეთის სპეცსამსახურები მნიშვნელოვნად აქტიურებენ სადაზვერვო საქმიანობას ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში.

საგარეო დაზვერვის სამსახურმა ("ეს-ვე-ერი"), როგორც ამბობენ, პირდაპირ პუტინისაგან მიიღო ბრძანება, გაეზარდა საზღვარგარეთ სადაზვერვო საქმიანობის მოცულობა.

განსაკუთრებით აქტიურად "ეფ-ეს-ბე" და "ეს-ვე-ერი" საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან მუშაობენ, რომელთა გადასაბირებლადაც ხშირად ძალდატანების მეთოდს მიმართავენ.

ვიცე-პოლკოვნიკი ლიტვინენკო, რომელმაც დიდ ბრიტანეთში მოითხოვა პოლიტიკური თავშესაფარი, ჰყვება, თუ როგორ ხდება გადაბირების პროცესი: "როდესაც "ეფ-ეს-ბე" და "ეს-ვე-ერი" მორიგ მსხვერპლს შეარჩევენ, დაზვერვის ოფიცერი მიდის მასთან სახლში და "შეთანხმების მიღწევას" ცდილობს". თუ ობიექტი უარზეა, მაშინ ოფიცერი მას რუსეთში სისხლის სამართლის საქმის აღძვრით ემუქრება. თუ მუქარამ არ გაჭრა, მაშინ საქმე "იკერება" და იწყება "დამნაშავის" რუსეთში ექსტრადირების პროცესი." ჟურნალისტების ხელში უკვე რამდენიმე ასეთი საქმის მასალები აღმოჩნდა.

დაზვერვა განსაკუთრებით უცხოეთში მოღვაწე რუს ბიზნესმენებზე ნადირობს.

პუტინი, რომელიც თვითონაც დაზვერვიდან მოვიდა ხელისუფლებაში, ძველ კოლეგებზე განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს. სპეცსამსახურების ყოფილი თანამშრომლები ინიშნებიან უმაღლეს თანამდებობებზე. აქტიურდება საზღვარგარეთ მუშაობაც. Jane's Intelligence Digest-ის მონაცემებით, თუ 1991 წელს რუსეთის დაზვერვას ლონდონში ერთი თანამშრომელი ჰყავდა, ამჟამად მათი რიცხვი 33-ს აღწევს.

# "ალ ქაიდამ" კენიის ტერაქტზე პასუხისმგებლობა აიღო

საერთაშორისო ტერორისტულმა ქსელმა “ალ ქაიდამ” ცოტა ხნის წინ კენიაში ისრაელის მოქალაქეების წინააღმდეგ განხორციელებულ ტერაქტებზე ოფიციალურად აიღო პასუხისმგებლობა. კვირას ყატარში მოქმედმა ტელეკომპანია “ალ-ჯაზირამ” პირდაპირ ეთერში გადასცა “ალ ქაიდას” გავლენიანი წევრის სულეიმან აბუ ჰაითის აუდიოჩანაწერი. **“მე ვადასტურებ, რომ “ალ ქაიდას” სამხედრო საბჭოზე კენიის ქალაქ მომბასაში ებრაელთა წინააღმდეგ ორი ოპერაციის ჩატარებაზე იყო საუბარი.”**

აბუ ჰაითი აშშ-სა და დასავლეთის სხვა ქვეყნების სპეცსამსახურების მიერ იძებნება. მან თავის გამოსვლაში კვლავ გააფრთხილა დასავლეთი: **“ალაჰი იქნება მოწმე, ებრაულ-ჯვაროსნული ალიანსი თავს უსაფრთხოდ ვერ იგრძნობს. ჩვენ დარტყმებს განვახორციელებთ მათ უმთავრეს ცენტრებსა და სტრატეგიულ ობიექტებზე ჩვენს ხელთ არსებული ყველა საშუალებით.”** მან, ამასთან, ხაზი გაუსვა, რომ “ალ ქაიდას” პრიორიტეტულ ამოცანას ამ ეტაპზე ერაყის წინააღმდეგ აშშ-ს სამხედრო მოქმედების ჩაშლა წარმოადგენს.

**“აშშ-სა და მისი მოკავშირეების ერაყისა და ერაყელების წინააღმდეგ ომის მიზანი არა მარტო ჰუსეინის რეჟიმის დამხობაა, არამედ მუსულმანი ბავშვების, ქალებისა და მოხუცების დახოცვა, დიდი ქვეყნის დაშლა, მისი სიმდიდრისა და რესურსების ხელში ჩაგდება და მნიშვნელოვანი პოზიციების დაკავება არაბულ სამყაროში, რაც მათ საშუალებას მისცემს, უფრო ადვილად დაეხმარონ ოკუპანტ-ებრაელებს და მოახდინონ მათი ოცნების რეალიზება – დიადი სახელმწიფოს შექმნა ნილოსიდან ევფრატამდე,”** - განაცხადა აბუ ჰაითმა.

# ევროკავშირი კოპენჰაგენის სამიტს პრობლემებით დახუნძლული ეგებება

*იმის მიუხედავად, რომ ათი სახელმწიფოს ევროკავშირის კოპენჰაგენის სამიტზე გაწევრიანება კარგა ხნის წინ გადაწყდა, მომავალ წევრებთან ყველა დეტალი საბოლოოდ ჯერ არ შეუთანხმებიათ. თურქეთის ბედი კი კვლავ გაურკვეველია.*

რევაზ ბახტაძე

12 დეკემბერს ევროკავშირის კოპენჰაგენის სამიტი დაიწყება, რომელზეც კავშირი, სავარაუდოდ, ათ სახელმწიფოს (ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, მალტა, კვიპროსი) 2004 წლისათვის მიიწვევს გასაწევრიანებლად, ხოლო რუმინეთსა და ბულგარეთს - 2007 წლისათვის.

მართალია, კოპენჰაგენის სამიტამდე ორი დღეა დარჩენილი, მაგრამ წევრ სახელმწიფოებს ჯერაც ვერ გადაუწყვეტიათ ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები, კერძოდ, მომავალი წევრებისათვის გასაწევი ფინანსური დახმარების ოდენობა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დაცვა.

ორი თვის წინ ბრიუსელის სამიტზე ევროკავშირმა 42 მილიარდი ევრო გამოჰყო, რომელსაც ახალი წევრები 2004-2006 წლებში მიიღებენ. თუმცა, ევროკავშირის ამჟამინდელმა თავმჯდომარემ – დანიამ, დანარჩენ წევრებთან შეუთანხმებლად, ახალი წევრებისათვის დამატებით 2.45 მილიარდი ევრო გამოჰყო. დანიის ამ გადაწყვეტილებას ევროკავშირის ზოგიერთ წევრ ქვეყანაში აშკარა უკმაყოფილებით შეხვდნენ.

ფინანსური დახმარების მნიშვნელოვანი ნაწილი - 900 მილიონი ევრო ახალი წევრების საზღვრების დაცვის გასაუმჯობესებლად არის გამიზნული, 600 მილიონი კი ბირთვული უსაფრთხოებისათვის. ეს თანხა, ძირითადად, ლიტვასა და სლოვაკეთში არსებული ბირთვული რეაქტორების დახურვას მოხმარდება.

ყველაზე მეტი წინააღმდეგობა ევროკავშირის სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკას ხვდება. ევროკავშირის სოფლის მეურნეობის ბაზარი ძალიან მაღალი საბაჟო ტარიფებითა და უზარმაზარი სუბსიდიებით არის დაცული, რომელსაც ევროკავშირი წევრი სახელმწიფოების ფერმერებს ყოველწლიურად აძლევს. ევროკავშირის სუბსიდიებით კი ყველაზე მეტად საფრანგეთი და ჰოლანდია სარგებლობენ.

სწორედ მათი მეცადინეობით გადაწყდა, რომ თავდაპირველად ახალ წევრებს ევროკავშირის მიერ განსაზღვრული დახმარების 25 პროცენტს მისცემენ, ხოლო ყოველ მომდევნო წელს დახმარება 5 პროცენტით გაეზრდებათ.

აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ მომავალ წევრებში აღშფოთება გამოიწვია. უკანასკნელი დღეების განმავლობაში ჩეხეთსა და სლოვაკეთში ფართომასშტაბიანი დემონსტრაციები მოეწყო. ფერმერები გაწევრიანების პირობებს აპროტესტებდნენ. “დარწმუნებული ვარ, ევროკავშირში კარგად გამოიანგარიშეს, რომ, როდესაც სუბსიდიების სრულად გამოყოფის დრო მოვა, ჩეხეთის სოფლის მეურნეობა აღარ იარსებებს”, - აღნიშნავდნენ გაბრაზებული გლეხები.




ფაქტობრივად, ყველა სახელმწიფოში ანალოგიური განწყობაა. აღსანიშნავია, რომ ფორმალური მიწვევის შემდეგ, თითოეულმა სახელმწიფომ რეფერენდუმი უნდა ჩაატაროს. მომავალი წევრი ქვეყნების მთავრობები შიშობენ, რომ 2003 წელს დაგეგმილ რეფერენდუმებზე, შესაძლოა, მოქალაქეებმა ევროკავშირში გაწევრიანებას მხარი არ დაუჭირონ. იმ შემთხვევაში, თუ მოსახლეობის 50 პროცენტი გაწევრიანებაზე უარს იტყვის, განმეორებითი რეფერენდუმის ჩატარება მხოლოდ ორი წლის შემდეგ არის ნებადართული. ეს კი ამ სახელმწიფოების ევროკავშირში გაწევრიანებას კიდევ რამდენიმე წლით გადაავადებს.

არანაკლები პრობლემებია იმ სახელმწიფოებში, სადაც მოსახლეობა ევროკავშირში გაწევრიანებას გადაჭარბებული ენთუზიაზმით ხვდება. ბულგარეთში ჩატარებული გამოკითხვები ცხადყოფს, რომ ბულგარელთა უმრავლესობა გაწევრიანებას, ავტომატურად ცხოვრების დონის მკვეთრ გაუმჯობესებას უკავშირებს. მსგავსი ალტკინებით ხვდებიან გაწევრიანებას მეზობელ რუმინეთშიც. მიმომხილველების თქმით, რეალობამ, შესაძლოა, გულგატეხილობა და აპათია გამოიწვიოს, რაც განვითარებისათვის ხელსაყრელი ფაქტორი ნამდვილად არაა.

თუმცა, ბრიუსელის ყველაზე დიდ თავსატკივარს ახლა კვიპროსის გაერთიანება და თურქეთის გაწევრიანება წარმოადგენს. გაერო-სა და ევროკავშირის ხელმძღვანელობა მაქსიმალურ ზეწოლას ახდენს მხარეებზე, რათა მათ კოპენჰაგენის სამიტამდე ხელი მოაწერონ შეთანხმებას. გაერო-ს გენერალური მდივნის მიერ შემუშავებული გეგმის თანახმად, კვიპროსის ბერძნული და თურქული ნაწილებისაგან უნდა შეიქმნას ერთიანი სახელმწიფო, რომელსაც საერთო საგარეო და საფინანსო პოლიტიკა ექნება.

თურქეთის ხელისუფლება ცდილობს კვიპროსის თურქულ ნაწილზე გავლენის საკუთარი ინტერესებისათვის გამოყენებას. ანკარას განცხადებით, ის მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდება სამშვიდობო გეგმას, თუ კოპენჰაგენის სამიტზე თურქეთის გაწევრიანების საბოლოო თარიღიც გაირკვევა. ათწლეულების განმავლობაში თურქეთი ამაოდ ცდილობს ევროკავშირში შესვლას.

ევროკავშირის ხელმძღვანელობამ არაერთგზის განაცხადა, რომ, იმის მიუხედავად, გაერთიანდება თუ არა კვიპროსი, ისინი ბერძნულ ნაწილს კავშირის რიგებში მაინც მიიღებენ. თუმცა, ეს კონფლიქტს კიდევ უფრო გააღრმავებს და თურქეთსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობებს უკიდურესად დაძაბავს. სავარაუდოდ, ანკარა დაბლოკავს ევროკავშირის შეიარაღებული ძალების მიერ ნატო-ს სამხედრო ინფრასტრუქტურის გამოყენების პროექტს.

ამჟამად მხარეები პირობებზე, ფაქტობრივად, შეთანხმებულები არიან, თუმცა დოკუმენტზე საბოლოო ხელმოწერა კვლავ ჭიანურდება, რაც ისევ და ისევ თურქეთის პოზიციით არის განპირობებული. დღეს თურქეთის მმართველი პარტიის ლიდერი რეჯებ ერდოქანი ვაშინგტონს ეწვევა. ანალიტიკოსები დარწმუნებულები არიან, რომ თურქეთი საბოლოო გადაწყვეტილებას სწორედ თეთრ სახლთან კონსულტაციების შემდეგ მიიღებს.

შეერთებული შტატები დიდი ხნის მოკავშირის - თურქეთის გაწევრიანების გულმხურვალე მხარდამჭერია. ამერიკული დიპლომატია ყველაფერს აკეთებს, რათა ევროპულმა სახელმწიფოებმა მხარი დაუჭირონ თურქეთის გაწევრიანებას. კოპენჰაგენის სამიტზე ამერიკის მხარდაჭერა ანკარას ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს, რათა თურქეთმა ერაყის წინააღმდეგ შესაძლო ომში საკუთარი ბაზები ამერიკელებს დაუთმოს.

ექსპერტების თქმით, ერდოქანი ვაშინგტონის მხარდაჭერაზე ტყუილად არ აკეთებს აქცენტს. 1951 წელს ევროკავშირის შექმნა და მისი გაფართოების პროცესი ამერიკელთა უშუალო ჩარევით მიმდინარეობდა. ანალიტიკოსების აზრით, გაფართოების ამ ეტაპზეც ყველაზე მეტად მოგებული ისევ და ისევ შეერთებული შტატები დარჩება იმ შემთხვევაშიც კი, თუ თურქეთს კვლავ უარით გაისტუმრებენ.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები თავიანთი პროამერიკული პოლიტიკით გამოირჩევიან. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ვარშავის პაქტისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მათ უსაფრთხოების გარანტიები სწორედ შეერთებულმა შტატებმა მისცა, სანამ ისინი ნატო-ში გაწევრიანდებოდნენ, რაც ასევე ამერიკის დამსახურებაა. გარდა ამისა, ვაშინგტონის ეკონომიკური დახმარება და ამერიკული კომპანიების ინვესტიციები ამ ქვეყნების განვითარების ძირითად იმედს წარმოადგენს.

ევროპელი ექსპერტები შიშობენ, რომ ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოებისათვის ეროვნულ დამოუკიდებლობისა და იდენტურობის საკითხებს გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია. სავარაუდოდ, ისინი ფეხს არ აუწყობენ ევროკავშირის ძველ წევრებს, რომლებიც, ფაქტობრივად, ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მქონე ახალი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას ცდილობენ.

ექსპერტების აზრით, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ევროპული ზესახელმწიფოს შექმნის თაობაზე ევროპელ კონსერვატორთა ოცნებებს კარგა ხანს ახდენა არ უწერია. მათი თქმით, საუკეთესო შემთხვევაში, 21-ე საუკუნის პირველ ნახევარში ევროკავშირი წარმატებული ეკონომიკური გაერთიანების მაგალითი იქნება.

# ჯორჯ რობერტსონი: საზღვარი შიდა და გარე საფრთხეებს შორის თანდათანობით ქრება

ლევან ღირსიაშვილი

*გუშინ მოსკოვში რუსეთი-ნატოს საბჭოს ეგიდით გაიხსნა კონფერენცია სახელწოდებით: "სამხედროების როლი ტერორიზმთან ბრძოლაში". ამ ღონისძიებასთან დაკავშირებით, რუსეთის ფედერაციის დედაქალაქს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალური მდივანი ჯორჯ რობერტსონი ეწვია, რომელმაც ვიზიტის დაწყებისთანავე განაცხადა, რომ საერთაშორისო ანტიტერორისტული კოალიციის ბირთვს ნატო და რუსეთი წარმოადგენენ.*

**“სამხედროები მოწოდებულნი არიან, შეასრულონ ცენტრალური როლი ტერორიზმის წინააღმდეგ მიმდინარე საერთაშორისო კამპანიაში,”** - აღნიშნა რობერტსონმა კონფერენციაზე გამოსვლისას. თავის სიტყვაში ნატო-ს გენერალურმა მდივანმა მკაფიოდ და ნათლად ჩამოაყალიბა საერთაშორისო კოალიციაში შემავალი სამხედრო სტრუქტურების პრიორიტეტები. მისი თქმით, სამხედროებმა საკუთარ თავზე სამი უმთავრესი ფუნქციის შესრულება უნდა იტვირთონ: პირველი – ანტიტერორისტული საქმიანობა, რაც სამოქალაქო მოსახლეობის დაცვისათვის ღონისძიებების გატარებას მოიცავს; მეორე - ტერორიზმთან შებრძოლება და ტერაქტების აღკვეთა და მესამე – ტერაქტების შედეგების აღმოსაფხვრელად სამოქალაქო ხელისუფლებისათვის დახმარების გაწევა.


ჯორჯ რობერტსონი და ვლადიმერ პუტინი

**“თანამედროვე ტერორისტები ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი მშვიდობიანი მოქალაქე გაანადგურონ. ასევე თანადათან მაღლდება მათ ხელში მასობრივი განადგურების იარაღის მოხვედრის ალბათობა. ამას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ისეთი დაჯგუფებები, როგორიც “ალ ქაიდაა”, გამოიყენებენ ძალადობის ყველაზე სასტიკ მეთოდებს, რაც გამოიწვევს უდიდეს მსხვერპლს და ეკონომიკას მასტაბურ ზიანს მიაყენებს,”** - დასძინა რობერსტონმა. მან დაასახელა კიდევ ერთი მიზეზი, რაც სამხედროთა როლს და მნიშვნელობას განუზომლად ზრდის. ეს მიზეზი გახლავთ ის, რომ სახელმწიფოთათვის საგარეო და საშინაო საფრთხეებს შორის საზღვრები თანადათანობით ქრება.

სწორედ ამ საფრთხეების გათვალისწინებით, რობერტსონის თქმით, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი თავისი სტრუქტურების ფართომასშტაბიან მოდერნიზებას იწყებს და ძირითად აქცენტს საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაზე აკეთებს. თუმცა, ნატო-ს გენერალური მდივანმა აქვე დაამატა: **“ეს არ ნიშნავს იმას, რომ ნატო მსოფლიო ჟანდარმი გახდება. რაოდენ დიდი სურვილიც არ უნდა იყოს, ამ ფუნქციას ვერც ერთი ორგანიზაცია ვერ შეასრულებს.”**

რაც შეეხება ნატო-რუსეთის ურთიერთობას, ამ კავშირის გაღრმავება და გაძლიერება სწორედ საერთაშორისო ტერორიზმის საერთო საფრთხით არის განპირობებული. **“ჩვენი საერთო ამოცანაა - გადავაქციოთ რუსეთ-ნატოს კავშირი მსოფლიოს უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ახალი არქიტექტურის ინსტრუმენტად,”** - განაცხადა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა. რობერტსონმა კი აღნიშნა, რომ ტერორიზმთან ბრძოლაში რუსეთი ნატო-ს უპირველესი პარტნიორია. თუმცა, ამავდროულად, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ხელმძღვანელმა ხაზი გაუსვა რუსეთის შეიარაღებულ ძალებში სტრუქტურული რეფორმების ჩატარების აუცილებლობას. **“საჭიროა, რაც შეიძლება ცოტა წვევამდელი, რაც შეიძლება ბევრი პროფესიონალი, ცოტა ტანკი და ბევრი მაღალი სიზუსტის იარაღი,”** - განაცხადა რობერტსონმა. მან თავის რუს კოლეგებს არმიის რეფორმირების საკითხში ნატო-ს ქვეყნების გამოცდილების გაზიარება შესთავაზა. ის დარწმუნებულია, რომ რუსეთსა და ნატო-ს შორის ახალი თანამშრომლობა რუსეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის განვითარებაზე დადებითად იმოქმედებს. **“ჩვენს მიერ დაახლოებისაკენ აღებული კურსი რუსეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის კონკურენტუნარიანობას შეუწყობს ხელს. ალიანსის ტრანსფორმირება, რომელიც პრაღაში დაიწყო, არა მხოლოდ არ ემუქრება რუსეთს, არამედ მას დასავლეთთან სამხედრო-სამრეწველო სფეროში თანამშრომლობის დამატებით შესაძლებლობებს აძლევს,”** - განაცხადა რობერსტონმა. დასასრულს მან დასძინა, რომ რუსეთსა და ნატო-ს შორის თანამშრომლობა საწყის ეტაპზე იმყოფება და მალე პირველი სარგებელიც თვალსაჩინო გახდება.

# ი ყ ა ვ ი თ ს ა ზ ზ ე !

## და მოიგეთ მრავალი პრიზი ჯეოსელთან ერთად!

მიიღეთ მონაწილეობა ჯეოსელის ვიქტორინაში და მოიგეთ ყოველ კვირას: ავტომობილი ნივა, **VESTEL**-ის ფირმის ტელევიზორი, აუდიო, ვიდეო და **DVD** სისტემის მაგნიტოფონები "ელიტელექტრონიქსისაგან"* **SAMSUNG**-ისა და **NOKIA**-ს ტელეფონები, უფასო სასაუბრო დრო, ფრანგული პარფუმერია.

ვიქტორინაში მონაწილეობის მისაღებად საკმარისია:
- იყოთ ჯეოსელის აქტიური აბონენტი
- სწორად უპასუხოთ ყოველკვირეულ შეკითხვას:

# დავით აღმაშენებელმა დაარსა თბილისი?




კვირის კითხვას ჯეოსელი დაგისვამთ ტელევიზიის ("რუსთავი 2" და "პირველი არხი"), რადიოსა ("ფორტუნა", "ფორტუნა +") და გაზეთის ("24 საათის" და "ალია") საშუალებით. გამოიცნოთ სწორი პასუხიდა დაადასტუროთ თქვენი ზარით:

- კი –დარეკეთ ნომერზე 111**
- არა–დარეკეთ ნომერზე 222**

- რაც მეტჯერ დაადასტურებთ ტელეფონის ზარით თქვენს სწორ პასუხს, მით მეტია მოგების შანსი.
- 14 დეკემბრიდან 25 იანვრის ჩათვლით ყოველ შაბათს 19:30 წთ-დან "რუსთავი 2"ის პირდაპირ ეთერში შესდგება ნომრების ლოტოტრონში გათამაშება. ლოტოტრონში მოხვდება იმ აბონენტთა ნომრები, რომელთაც ზემოთ მოცემული წესით დაარეგისტრირეს სწორი პასუხი.
- ყოველკვირეულად დასაჩუქრდება 15 იღბლიანი აბონენტი პირველი გათამაშების დღეს (14 დეკემბერი) ჯეოსელის პრიზების მოგების შანსი ეძლევათ იმ აბონენტებს, რომელთა სწორი პასუხი დარეგისტრირდება 7 დეკემბრიდან 13 დეკემბრის ჩათვლით. მეორე გათამაშებაში (21 დეკემბერი) მონაწილეობას მიიღებენ ის აბონენტები, რომლებიც სწორ პასუხს დაარეგისტრირებენ 14 დეკემბრიდან 20 დეკემბრის ჩათვლით და ა.შ.
- დასაჩუქრებაში მონაწილეობის მისაღებად მობილური ტელეფონი ჩართული უნდა იყოს!
- თუ ლოტოტრონიდან ამოღებულ ნომერთან დაკავშირება შეუძლებელი იქნება, პრიზი ხელმეორედ გადათამაშდება
- პრიზი გადაეცემა იღბლიანი სიმ-ბარათის წარმომდგენს.
- დასაჩუქრებულ აბონენტს, სურვილისამებრ საჩუქრის შესაბამისი ფულადი თანხა არ გადაეცემა.
- ჯეოსელის ვიქტორინაში მონაწილეობის უფლება არ აქვთ ჯეოსელის თანამშრომლებს, დილერებს, დისტრიბუტორებსა და მათი ოჯახის წევრებს.
- პრიზების გადაცემა მოხდება ყოველი გათამაშების დღიდან არა უგვიანეს 10 დღის განმავლობაში.

ნუ გაუშვებთ ხელიდან შანსს! დარჩით ჯეოსელთან და თქვენ უთუოდ გაგიღიმებთ ფორტუნა.

# ჯ ე ო ს ე ლ ი

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ 928 ან 822 770 100

*ელიტელექტრონიქსის მაღაზიები: თბილისი, მარჯანიშვილის 19 და აღმაშენებლის 146 ბათუმი: გამსახურდიას 47, ერას 91; ქუთაისი: გრიშაშვილის 31.
**ერთი ზარის ღირებულებაა 0,288 ლარი

## 2 მილიონი ევრო ქართული კორუფციის დასაძლევად

ნინო ნარიმანიშვილი

ევროკომისია, პირველად თავისი საქმიანობის ისტორიაში, გამოყოფს თანხებს ანტიკორუფციული პროგრამების დასაფინანსებლად. საქართველოს, ანტიკორუფციული საბჭოს მიერ მომზადებული "გრძელვადიანი ანტიკორუფციული პროგრამიდან" და ქვეყანაში გამეფებული კორუფციის წყალობით, რა თქმა უნდა, გამოყოფილი ფინანსებიდან რაღაც ნაწილი შეხვდება.

საქართველოს ანტიკორუფციული პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭოს მდივანი კახა უგულავა ოფიციალური ვიზიტით სტრასბურგსა და ბრიუსელში გაემგზავრა. სტრასბურგში იგი მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო ორგანიზაციის - "ევროპის ქვეყნები კორუფციის წინააღმდეგ" - მიერ გამართულ პლენარულ სხდომაში, რომელზეც საქართველოში ფულის გათეთრების პროცესები უნდა შეფასდეს. ბრიუსელში კი საქართველოს ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელი უშუალოდ ევროკომისიის მოთხოვნაზე გაემგზავრა. ევროკომისიის გენერალური დირექტორატის ხელმძღვანელებთან, ბატონ იულიუსთან შეხვედრაზე, რომელიც 16 დეკემბერს უნდა გაიმართოს, გადაწყდება რა რაოდენობის გრანტს მიიღებს კახა უგულავას უწყება გრძელვადიანი ანტიკორუფციული პროგრამისთვის, აღმასრულებელი ხელისუფლების რეორგანიზაციის, სამართლის საქმიანობის კონტროლისა და მაკონტროლებელი ორგანოების რადიკალური ოპტიმიზაციის პროექტების დასაფინანსებლად. სავარაუდოდ, ეს თანხა 2 მილიონი ევრო იქნება. რაც შეეხება გრანტის გამოყოფის ვადებს, ამას ევროკომისია მხოლოდ მაშინ დაასახელებს, როცა მის მიერ უკვე გამოყოფილი თანხების მიზნობრივი ხარჯვის შემოწმების პროცედურას დაასრულებს.

## სასამართლომ ირიბარენი და მოლაშვილი დაჰკითხა

მაია ურუშაძე

საკონსტიტუციო სასამართლოში ლეიბორისტების მიერ შეტანილი სარჩელის განხილვა მიმდინარეობს. ლეიბორისტები მთავრობას - "თელასის" უკანონო პრივატიზებაში, სემეკს – ტარიფების უკანონო გაზრდაში, ხოლო კომპანია "ეი-ი-ესს" – გამრიცხველიანების პროცესის დაგვიანებაში ადანაშაულებენ.

ლეიბორისტთა სარჩელის გამო, გუშინ სასამართლომ კონტროლის პალატის თავმჯდომარეს სულხან მოლაშვილსა და "ეი-ი-ეს თელასის" გენერალურ დირექტორს იგნასიო ირიბარენს მოუსმინა.

სულხან მოლაშვილის მოსმენა სასამართლომ "თელასის" პრივატიზების კანონიერების გასარკვევად მოისურვა. გარდა ამისა, კონტროლის პალატას „ეი-ი-ეს თელასის" აქციათა მხოლოდ სახელმწიფოს კუთვნილი პაკეტის - 25 პროცენტის შემოწმება ევალება. ამიტომ სულხან მოლაშვილისგან სასამართლომ ინფორმაცია "ეი-ი-ეს თელასის" აქციათა სახელმწიფოს კუთვნილი წილის შესახებაც მოითხოვა.

როგორც სულხან მოლაშვილმა განაცხადა, კონტროლის პალატა მის ხელთ არსებულ მასალას „ეი-ი-ეს თელასის" პრივატიზების კანონიერების შესახებ სასამართლოს ორ დღეში წარუდგენს, სემეკის საქმიანობის შესწავლას კი ის მხოლოდ მას შემდეგ დაიწყებს, რაც სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი მარეგულირებელი სააგენტოების შემოწმების უფლებამოსილებას მიიღებს. რაც შეეხება "ეი-ი-ეს თელასის" აქციათა სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილ 25 პროცენტს, სულხან მოლაშვილმა განაცხადა, რომ ამერიკული კომპანიის შემოწმებას კონტროლის პალატა მომავალი წლის იანვრიდან შეუდგება.

სხვათა შორის, გუშინ საბოლოოდ დაზუსტდა, თუ ვინ უნდა გააკონტროლოს "ეი-ი-ეს თელასის" ქართული წილები. როგორც კომპანიის გენერალურმა დირექტორმა იგნასიო ირიბარენმა განაცხადა, ამ 25 პროცენტს ქონების მართვის სამინისტრო ფლობს, მენეჯმენტს თბილისის ქონების მართვის სამმართველო აწარმოებს, ხოლო ზედამხედველობას კი თბილისის მერია ახორციელებს.

სასამართლოს დავალებით, იგნასიო ირიბარენმა ორ კვირაში წერილობით უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია, რომელიც სასამართლოს გაარკვევს, აისახა თუ არა ელექტროენერგიის ტარიფში ჭარბი ინვესტიციები.

რაც შეეხება პრივატიზაციის კანონიერებას, "ეი-ი-ესი" ამ თემას ხელშეუხერხულ მიიჩნევს და აცხადებს, რომ, ნასყიდობის ხელშეკრულების ხელყოფის შემთხვევაში, კომპანია მის მიერ საქართველოში დახარჯული თანხების, კერძოდ, 260 მილიონი დოლარის, უკან დაბრუნების მოთხოვნით და საქართველოს ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოში უჩივლებს.

სასამართლოს ბოლოს ირიბარენმა ხელისუფლებასაც "გაჰკრა" ებლი. **"ვენესუელაში ნავთობკომპანიები და ენერგოობიექტები არ იყიდება, ვინაიდან მომგებიანია და მათი გასხვისება კონსტიტუციით იკრძალება,"** – განაცხადა მან.

**"საქართველოში ხომ ნეოკოლონიალიზმია: აქ სტრატეგიული ობიექტები კონსტიტუციით აკრძალვის შემთხვევაშიც იყიდება,"** – მწარე ხუმრობით შეეგება ირიბარენის გაცხარებას მოსარჩელე ნათელაშვილი.

"ეი-ი-ეს თელასის" გენერალურ დირექტორთან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა კითხვებიც აღმოაჩნდა. სასამართლომ იგნასიო ირიბარენს, პრაქტიკულად, ყველა ის ინფორმაცია მოსთხოვა, რომელზე დაყრდნობითაც, ჩვეულებრივ, კონტროლის პალატა ან საგადასახადო ინსპექცია აწარმოებენ შემოწმების პროცედურებს. კერძოდ, სასამართლომ ირიბარენისგან მოითხოვა ინფორმაცია "ეი-ი-ეს თელასის" ოფისის ხარჯებისა და თანამშრომელთა ხელფასების შესახებ, იმის შესახებ, თუ რა ვადებში აპირებს ის ინვესტიციის ამოღებას მოსახლეობისგან ან რა რაოდენობის ელექტროენერგიას მოიხმარს საშუალოდ სხვადასხვა მომხმარებელი.

ამერიკული კომპანია თავის ფინანსურ საქმიანობაში აქამდე არავის ახედებდა. თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლოს დღევანდელი მოთხოვნის შემდეგ, "ეი-ი-ეს თელასს", შესაძლოა, საკუთარი ფინანსური მდგომარეობის სააშკარაოზე გამოტანა მოუწიოს. თუ ასე მოხდა, მაშინ ცნობილი გახდება, სად მიდის მოსახლეობის მიერ "ეი-ი-ესისთვის" გადახდილი ელექტროენერგიის საფასური. "ეი-ი-ეს თელასის" ინფორმაციით ხომ, 260 მილიონი დოლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელების შემდეგ, რაც, ძირითადად, ქალაქის გამრიცხველიანებაში დაიხარჯა, კომპანია მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის 60 პროცენტის ამოღებასაც კი ვერ ახერხებს. ერთი წლის წინ სწორედ ამ მაჩვენებელმა აღძრა ეჭვი, რომ "ეი-ი-ეს თელასი" მიღებულ შემოსავლებს უმალავს ქართულ მხარეს და ამ სამი წლის წინ განხორციელებული ინვესტიციის დედობილი კომპანია "ეი-ი-ესისთვის" დაბრუნებას უკვე აწარმოებს.

## გოგიაშვილი აზიაში პარიზული დავალებით წავიდა

სოფიკო ოხანაშვილი

10-14 დეკემბერს საქართველოს ფინანსთა მინისტრი მირიან გოგიაშვილი ოფიციალური ვიზიტით ეწვევა უზბეკეთს, ყაზახეთსა და ირანს, სადაც ამ ქვეყნების მთავრობის წევრებთან ოფიციალურ შეხვედრებს გამართავს. ვიზიტის მიზანს საქართველოს საგარეო ვალების რესტრუქტურიზაციის ხელშეკრულების ხელმოწერა წარმოადგენს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ხელი უნდა მოაწეროს ხელშეკრულებას, რომელიც 2000 წლის 5 მარტს პარიზის კლუბში მიღებულ გადაწყვეტილებას ექვემდებარება. საგარეო ვალის დეპარტამენტის უფროსის სოსო სხირტლაძის თქმით, რესტრუქტურიზაცია შეეხო ვალის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც საქართველოს 2001-2002 წლებში უნდა გადაეხადა. პარიზის კლუბში მიღწეული შეთანხმების თანახმად კი, ამ თანხების დაფარვა 21 წლის განმავლობაში უნდა განხორციელდეს. ამ ვალის ძირითადი თანხების მომსახურება 2005 წლიდან დაიწყება. სხირტლაძის ინფორმაციით, პირველ ეტაპზე ვალის მომსახურება ვალუტით განხორციელდება. თუმცა, სხირტლაძე არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ დროთა განმავლობაში ყაზახეთი, უზბეკეთი და ირანი საქონლით ან სხვა ფორმით მომსახურებაზეც დათანხმდნენ.

საქართველოს 2003 წლის ბიუჯეტის კანონპროექტში საგარეო ვალების მომსახურების პროცენტებისათვის 81 მილიონი ლარია გათვალისწინებული, მაგრამ ამ სამი ქვეყნის ვალის დასაფარავად საჭირო თანხა მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტში არ არის ჩასმული.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ვალი ყაზახეთის მიმართ 27,7 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს, უზბეკეთის მიმართ - 1 მილიონ აშშ დოლარს, ხოლო ირანის მიმართ - 12,8 მილიონ აშშ დოლარს.

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 10 დეკემბრის მდგომარეობით




მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6337 | 0.6393 | 0.0052 |
| US$ | 1.5779 | | 1.009 | 0.0082 |
| €uro | 1.5641 | 0.9911 | | 0.0081 |
| ¥en | 193.48 | 122.61 | 123.7 | |

# „აზოტი" პრეზიდენტის ოჯახის და მოქალაქეთა კავშირის ინტერესებს შეეწირა

პირველი გვერდიდან

ქონების მართვის მინისტრი უარყოფს "აზოტის" აქციების 90 პროცენტის "იტერასთვის" გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პარლამენტის ინტერესების იგნორირებას. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ "იტერას" მიერ საოცრად მოკლე ვადებში შესწორებული და ქართული მხარისთვის ხელმეორედ წარდგენილი ბიზნეს-გეგმა პარლამენტის თავმჯდომარეს მხოლოდ 3 დეკემბერს გადაეგზავნა, საკანონმდებლო ორგანო ამ პროცესის შესახებ თავიდანვე იყო ინფორმირებული. პავლიაშვილი "იტერა"-"აზოტის" გარიგების უკან პრეზიდენტის ოჯახის ინტერესების არსებობასაც უარყოფს. **"ქონების მართვის სამინისტრო ბრმად არც ერთ ნაბიჯს არ დგამს და არც ერთი ოჯახისა თუ კლანის ინტერესებს არ ითვალისწინებს,"** – აცხადებს პავლიაშვილი. თუმცა, იგი აღიარებს, რომ სერიოზული გამოკვლევის საგანი უნდა გახდეს "აზოტის" ვალები, რომელიც ჯერ კიდევ 2001 წლის ივლისში 84 მილიონი ლარი იყო, საეჭვოდ სწრაფად გაიზარდა და დღეისთვის 100 მილიონს შეადგენს. "აზოტის" ვალების დაგროვებაში კი საკმაოდ ხშირად სწორედ პრეზიდენტის ოჯახთან დაკავშირებულ ფირმებს ასახელებენ.

"24 საათი" "იტერა"-"აზოტის" თემაზე არაერთხელ წერდა. შეგახსენებთ მხოლოდ იმას, რომ, დაახლოებით ათი დღის წინ, სტრატეგიული ობიექტების პრივატიზების სამთავრობო კომისიამ, რომელსაც ქონების მართვის მინისტრი სოლომონ პავლიაშვილი ხელმძღვანელობს, განიხილა "იტერას" მიერ "აზოტის" ასამუშავებლად შეთავაზებული ბიზნეს-გეგმა, რომლის მიხედვითაც "იტერა" "აზოტის" პირდაპირი წესით მიყიდვას ითხოვდა. ბიზნეს-გეგმას კომისიამ გარკვეული შენიშვნები დაურთო, თუმცა იმავე სხდომაზე გადაწყდა, რომ "აზოტზე" საერთაშორისო ტენდერი გამოცხადდებოდა. **"არავითარი პირდაპირი წესით მიყიდვა არ იქნება,"** – დაბეჯითებით ირწმუნებოდა სოლომონ პავლიაშვილი. რამდენიმე დღის შემდეგ კი საქართველოში ამერიკელ კონგრესმენთა დელეგაცია ჩამოვიდა, რომელსაც "იტერას" პრეზიდენტი იგორ მაკაროვი ჩამოჰყვა. პრეზიდენტთან და სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროში გამართული შეხვედრების შემდეგ სასწრაფოდ იქნა მიღებული გადაწყვეტილება "აზოტის" "იტერასთვის" სიმბოლურ ფასად - ნახევარ მილიონ დოლარად მიყიდვის თაობაზე. **"აზოტის" პრივატიზაციის პროცესი ჯერ არ დასრულებულა. 2 დეკემბერს "იტერასთან" მიღწეული შეთანხმება მხოლოდ პირველი ნაბიჯი იყო "აზოტის" პრივატიზებისკენ. ეს პროცესი კი "იტერასთან" ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების გაფორმებით დასრულდება, რასაც 40-45 დღე სჭირდება,"** – განაცხადა ქონების მართვის მინისტრმა სოლომონ პავლიაშვილმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე. მინისტრის თქმით, ამ ხელშეკრულებაში "იტერას" მიერ წარმოდგენილი ბიზნეს-გეგმის ყველა პირობა და ქართული მხარის მოთხოვნები სრულად უნდა აისახოს. გარდა ამისა, ეს ყველაფერი საწარმოს რეაბილიტაციის გეგმასთანაც უნდა მოვიდეს შესაბამისობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, პავლიაშვილი არ გამორიცხავს, რომ "იტერასთან" გარიგება ჩაიშალოს, მით უმეტეს, რომ ასეთი შემთხვევები უახლოეს წარსულშიც ყოფილა. მინისტრს ამის მაგალითად ისრაელის კომპანია "ტაჰალისთვის" "თბილგაზის" გადაცემაზე უარის თქმა და "იტერას" იგივე "თბილგაზთან" ერთობლივი კომპანიის "იტერა-ჯორჯიას" შექმნის ჩაშლა მოჰყავს.


"ჯართად" დახურდავებული "აზოტი"

სამივე ფრაქციის წარმომადგენლები დარწმუნებულები არიან, რომ "იტერა" თავის თავზე აღებულ ვალდებულებებს არ შეასრულებს. განსაკუთრებული სკეპტიციზმით პარლამენტარები ვალების საკითხისადმი არიან განწყობილი. როგორც ცნობილია, "იტერა" იღებს ვალდებულებას, "აზოტის" კრედიტორული დავალიანება, რაც 100 მილიონ ლარს შეადგენს, სამ წელიწადში დაფაროს. აქედან 22 მილიონი "აზოტს" ფინანსთა სამინისტროსი მართებს, 20 მილიონი ლარი – ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის, ხოლო 30 მილიონი ლარი - კომპანია "ალსოტრანსის".

"გაერთიანებული დემოკრატების" წარმომადგენელი ზურაბ ცქიტიშვილი აცხადებს, რომ თუ "იტერა," ნახევარ მილიონ დოლართან ერთად, "აზოტის" კრედიტორულ დავალიანებასაც გადაიხდის, **"რატომ არ შეიძლებოდა, რომ "აზოტი" "იტერასთვის" პირდაპირ 100 მილიონ ლარად მიგვეყიდა?"** გენო მალაზონიას განცხადებით კი, ამას ბიუჯეტის კანონში ცვლილება დასჭირდება.

ისევე, როგორც მთავრობის წევრთა უმეტესობა, "აზოტის" "იტერასთვის" გადაცემას პავლიაშვილიც საუკეთესო გამოსავლად მიიჩნევს. იგი დარწმუნებულია, რომ თუ "იტერას" ბიზნეს-გეგმა არ განხორციელდება, "აზოტი" გაკოტრდება და ჯართად გაიყიდება. ამჟამად კი, "ჯართად" წოდებული ეს საწარმო, "იტერას" გაზის მეშვეობით, მილიონობით დოლარის პროდუქციას უშვებს, რომლის 84 პროცენტი ექსპორტზე გადის.

ფრაქციათა შეხვედრაზე ერთხმად გადაწყდა, რომ უნდა მომზადდეს საკანონმდებლო ცვლილება პრივატიზაციის შესახებ კანონში. დეპუტატებს მიაჩნიათ, რომ პრეზიდენტი ბოროტად იყენებს კანონით მინიჭებულ უფლებას, რომლის მიხედვითაც ობიქტის პირდაპირი წესით მიყიდვის განეხორციელება მხოლოდ მას შეუძლია. ამასთანავე, ფრაქციები იმ საპარლამენტო კომიტეტების თავმჯდომარეების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას ითხოვენ, რომლებიც საპრივატიზაციო კომისიაში შედიოდნენ და რომლებმაც მხარი დაუჭირეს "აზოტის" სიმბოლურ ფასად გაყიდვას. შეგახსენებთ, რომ კომისიის წევრები იყვნენ გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტის თავმჯდომარე დავით სალარიძე, დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე დემურ გიორხელიძე და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე ანზორ აბრალავა. ამათგან, დემურ გიორხელიძე კომისიის სხდომას, რომელზეც "აზოტის" ბედი გადაწყდა, არ ესწრებოდა, ანზორ აბრალავა წინააღმდეგი იყო "აზოტის" "იტერასთვის" მიყიდვისა, ხოლო დავით სალარიძე – მომხრე.

## საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი)

### განცხადება

ბოლო დროს, მასმედიის საშუალებებით გავრცელებულ ინფორმაციებში, სახელმწიფოსა და AES-კორპორაციას შორის 1998 წელს გაფორმებული, თელასის აქციათა 75%-ის ნასყიდობის ხელშეკრულებისა და ქ. თბილისში ელექტროენერგიის ტარიფის შესახებ, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების, მათ შორის სემეკის მიმართაც გამოითქმის კრიტიკა, თითქოს სემეკმა "ეი-ი-ეს თელასს" ელექტროენერგიის ტარიფის გაუმართლებელ ზრდაში შეუწყო ხელი. ამავე საკითხზე საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

აღნიშნულთან დაკავშირებით სემეკი აცხადებს:

- სემეკი ეთანხმება ელექტროენერგეტიკის სექტორში ცალკეული ობიექტების განსახელმწიფოებრიობის სახელმწიფო კურსს, რადგანაც ენერგეტიკის სექტორის რეაბილიტაცია და საიმედო ფუნქციონირება მოითხოვს დიდ კაპიტალდაბანდებებს (დაახლოებით, 2 მილიარდ დოლარს) და ამ თანხის მოზიდვა შესაძლებელია მხოლოდ სტრატეგიული ინვესტორების მოწვევის გზით.
- სემეკი არ არის სახელმწიფო ქონების მფლობელი და იგი არც განკარგავს მას. სემეკმა, ისევე როგორც სხვა თორმეტმა სახელმწიფო უწყებამ, თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიიღო მონაწილეობა სახელმწიფოსა და AES-კორპორაციას შორის მიმდინარე მოლაპარაკებებში.
- სემეკს მიაჩნია, რომ AES-კორპორაცია არის ერთადერთი მსხვილი ინვესტორი არა მარტო ენერგეტიკაში, არამედ - მთლიანად საქართველოს ეკონომიკაში, AES-მა საქართველოს ენერგეტიკაში პირდაპირი და ირიბი ინვესტიციების სახით ჩადო 300 მილიონ ლარზე მეტი, რამაც გამოაცოცხლა საქართველოს ენერგეტიკა. დადებული ხელშეკრულებით ინვესტორმა ჩადებული ინვესტიცია უნდა დაიბრუნოს განსაზღვრულ დროში, გარკვეული მოგებით.
- სემეკი ადასტურებს, რომ "AES-თელასს" შესასრულებელი დარჩა ნაკისრი ვალდებულებების ნაწილი. კერძოდ, არ არის გაფორმებული ხელშეკრულებები მოსახლეობასთან; დედაქალაქში დარჩა გაუმრიცხველიანებელი 50 ათასამდე აბონენტი, რის გამოც მათ ელექტროენერგია შეფერხებით მიეწოდებათ. ამ საკითხის მოგვარებისათვის აშშ-ს მთავრობამ "AES-თელასს" გამოუყო 9,4 მილიონი აშშ დოლარი, რაც იძლევა იმედს, რომ რამდენიმე თვეში ეს პროცესი დასრულდება.
- სემეკის 2001 წლის 12 აპრილის N29 გადაწყვეტილების თანახმად, ქ. თბილისის მოსახლეობის ინტერესების სრული გათვალისწინებით, მათ მიერ 1999 წლამდე მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობით წარმოშობილი დავალიანების დაფარვის მოთხოვნა შეჩერებულია; ხოლო 1999 წლის 4 იანვრიდან წარმოქმნილი დავალიანებების რესტრუქტურიზაცია და ეტაპობრივი დაფარვა ხორციელდება სემეკის 2001 წლის 31 დეკემბრის N15 დადგენილებით შემუშავებული წესის მიხედვით.
- სემეკი აცხადებს, რომ ქ. თბილისში სამომხმარებლო ტარიფი და მასში "AES-თელასის" წილი დადგენილია საქართველოს კანონმდებლობის და სახელმწიფოსა და AES-კორპორაციას შორის დადებული ხელშეკრულების ყველა მოთხოვნის დაცვით.

  2001 წელს "AES-თელასის" მიერ თავისი წილის, ანუ განაწილების ტარიფის გაზრდა მოთხოვნილი იყო 3,92 თეთრი/კვტსთ-დან 17,4 თეთრ/კვტსთ-მდე, რაც თბილისის მოსახლეობისათვის სამომხმარებლო ტარიფს გაზრდიდა 23 თეთრ/კვტსთ-მდე. სემეკის მიერ დამტკიცებული იქნა 7,548 თეთრი/კვტსთ-მდე, რის გამოც თბილისში ტარიფი მხოლოდ 12,4 თეთრ/კვტსთ-მდე გაიზარდა.

  2002 წელს "AES-თელასის" მიერ განაწილების ტარიფის გაზრდა მოთხოვნილი იყო 2,86 თეთრი/კვტსთ, რაც თბილისში მოსახლეობისათვის სამომხმარებლო ტარიფს გაზრდიდა 16 თეთრ/კვტსთ-მდე, სემეკის მიერ დამტკიცებული იქნა მხოლოდ 1,1 თეთრი/კვტსთ-ი საშუალოდ, რის გამოც მოსახლეობისთვის თბილისში ტარიფი 13,7 თეთრამდე გაიზარდა. ორივე შემთხვევაში სემეკმა, სხვა სამინისტროებთან და უწყებებთან კონსულტაციების საფუძველზე, "AES-თელასთან" ჩაატარა ურთულესი სამუშაო, მოწვეულ იქნა გამოცდილი აუდიტორული კომპანიები, გადაწყვეტილება მიღებულ იქნა საჯარო სხდომებზე საზოგადოების ფართო მასების მონაწილეობით და რეგისტრირებულია იუსტიციის სამინისტროში ნორმატიული აქტის სახით.
- სემეკი აცხადებს, რომ ელექტროენერგიის ტარიფის შემცირებაზე გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია ინვესტიციების დაბრუნების ვადის 4 წლიდან 8 წლამდე გაზრდამ. აქვე ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ტარიფში არც ერთი თეთრი ზედმეტად შეტანილი არ არის.
- სემეკი სრულად აცნობიერებს, რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დღევანდელ ფონზე ქ.თბილისის მოსახლეობის იმ ნაწილისთვის, რომელთა შემოსავლები რამდენჯერმე დაბალია საარსებო მინიმუმთან შედარებით, ელექტროენერგიის ტარიფი მაღალია. სემეკისათვის ასეთი მძიმე გადაწყვეტილების მიღება უდიდესი პასუხისმგებლობაა. სემეკი ხელმძღვანელობს პრინციპით, რომ ყველა საქონელს, მათ შორის ელექტროენერგიას, რეალური ფასი უნდა ჰქონდეს. ფაქტია, რომ ელექტროენერგეტიკის რეაბილიტაცია-განახლებას დიდი კაპიტალდაბანდებები სჭირდება, რასაც სამწუხაროდ, თან სდევს ტარიფის ზრდა.
- სემეკი სრულიად იზიარებს კონცეფციას, რომ ენერგეტიკა ეკონომიკის შემადგენელი ნაწილია; ამიტომ მიგვაჩნია, რომ საქართველოში ენერგეტიკის მომავალი უნდა განვიხილოთ სახელმწიფო ეკონომიკის ერთიანი აღდგენა-განვითარების კონტექსტში; სხვაგვარად შეუძლებელია ენერგეტიკაში საინვესტიციო გარემოს შექმნა.
- და ბოლოს, სემეკი თხოვნით მიმართავს იმ პოლიტიკოსებს და სახელმწიფო მოღვაწეებს, რომლებიც არ იცნობენ ტარიფების ფორმირების ურთულეს მექანიზმებსა და პროცედურებს, თავი შეიკავონ უსაფუძვლო განცხადებებისგან და თავიანთი ძალისხმევა მიმართონ არა ტარიფების კრიტიკისაკენ, არამედ მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისკენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ იძულებულნი ვიქნებით, მათი ქმედება შევაფასოთ სემეკის, როგორც დამოუკიდებელი ორგანოს და დემოკრატიული მონაპოვრის დისკრედიტაციისკენ მიმართულ წინასწარგანსაზღვრულ კამპანიად.

**ელიზბარ ერისთავი**
**დემურ ჩომახიძე**
**პაატა ცინცაძე**

**კომპანია "ბი-პი"-ს მილსადენების პროექტების ფარგლებში და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს შემდეგი თანამდებობების დასაკავებლად:**

**უსაფრთხოების ოფიცერი**
**საველე გარემოსდაცვითი ოფიცერი**
**საველე ინჟინერი**
**საზოგადოებასთან ურთიერთობის ინჟინერი**
**მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველი**

უსაფრთხოების ინჟინერი: პასუხისმგებელია მილსადენის მშენებლობის დროს უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე, მონიტორინგსა და "ბი-პი"-ს სტანდარტების დაცვაზე. მის მოვალეობაში შედის რჩევის გაცემა და უსაფრთხოების კულტურის დამკვიდრება ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დარგში საქმიანობის უმაღლესი მაჩვენებლების მისაღწევად. უსაფრთხოების ოფიცრის თანამდებობები გათვალისწინებულია მშენებლობის ობიექტებზე, სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების და პორტის/მასალების მართვის სფეროში.

მოთხოვნები: ქართული, რუსული და ინგლისური ენების სრულყოფილი ფლობა, MS Office-ის გამოყენების კარგი უნარი, უსაფრთხოების სფეროში, სასურველია სამშენებლო ობიექტზე, სატრანსპორტო საშუალებებზე ან პორტის/მასალების მართვის სფეროში მუშაობის გამოცდილება. უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი.

საველე გარემოსდაცვითი ოფიცერი: პასუხისმგებელია სამუშაოების ზედამხედველობაზე გარემოსდაცვითი კუთხით. მის მოვალეობაში შედის მილსადენის მარშრუტის რომელიმე კონკრეტულ უბანზე წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტა.

მოთხოვნები: ქართული, რუსული და ინგლისური ენების სრულყოფილი ფლობა, MS Office-ის გამოყენების კარგი უნარი, გარემოსდაცვით სფეროში მუშაობის სულ მცირე 3 წლის გამოცდილება, სასურველია მშენებლობაზე მუშაობის გამოცდილება. უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი სამეცნიერო ან საინჟინრო დარგში.

საველე ინჟინერი: პასუხისმგებელია ველზე და ოფისში მომუშავე საინჟინრო ჯგუფების საქმიანობის კოორდინირებასა და ხელშეწყობაზე, სამშენებლო და ტექნიკური პროცედურების დაცვის შემოწმების უზრუნველყოფაზე.

მოთხოვნები: ქართული, რუსული და ინგლისური ენების სრულყოფილი ფლობა, MS Office-ის გამოყენების კარგი უნარი, მშენებლობის სფეროში მუშაობის სულ მცირე 3 წლის გამოცდილება, სასურველია მილსადენის ან მილსადენის ობიექტზე მუშაობის გამოცდილება. უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი საინჟინრო დარგში.

საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი: პასუხისმგებელია პროექტის ჯგუფისთვის პროექტის სოციალური ზემოქმედების შესახებ ინფორმაციის რეგულარულად მიწოდებაზე, რომელიც გარეშე აუდიტორიისთვის არის გამიზნული. ასევე პასუხისმგებელია საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვის გეგმების განხორციელებაზე.

მოთხოვნები: ქართული, რუსული და ინგლისური ენების სრულყოფილი ფლობა, MS Office-ის გამოყენების კარგი უნარი, საზოგადოებასთან ურთიერთობის და სოციალური კანონმდებლობის დარგში მუშაობის გამოცდილება. სასურველია გამოცდილება ნავთობისა და გაზის ინდუსტრიაში. უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში.

მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველი: პასუხისმგებელია მშენებლობის დროს, კერძოდ მილების გაყვანის და მილსადენის მშენებლობის "ბი-პი"-ს სტანდარტების დაცვის უზრუნველყოფასა და მასთან დაკავშირებული ყველა საქმიანობის მონიტორინგზე.

მოთხოვნები: ქართული, რუსული და ინგლისური ენების სრულყოფილი ფლობა, MS Office-ის გამოყენების კარგი უნარი, მშენებლობის ობიექტზე მუშაობის დიდი გამოცდილება. აუცილებელია გამოცდილება გზების მშენებლობასა და ეროზიის კონტროლის სფეროში. უმაღლესი სასწავლების დიპლომი ტექნიკურ დარგში.

**ყველა ზემოაღნიშნული თანამდებობისთვის სამუშაოს დეტალური აღწერის მიღება შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ მისამართზე.**

**განახცადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით რომ გაგაჩნიათ საჭირო კლასიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობების დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curruculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2002 წლის 23 დეკემბერი, პარასკევი, საღამოს 18:00 სთ.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება. გასაუბრებაზე დაბარებული ყველა კანდიდატს დავუკავშირდებით არაუგვიანეს პარასკევისა, 2002 წლის 27 დეკემბერს.**

**კადრების დეპარტამენტი**
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"
"ბი-პი" საქართველო
საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38.

# "აღარ ვიცით რა გზას დავადგეთ"

*შაბათს, თბილისში წამოწყებული ანტიკრიმინალური ღონისძიების ფარგლებში, ისანი-სამგორის პოლიციაში მიყვანილი ორი ჩეჩენი ქალბატონი, რომელთაც პირადობის დამადასტურებელი საბუთები ჩამოართვეს, რუსეთში ექსტრადიციის მომლოდინე ჩეჩენი პატიმრების დედა და და არიან.*

სოფიკო ჩხაიძე


მაკა ხანჩუკაევას საქმე უშიშროებას გადაეცა

მაკა ხანჩუკაევა და ზელიმა ხაკიროვა, სხვა ჩეჩენი ეროვნების მოქალაქეების მსგავსად, შაბათს პოლიციის განყოფილებაში მიიყვანეს, თუმცა, სხვებისგან განსხვავებით, მათი პასპორტები დაიტოვეს, გაუსვლელობის ხელწერილები დააწერინეს და ორშაბათისთვის დაიბარეს.

**"ჩვენ თბილისში ორი კვირის წინ ჩამოვედით. საერთოდ, ჩეჩნეთიდან წამოსვლის შემდეგ ინგუშეთში ვცხოვრობთ, მაგრამ, როგორც კი გავიგე, რომ ჩემს შვილს - ასლან ხანუევს რუსეთში ექსტრადიცია ელის, მაშინვე აქეთ გამოვემართე. ჩემთან ერთად წამოვიდა ასევე პატიმრის - რუსლან გელოგაევის და. საქართველოში აზერბაიჯანის გავლით, წითელი ხიდის მხრიდან შემოვედით. თბილისში ჩვენს ნათესავებთან ვცხოვრობდით. ლტოლვილის სტატუსის მისაღებად უკვე განცხადებაც შეტანილი გვაქვს. საერთოდაც, საქართველოში გვქონდა გადაწყვეტილი დარჩენა, ჩვენი ოჯახის წევრების ჩამოყვანასაც ვაპირებდით. ახლა კი, აღარც ვიცით, როგორ მოვიქცეთ",** - ამბობს მაკა ხანჩუკაევა.

ორი ქალისადმი განსაკუთრებული მიდგომა იმან განაპირობა, რომ მათ ლტოლვილის მოწმობები არ გააჩნდათ. უკვე ორშაბათს, ჟურნალისტებთან და ადამიანის უფლებების დამცველებთან ერთად, ისანი-სამგორის პროკურატურაში მისულ ქალებს გამომძიებელი ზვიად გუგუჩია ამშვიდებდა, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა, უბრალოდ, გამოძიებას მათგან ახსნა-განმარტების მოსმენა სჭირდებოდა და ამის შემდეგ ყველაფერი მოგვარდებოდა. მიუხედავად ამისა, ხანჩუკაევამ და ხაკიროვამ, მათი უფლებების დამცველთა რჩევით, გუშინ დუმილის უფლება გამოიყენეს, პროკურატურის მხრიდან "ყველაფრის მოგვარება" კი ორი ჩეჩენი ქალის საქმის ირგვლივ მოკვლეული მასალების უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურისთვის გადაცემაში გამოიხატა.

**"დარღვევა რომ სახეზეა, ამაზე ორი აზრი არ არსებობს,** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ზვიად გუგუჩიამ, - **მათ საზღვარი ყოველგვარი საბუთის გარეშე აქვთ გადმოლახული. თუმცა, მათი ეროვნების გათვალისწინებით, მაინც განსაკუთრებული მიდგომა გამოვიჩინეთ, საქმე არ აღვძარით. პრინციპში, არც არის ჩვენი ქვემდებარე. უშიშროების სამინისტრომ უნდა გადაწყვიტოს მათი შემდგომი ბედი".**

არასამთავრობო ორგანიზაციის - "ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის" ხელმძღვანელი ნანა კაკაბაძე კი ამბობს, რომ ორი ჩეჩენი ქალის მიერ საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, რადგან ისინი რუსეთიდან დიდ საშიშროებას გამოექცნენ, ლტოლვილები არიან და ლტოლვილის სტატუსის მისაღებად უკვე გაკეთებულიც აქვთ განაცხადი.

# პარლამენტს პრინციპულობისკენ მოუწოდებენ

შაბათს ჩეჩენი ეროვნების მოქალაქეების პოლიციის განყოფილებებში მიყვანას და მათთან მიმართებაში საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებას, არასამთავრობო ორგანიზაციები კანონმდებლობის უხეშ დარღვევად აფასებენ.

გუშინ "კავკასიურ სახლში" გამართულ პრესკონფერენციაზე არასამთავრობო ორგანიზაციებმა სამართალდამცველთაგან შაბათის აქციის დროს პოლიციის განყოფილებებში მიყვანილი ჩეჩენი ლტოლვილებისთვის გადაღებული ფოტოებისა და მათი თითის ანაბეჭდების განადგურება მოითხოვეს. ისინი არ გამორიცხავენ, რომ ამ მონაცემების საფუძველზე რუსეთის მხარემ ყალბი ბრალდებები შეთითხნოს და ლტოლვილთა ნაწილის გადაცემა მოითხოვოს.

ამას გარდა, 15-მდე ჩეჩენი, რომლებიც 7 დეკემბერს, დილიდან პოლიციის განყოფილებაში ამყოფეს, სასამართლოს მიმართავენ იმის გასარკვევად, რამდენად კანონიერია სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე მათი დაკავება და საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება. იმავე მოთხოვნით, ოღონდ უკვე პარლამენტს მიმართავს სახალხო დამცველი ნანა დევდარიანი. მისი თქმით: **"პარლამენტის იურიდიულმა და ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტებმა ერთობლივი მოსმენა უნდა მოაწყონ. მათ უნდა განიხილონ და სამართლებრივი შეფასება მისცენ იმას, რაც მოხდა. არა მარტო 7 დეკემბრის ფაქტთან მიმართებაში, მე, საერთოდ, მაინტერესებს საკანონმდებლო ორგანოს აზრი იმის თაობაზე, რამდენად კანონიერია ასე მუშაობა – შეხვიდე სახლში, გამოიყვანო ხალხი, მიიყვანო პოლიციაში, ჩაატარო საგამოძიებო მოქმედებები და ასე შემდეგ. შეაფასოს პარლამენტმა, სწორია ეს თუ არა. ან დაადასტუროს, რომ სწორია, რაც ძალიან გაუჭირდება, თუ არა და, იმსჯელოს შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების პირველ პირთა პასუხისმგებლობაზე".**

პარლამენტში კი, საეჭვოა, რომ 7 დეკემბრის მოვლენები ოპერატიულად შეფასდეს. იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ომბუდსმენისგან მასალების მიღებას ელის და საკომიტეტო მოსმენამდე პარლამენტის თავმჯდომარის აზრის გაგებას აპირებს. ნინო ბურჯანაძე კი, სულ ცოტა, ხუთი დღე მაინც თბილისში არ იქნება, ისევე, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ელენე თევდორაძე.

# ომბუდსმენი პოლიციელთა შორის საგანმანათლებლო მუშაობას ეწევა

სოფიკო ჩხაიძე

*დღეს მთელ მსოფლიოში ადამიანის უფლებების დაცვის დღე აღინიშნება. 54 წლის წინ, 1948 წლის 10 დეკემბერს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ადამიანის უფლებათა დეკლარაცია მიიღო.*

უკვე რამდენიმე წელია, რაც საქართველო ამ დეკლარაციას მიუერთდა და, შესაბამისად, ამ თარიღს აღნიშნავს კიდეც. გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე ამ დღისთვის მიძღვნილი კვირეულის შესახებ ისაუბრა საქართველოს სახალხო დამცველმა ნანა დევდარიანმა და საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ ჟურნალისტებს 2002 წლის პირველი ნახევრის ანგარიშიც წარუდგინა. ტრადიციული ანგარიში მოიცავს ყველა იმ საკითხს, რომელიც საქართველოს მოსახლეობას წლიდან წლამდე აწუხებს და რომელთა მოგვარების იმედითაც ისინი ომბუდსმენს მიმართავენ.

თავად სახალხო დამცველის, ნანა დევდარიანის თქმით: **"ეს ანგარიში დღეს გადაიგზავნება პარლამენტში და განხილვა, ტრადიციისამებრ, მწვავე იქნება. ოღონდ არ მინდა, რომ კვლავაც ისე მოხდეს, როგორც წინა განხილვისას, როცა მთელი აქცენტი რელიგიის თავისუფლებაზე იქნა გადატანილი და ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემა უყურადღებოდ დარჩა."**

როგორც ამ ანგარიშიდან ირკვევა, მოქალაქეთა უმეტესობა სახალხო დამცველს მიმართავს სამართალდამცველ და სასამართლო ორგანოებში შექმნილი პრობლემების გამო. თუმცა, გარკვეული ცვალებადობა აქაც შეიმჩნევა. თუ 2001 წლის მონაცემების თანახმად, ყველაზე მეტი მომჩივანი შინაგან საქმეთა სამინისტროს ჰყავდა (მომჩივანთა სრული რაოდენობის 18 პროცენტი) და მას მხოლოდ ერთი საპრეტენზიო განცხადებით ჩამორჩებოდნენ სასამართლო ორგანოები, წელს სასამართლოს მომჩივნებმა პოლიციისას მნიშვნელოვნად გადააჭარბეს. ახლა, მომჩივანთა 17,9 პროცენტი უჩივის სასამართლოში საკუთარი უფლებების დარღვევას, ხოლო შინაგან საქმეთა ორგანოებს - 9,5 პროცენტი.

**"რომ არა შაბათის მოვლენები, შეიძლებოდა თქმულიყო, რომ სამართალდამცველ ორგანოებში, ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, სიტუაცია აშკარად გამოსწორდა,** - ამბობს ნანა დევდარიანი, - **მაგალითად, თბილისში, წინასწარი დაკავების ადგილებში, დარღვევებმა მნიშვნელოვნად იკლო; განსხვავებით რეგიონებისა, სადაც კვლავ მძიმე მდგომარეობაა. თუმცა, მოვახერხეთ წინასწარი დაკავების საკნებიდან საპატიმროში ვადების დარღვევით გადაყვანის პრობლემის ასე თუ ისე მოგვარება. მართალია, დაგვიანებები კიდევ არის, მაგრამ, უმეტესად ობიექტური მიზეზით და აღარც ისეთი დიდხნიანი, როგორც ადრე. იმავე წინასწარი დაკავებისას ცემის ფაქტები უმალ, საპყრობილეში გადაყვანისთანავე ფიქსირდება და ამაზე რეაგირებაც ხდება – მაშინვე დამნაშავე პოლიციელს სჯიან, მაგრამ ეს გამოსავალი მაინც არ არის. ცალკეული რეაგირებები არავითარ შემთხვევაში არ იქნება საკმარისი, თუ მთლიანად სისტემაში არ მოხდა ცვლილებები. ერთი, ორი და, თუნდაც, ასი პოლიციელის დასჯა შედეგს არ მოიტანს; მით უფრო, როცა მათ მიაჩნიათ, რომ უსამართლოდ დასაჯეს. არ ესმით, რატომ ისჯებიან იმისთვის, რომ დამნაშავე დანაშაულში გამოტეხეს".**


ნანა დევდარიანი

ნანა დევდარიანის აზრით, პოლიციაში სიტუაციის გამოსწორებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს იქ საგანმანათლებლო მუშაობის ჩატარება. სამართალდამცველი ორგანოებისთვის სემინარების ჩატარების პრაქტიკა სახალხო დამცველის ოფისს უკვე აქვს. ახლაც, 6-8 დეკემბერს, რუსთავში მსგავსი სემინარი ჩატარდა.

**"ასეთი სემინარები, როგორც წესი, მწვავე დებატებით იწყება, მაგრამ შემდეგ პოლიციის თანამშრომლები ხვდებიან ამა თუ იმ მიდგომის ავ-კარგს,** - მიიჩნევს ნანა დევდარიანი, - **საქმე ის გახლავთ, რომ პოლიციაში ადამიანის უფლებების დარღვევის მიზეზები არ შეიძლება მენტალობაში არ ვეძიოთ. დღეს შინაგან საქმეთა ორგანოები წმინდა საბჭოური მემკვიდრეობით მუშაობენ. მათთვის ახალი არავის არაფერი უსწავლებია. ამიტომ ასეთი შეხვედრები (განსაკუთრებით, რაიონებში) ძალზე შედეგიანია. მათ ბევრი რამის მიმართ ეცვლებათ დამოკიდებულება. მათ უნდა იცოდნენ, რომ დაკავებულის ცემის გამო პროტესტის გამოთქმით ჩვენ დამნაშავეს კი არა, საკუთარ თავს ვიცავთ, რადგან პოლიციაში ნაცემი ბრალდებული, შესაძლოა, მართლაც დამნაშავეა, მაგრამ სასამართლოს წინაშე სწორედ თავისი უფლებების დარღვევის გამო გაიმართლებს თავს და სასჯელს აიცილებს. ეს კი თითოეული მოქალაქის უფლების დარღვევაა, რადგან ყველა ადამიანს აქვს უფლება იცხოვროს უსაფრთხო გარემოში და პოლიციამ სწორედ ეს უნდა უზრუნველყოს".**

# მოსკოვში ექსტრადირებული ყარაჩაელი ტერორისტი ლაგოდეხში დააკავეს

ინგა ალავიძე


იუსუფ კრიმშამხალოვი

რუსეთის ფედერალური საგამოძიებო ბიუროს საგამოძიებო იზოლატორში – ლეფორტოვოს ციხეში გუშინ გფბ-ს თანამშრომლებმა ტერორისტობაში ბრალდებული იუსუფ კრიმშამხალოვის დაკითხვა დაიწყეს.

შაბათს საღამოს გასაიდუმლოებულ ვითარებაში თბილისიდან მოსკოვში ექსტრადირებული იუსუფ კრიმშამხალოვი 1999 წლის შემოდგომაზე მოსკოვსა და ვოლგოდონსკში მოწყობილი ტერაქტების ორგანიზებასა და შესრულებაშია დადანაშაულებული. იგი ტერაქტების მთავარი ორგანიზატორის, რუსეთის მიერ საერთაშორისო ძებნილად გამოცხადებული ვაჰაბისტი ბოევიკის აჩემაზ გოჩიაევის მთავარი თანაშემწე იყო.

გფბ-ს მონაცემებით, კრიმშამხალოვმა მოსკოვისა და ვოლგოდონსკის ტერაქტები ჩეჩნეთიდან ჩამოტანილი ასაფეთქებელი მოწყობილობებითა და ნივთიერებებით უზრუნველყო და უშუალოდ ხელმძღვანელობდა მათი აფეთქების ოპერაციას. ვოლგოდონსკის ტერაქტის შემდეგ, გოჩიაევის თანაშემწემ ჩეჩნეთს შეაფარა თავი, შემდეგ კი, რუსლან გელაევის დაჯგუფებასთან ერთად, პანკისის ხეობაში გადავიდა.

მოსკოვი ქართველი ძალოვნების მადლიერია: **"დიდ მადლობას ვუხდი საქართველოს პრეზიდენტს ტერორიზმის წინააღმდეგ დაწყებული წარმატებული ბრძოლისთვის. საქართველოს უშიშროების სამინისტრომ სერიოზული ღონისძიებები განახორციელა მოსკოვის ტერაქტის ორგანიზატორების წინააღმდეგ და გაანადგურა ოდიოზური ტერორისტები,"** – ასეთი შეფასება მისცა იუსუფ კრიმშამხალოვის ექსტრადიციას გუშინ კრემლში გამართულ სამთავრობო შეკრებაზე რუსეთის პრეზიდენტმა.

პრეზიდენტ პუტინის განცხადებას, ანუ იუსუფ კრიმშამხალოვის დაკავებისა და ექსტრადიციის ფაქტს, საქართველოს სამართალდამცველი სტრუქტურები კვლავ არ ადასტურებენ. **"უშიშროების სამინისტრო არ ადასტურებს ექსტრადიციის ფაქტს, არაფერი ვიცით კრიმშამხალოვის დაკავებისა და გადაცემის თაობაზე, ეს არასწორი ინფორმაციაა,"** - "24 საათთან" საუბრისას განაცხადა უშიშროების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ნიკა ლალიაშვილმა.

**"საქართველოს გენერალური პროკურატურის ნებართვის გარეშე ვინმეს ექსტრადიცია შეუძლებელია და ამიტომ რუსეთის მასმედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება.**

**საქართველოს გენერალური პროკურატურა კატეგორიულად უარყოფს რუსი კოლეგების მტკიცებას ქართული სპეცსამსახურების მიერ დაკავებული ჩეჩენი ტერორისტის იუსუფ კრიმშამხალოვის ექსტრადიციის შესახებ,"** – აცხადებენ გენერალური პროკურატურაში.

ქართველი სამართალდამცველები, ცოტა არ იყოს, სასაცილო სიტუაციაში არიან ჩავარდნილი. თუმცა, რატომ მალავენ ისინი სიმართლეს, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს: მათ სურთ საზოგადოებრივი პროტესტი აიცილონ, რაც ერთხელ უკვე იწვნიეს ჩეჩენ პატიმართა ექსტრადიციისას. თანაც, ქართველმა ძალოვნებმა კრიმშამხალოვის ოპერატიული გადაცემით ესქტრადიციის შესახებ კანონი და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებიც დაარღვიეს. ალბათ, ამიტომაც მალავენ მის დაკავება-გადაცემას.

არადა, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, იუსუფ კრიმშამხალოვი მართლაც ექსტრადირებულია. იგი პარასკევს ლაგოდეხის სიახლოვეს, სოფელ კაბალთან ყარაჩაელი ბოევიკების წინააღმდეგ ჩატარებული სპეცოპერაციისას დაჭრილი ის ბოევიკია, რომლის ვინაობაც ძალოვნებს არ დაუსახელებიათ. როგორც ცნობილია, ამ ოპერაციისას დაიღუპა სამი ბოევიკი – რასულ ხუბიევი, ტაგირ ბეჯიევი და ტიმურ ბატჩაევი.

15 ივლისს ურეკში დაკავებული და ასევე საიდუმლო ვითარებაში რუსეთისთვის გადაცემული ადამ დეკუშევი, ისევე როგორც ტიმურ ბატჩაევი და იუსუფ კრიმშამხალოვი აჩემაზ გოჩიაევის დაჯგუფების წევრები იყვნენ. რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ ქართველ ძალოვნებს მოსკოვისა და ვოლგოდონსკის ტერაქტებში ბრალდებული ოთხეულის დაკავების მოთხოვნა პირველად გაზაფხულზე გამოუგზავნა. დეკუშევის დაჭერის შემდეგ თბილისში რუსეთის პროკურატურის მორიგი შეტყობინება ჩამოვიდა. "ვოლგოდონსკის ტერაქტების მოწყობაში ბრალდებული ყარაჩაიჩერქეზეთის მცხოვრებლები აჩემაზ გოჩიაევი, იუსუფ კრიმშამხალოვი და ტიმურ ბატჩაევი იმალებიან საქართველოს ტერიტორიაზე, პანკისის ხეობაში. ქართველ კოლეგებს ვთხოვთ რუსეთის პროკურატურის მიერ ბრალდებულების დაკავებასა და გადმოცემას," – ასეთი იყო რუსი სამართალდამცველების მოთხოვნა.

კრიმშამხალოვისა და ბატჩაევის გადაადგილება, ანუ პანკისის ხეობიდან კაბალაში გამოტყუება უშიშროების სამინისტროს მიერ იყო დაგეგმილი, ისევე, როგორც თავის დროზე ადამ დეკუშევისა ურეკში.

მოკლედ, ლაგოდეხის ოპერაციით რუსეთის მორიგი მოთხოვნა ქართველმა ძალოვნებმა ფრიადზე შეასრულეს; მოსკოვის მიერ ძებნილი სამი ტერორისტიდან ერთი - ტიმურ ბატჩაევი მოკლულია, იუსუფ კრიმშამხალოვი კი ლეფორტოვის იზოლატორშია ეტაპირებული. დარჩა მესამე, მთავარი ტერორისტი – აჩემაზ გოჩიაევი, რომელიც, რუსეთის გფბ-ს მტკიცებით, პანკისის ხეობას აფარებს თავს.

## მოკლედ

**თბილისი.** 44 მსჯავრდებული ქალი შეუერთდა შიმშილობის აქციას, რომელსაც საქართველოს სხვადასხვა კოლონიებში ატარებენ შეწყალების მოლოდინში მყოფი პატიმრები. ქალები პრეზიდენტთან არსებულ კომისიას მიკერძოებაში ადანაშაულებენ და მათი საქმეების გადახედვას მოითხოვენ. **"კავკას-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** 8-საათიანი განხილვის შემდეგ, სოხუმის საქალაქო სასამართლომ პოლიციის მიერ ნატახტართან 6 დეკემბერს იარაღითა და ნარკოტიკებით დაკავებულ უშიშროების სამინისტროს სამ თანამშრომელს აღმკვეთ ღონისძიებად სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. **"კავკას-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** ფართომასშტაბიანი ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებისას, ისანი-სამგორისა და დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის თანამშრომლებმა თბილისში მცხოვრები ძმები არაქელოვების ბინიდან დიდი რაოდენობით საბრძოლო მასალა - ავტომატი "აკს" 4 მჭიდით, 4 ცალი ხელყუმბარა "ფ-1", ავტომატ "აკმ"-ის 2123 ცალი ვაზნა, ავტომატ "AKC"-ის 530 ცალი და კარაბინის 249 ვაზნა ამოიღეს. **"კავკას-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები ფლობდნენ მონაცემებს, რომ გარკვეული ძალები ქვეყანაში გეგმავდნენ ვითარების კიდევ უფრო დაძაბვას, კერძოდ, ფართომასშტაბიან ტერორისტულ აქტებს თბილისში, რაც გახდა მიზეზი 7 დეკემბერს თბილისში განხორციელებული ღონისძიებისა, - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა ტრადიციულ რადიოინტერვიუში. **"კავკას-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** დაუდგენელი პირების მიერ კაფე "ჰარმონიაში" ურთიერთშელაპარაკებისას დანით დაჭრილი 22 წლის ახალგაზრდა, თბილისში, მოსკოვის გამზირის 48-ე კორპუსში მცხოვრები ლევან მუშკუდიანი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. **"კავკას-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიციამ დააკავა გორში მცხოვრები ზურაბ დავითაშვილი, რომელსაც თავისი ავტომანქანა "ურალით" გადაჰყავდა მგზავრები - თბილისში მცხოვრები ვახტანგ ბედუკაძე, გორში მცხოვრები ჯაბა დავითაშვილი და მირზა მიხანაშვილი. ავტომანქანების შემოწმებისას ძარაში აღმოაჩინეს რუსული წარმოების 50 000 კოლოფი უაქციზო სიგარეტი (საერთო ღირებულებით - 100 000 ლარი).

ზემოთ აღნიშნულ ავტომანქანას გორში მცხოვრები ზურაბ წინამძღვრიშვილი "უაზით" აცილებდა, რომელშიც ისხდნენ ტვირთის მფლობელები, უნომრო "ბრაუნინგის" სისტემის პისტოლეტითა და 8 საბრძოლო ვაზნით შეიარაღებული გორში მცხოვრები კახა ბუთხუზი და "სკს"-ის სიტემის შაშხანითა და 10 ვაზნით შეიარაღებული გორში მცხოვრები დავით ჯიბლაშვილი. **"კავკას-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, საგანგებო ლეგიონის თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ამხილეს რუსეთის ფედერაციის მოქალაქე მაისოვი, რომელმაც, საბაჟო წესების გვერდის ავლით, "კამაზის" მარკის მისაბმელიანი ავტომანქანით რუსეთიდან საქართველოში 25 ტონა მზესუმზირა შემოიტანა. **"ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგანგებო ლეგიონის თანამშრომლებმა უფლებამოსილების გადამეტებისა და უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღძრეს შპს "აირი"-ს დირექტორის პეტრიაშვილის წინააღმდეგ, რომელმაც სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებითა და ლიცენზირების პირობების დარღვევით შპს "აირს" 53,4 ათასი ლარის არაკანონიერი შემოსავალი მიაღებინა. **"ინტერ-პრესი"**

BRITISH AMERICAN TOBACCO GEORGIA

ბრითიშ-ამერიქენ თობაქო საქართველო

„ბრითიშ-ამერიქენ თობაქოს" განცხადება

**„ვაისროის"** ახალი სახე
(**„ვაისროი"** ცვლის დიზაინს)

საქართველოს სიგარეტის ბაზრის ლიდერის — სიგარეტ **„ვაისროის"** დიზაინი იცვლება. კომპანია **„ბრითიშ-ამერიქენ თობაქოს"** გადაწყვეტილებით დეკემბრიდან ყველა მოზრდილი მწეველი, რომელიც აკეთებს არჩევანს მისწიოს სიგარეტი, მიიღებს ჩვეულ, საუკეთესო ხარისხის მსუბუქ და სრულ არომატიან **„ვაისროის"** გაცილებით უკეთეს დიზაინის მქონე კოლოფებში.

კომპანია იმედოვნებს, რომ კოლოფის ახალი დიზაინი დაიცავს **„ვაისროის"** მომხმარებლებს სიყალბისგან. კოლოფის განსხვავებული დიზაინი გაუიოლებს მომხმარებელს, განასხვავოს ნამდვილი პროდუქცია ყალბისაგან.

**„ბრითიშ-ამერიქენ თობაქოს"**
მენეჯმენტი

ვაისროი




ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო გაფრთხილებთ:
მოწევა მავნებელია თქვენი ჯანმრთელობისათვის. მოწევა იწვევს გულის დაავადებებს.

# არასრულწლოვანთა დანაშაული ადეკვატური რეაქციაა, მაგრამ ისჯება

*არასრულწლოვანის ციხეში მოხვედრა უფრო დრამაა. ტრაგედია მერე იწყება, ციხიდან გამოსვლის შემდეგ, როცა სასჯელმოხდილს არ იღებს სამყარო, რომელმაც ის დანაშაულამდე მიიყვანა. ვინ იზრუნებს მათზე? წყალში ხომ არ ჩაიყრება იმ ადამიანთა მონდომება, რომლებიც კოლონიაში არასრულწლოვანი დამნაშავეების განათლებაზე, სამართლებრივ აღზრდასა და ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციაზე ზრუნავენ? ან იქნებ მოვიდა დრო, როცა საზოგადოებამ უფრო მეტად უნდა იზრუნოს იმაზე, რომ ბავშვები "იქ" არ მოხვდნენ, მანამდე მაინც, სანამ სასჯელაღსრულების დეპარტამენტი და სხვა ორგანიზაციები მათი სატუსაღო პირობების გაუმჯობესებისთვის ნაირგვარ პროგრამებს შექმნიან.*

დალი კუპრავა

### ვინ აალაგებს გაშლილ მაგიდას?

ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრის ინიციატივით, ფონდის "ღია საზოგადოება - საქართველოსა" და იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებითი დეპარტამენტის მხარდაჭერით, არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე: "არასრულწლოვანი დამნაშავე და განათლება".

შეხვედრას, რომელიც გუშინ არასრულწლოვანთა სასჯელაღსრულების ავჭალის კოლონიაში გაიმართა, არავინ და არაფერი აკლდა: ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრის ხელმძღვანელი და თანამშრომლები, არასამთავრობო ორგანიზაცია-ასოციაცია "სკოლა, ოჯახი, საზოგადოება", UNICEF-ის წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში, სახელმწიფო კანცელარიის წარმომადგენელი, იუსტიციის მინისტრის მოადგილე, შსს-სა და განათლების სამინისტროს რესპექტაბელური წარმომადგენლები... თითქოს მთელი ქვეყანა შეყრილიყო, რომ "კევას", "პუტინსა" და სხვა ბიჭებს დახმარებოდნენ სასჯელის მოხდაში.

საუკეთესო, გულწრფელი სურვილი ამოძრავებდათ იქ მყოფთ, მაგრამ გულის სიღრმეში, შესაძლოა, თითოეული მათგანი ფიქრობდა, ამაოდ ხომ არ ვირჯებითო.

ამას ადასტურებდა ბევრი მათგანის მიერ გამოთქმული შიში ამ ბავშვების ახლო მომავალზე: კარგი, ჩვენ აქ მივხედეთ, ვაჭამეთ, ჩავაცვით, ვასწავლეთ და მათ სულში ადამიანებისადმი ნდობის პატარა მარცვალი მაინც ჩავაგდეთ, მაგრამ აქედან რომ გავლენ?

"ამას წინათ, ბაზრობაზე, ორი ყოფილი მოსწავლე შემხვდა. ვესაუბრე, მინდოდა, გამერკვია, ისევ უკუღმართ გზას ხომ არ დაუბრუნდნენ... მითხრეს, რა ვქნათ, ჯერ არ ვმუშაობთ - არავინ არ გვენდობა, რადგან კოლონიაში ვისხედითო", - ამბობს კოლონიის ციხის დირექტორი არჩილ ბერიძე. ის საუკეთესო მაგალითებს იხსენებს თავისი პედაგოგიური პრაქტიკიდან: ერთ-ერთი სასჯელმოხდილი დღეს უნივერსიტეტში კათედრის გამგეა, მეორე - ბალტიის ფლოტის სამედიცინო სამსახურის უფროსი, ხუთნი დღეს სწავლობენ აგრარულ უნივერსიტეტში...

შეხვედრაზე წამოიჭრა მოზარდების კოლონიაშივე დასაქმების საკითხი: როგორ აითვისონ არასაგაკვეთილო დრო, როგორ "გააუვნებლყონ" ენერგია, რომელიც ამ ასაკში მოჭარბებულად აქვთ.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსმა პაატა მხეიძემ დაიჩივლა, რომ საზოგადოებისგან ნაკლებად იგრძნობა დახმარების სურვილი და დამსწრეთ სთხოვა ხელშეწყობა, რომ კოლონიელებისთვის თიხის გამოსაწვავი პატარა საწარმო დააპროექტონ. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ბიჭების სპორტით დაკავება, რისთვისაც ინვენტარია საჭირო. "ერთმა ბიზნესმენმა რომ ბურთები უყიდოს, მეორემ - ბოტასები", - შესთავაზა იქ არმყოფ საქმიან ადამიანებს ეკა ებრალიძემ, სახელმწიფო კანცელარიის განყოფილების უფროსმა. "სპორტი მათი სექსუალური ენერგიის გარდაქმნასაც შეუწყობს ხელს და გაუკულმართებულ ურთიერთობებსაც გადარჩებიანო", - თქვა ცენტრის ფსიქოლოგმა მანანა მიქაბერიძემ.


ვიდრე "მრგვალი მაგიდა" კოლონიელების ბედზე ბჭობდა, ბიჭები ეზოში წრიალებდნენ
გოგიტა ბახაიძის ფოტო

### არც კოლონიაა სანატორიუმი და არც გისოსები ჰგავს გაფრენილ თოლიებს

"რამე დანაშაული ხომ არ ჩავიდინო, რომ დასასვენებლად აქ მოვხვდე?" - შსს-ს თბილისის სამმართველოს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორმა ამ მოსწრებული ხუმრობით კოლონიის კარგ პირობებზე მიანიშნა.

"ვუყურებ ამ გისოსებს და გაფრენილ თოლიებს მაგონებს. ღმერთმა ქნას, თქვენი აღსაზრდელებიც თოლიებივით გაფრენილიყვნენ აქედან", - უსურვა კოლონიის დირექტორს სახელმწიფო კანცელარიის წარმომადგენელმა.

მაგრამ კოლონია სანატორიუმი არ არის და ძლიერი ფანტაზიაა საჭირო, რომ გისოსმა თოლია მოგაგონოს, მით უმეტეს, სადილის მოლოდინში პატიმარი ბიჭების ხმას ვერ ახშობს მოხურული კარი და სასადილოში, სადაც "სასაუბრო მრგვალი მაგიდაა" გაშლილი, ძალიან ცივა.

კოლონია არ თბება. რამდენიმე ელექტროღუმელი სიცივეს ვერ ტეხავს. "კევას" ქურთუკი არ ჰქონია, სხვებსაც - ისე რა თბილად აცვიათ, მაგრამ ქალაქის ქუჩებშიც, თავისუფლებაშიც ხომ ხშირად გვხვდებიან შილიფად ჩაცმული აბუზული ბიჭები.

როგორც ფსიქოლოგმა აღნიშნა, კოლონიაში ბიჭები ელემენტარული, ადეკვატური რეაქციის შედეგად ხვდებიან. მაგალითად, შიათ და იპარავენ, სცივათ და იპარავენ, ავად ჰყავთ ვინმე, იპარავენ. და, საერთოდ, ყოფის პროტესტის ნიშნად იპარავენ... "დანაშაულს, ძირითადად, ემოციურად განვითარებული, მაგრამ გონებრივად განუვითარებელი და მოუმწიფებელი მოზარდები ჩადიან", - თქვა ფსიქოლოგმა, რომელმაც კოლონიაში არასრულწლოვანების ყოფნას ქრონიკული ძალადობის განსხვავებული ფორმა უწოდა.

ამ ბავშვებს საკუთარი უფლებების ცოდნა სჭირდებათო, აღინიშნა შეხვედრაზე. ამ მიზნით UNICEF-მა მათ წიგნები გამოუგზავნა. "მათ კარგად იციან საკუთარი უფლებები, იციან სისხლის სამართლის კოდექსიც. რაც სათავისოდ სჭირდებათ, იციან, მაგრამ, როგორც ყველგან, ჩვენთანაც მოვალეობების არცოდნა უფრო აფუჭებს საქმეს. აი, უფლება-მოვალეობების დაბალანსება რომ შეიძლებოდეს, საქმე აწყობილი იქნებოდა", - გვითხრა კოლონიის დირექტორმა გიორგი ასათიანმა.

გაერო-ს წარმომადგენელმა ისმაილ ოულდ შეიხ ახმედმაც აღნიშნა, რომ უფლებებზე საუბარი მოვალეობების შეხსენების გარეშე მედლის ერთი მხარეა. მანვე თქვა, რომ უნისეფი მერიასთან, სახელმწიფო კანცელარიასთან ერთად იმსჯელებს იმაზე, თუ რა ტიპის დახმარება იქნება ეფექტიანი.

### ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი

პროექტს "არასრულწლოვანი დამნაშავე და განათლება" ახორციელებს ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი (ხელმძღვანელი ბელა სარია) და ასოციაცია "სკოლა, ოჯახი, საზოგადოება" (პრეზიდენტი პაატა პაპავა). პროექტი მიზნად ისახავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებითი დეპარტამენტის არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ჰუმანიზაციას; ფსიქო-საკორექციო და საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვას. ამ მიზნის მისაღწევად სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება სკოლის მასწავლებელთა და აღმზრდელთა გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, მათი დამოკიდებულების შეცვლას: აღსაზრდელების, მათი უფლებების, პიროვნული თავისებურებებისა და სასწავლო აღმზრდელობითი ამოცანებისა და პროცესის დაგეგმვის მიმართ.

ცენტრმა და ასოციაციამ გუშინ კოლონიაში მიიტანეს სახელმძღვანელოები, რომლებიც გამომცემელთა ასოციაციის სახელით ლევან ფოფხაძემ გაუგზავნა კოლონიის ბიბლიოთეკას;

ტელევიზორი და ვიდეოაპარატურა სოროსისგან.

უახლოეს მომავალში "ფონდი - ღია საზოგადოება საქართველო" კოლონიას კომპიუტერსაც გადასცემს, ოღონდ ერთი პირობით: სასჯელაღსრულების დეპარტამენტი მის ინტერნეტში ჩართვას უზრუნველყოფს.

ეკა ებრალიძის განცხადებით, ბავშვთა მდგომარეობის გასაუმჯობესებელ ერთიან პროგრამაზე მუშაობს სახელმწიფო კომისია. ამ პროგრამის ერთ-ერთი პრიორიტეტია განსაკუთრებულ მდგომარეობაში მყოფი მოზარდების მდგომარეობის გაუმჯობესება. პროგრამას უშუალოდ პრეზიდენტი ხელმძღვანელობს. ამიტომ მისი ამოქმედება 2003 წლიდან გარანტირებულია. "თუმცა, ბელა სარიამ და ცენტრმა უკვე დაიწყეს ამ პროგრამის მიზნების განხორციელება", - აღნიშნა სახელმწიფო კანცელარიის წარმომადგენელმა.

***P.S.*** *ვიდრე "მრგვალი მაგიდა" კოლონიელების ბედზე ბჭობდა, მისჯილი ბიჭები ეზოში წრიალებდნენ. მათი სადილობის დრო კარგა ხნის გადასული იყო.*

*თვალსაზრისი*

# როგორ ხვდება საქართველო ადამიანის უფლებების დღეს 21-ე საუკუნეში

## 10 დეკემბერი ადამიანის უფლებების დღეა

პირველი გვერდიდან

დემოკრატიული თანამეგობრობის წევრობის სურვილით აღვსილი საქართველოს ხელისუფლება მუდმივად არღვევს ადამიანის უფლებებს და თანაც, ამაყად საუბრობს ქვეყანაში მიმდინარე პროგრესულ რეფორმებსა და სერიოზულ ცვლილებებზე.

ბოლო რამდენიმე თვე განსაკუთრებით აღმაშფოთებელი და ცინიკური იყო. მაშინ, როდესაც ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის წევრიც საქართველოა, ცალსახად საუბრობს ქვეყანაში ადამიანის უფლებების მდგომარეობის გაუარესებაზე, როდესაც გაერო-ს ყველა კომიტეტი ჩვენს ქვეყანაში გახშირებული სასტიკი და არადემოკრატიული მოვლენების შესახებ უმკაცრეს გადაწყვეტილებებს იღებს, როდესაც ევროპის სასამართლო დაჩქარებული პროცედურით იწყებს საქართველოს წინააღმდეგ საქმის განხილვას, აგონიაში მყოფი ჩვენი ხელისუფლება სულ უფრო მეტ შეცდომას უშვებს და საკუთარი სიძლიერის დემონსტრირებას თითოეული ჩვენგანის შეურაცხყოფით, დაშინებითა და აბუჩად აგდებით ცდილობს. ყველაზე უფრო სამწუხარო ის არის, რომ ქვეყნის ხელისუფლების აგონიის თანამონაწილე გახდა ყველა სახელმწიფო ორგანო და დაწესებულება.

სამხედრო პროკურორი სახალხო დამცველს პატივისა და ღირსების შელახვისათვის უჩივის; ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრი ისედაც სასტიკი და ადამიანების წამების გამართლებაზე ორიენტირებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კიდევ უფრო დამძიმებასა და გამკაცრებას მოითხოვს; გენერალური პროკურატურა საქართველოში დაკავებულ ადამიანებს სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას ართმევს და ერთპიროვნული გადაწყვეტილებით მათ ექსტრადიციას ახორციელებს; ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნებთან დაკავშირებით შესულ ათეულობით საჩივარს განხილვის გარეშე ტოვებს და არჩევნებს ჩატარებულად აცხადებს.

განსაკუთრებულ შეშფოთებას, მაინც, ქვეყანაში ადამიანის უფლებებისა და კონსტიტუციის უზენაესობის გარანტის - საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები იწვევს. საკონსტიტუციო სასამართლო, ჩვენი ხელისუფლებისათვის ჩვეული სიჯიუტით, განაგრძობს სახელმწიფო აპარატის ხელშეუხებლობის უმაღლეს ღირებულებად გამოცხადებას. სწორედ ამიტომ, ჩვენი მოვალეობაა, ადამიანის უფლებების დაცვის დღეს, საზოგადოებას შევახსენოთ, სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ქვეყანაში ადამიანის უფლებების უპატივცემულობისა და კონსტიტუციით აღიარებული ღირებულებების დისკრედიტაციის შესახებ, რათა გავფანტოთ ქვეყნის დემოკრატიული განვითარების კურსის შესახებ საფუძველსმოკლებული ოპტიმიზმი.

ყველაზე შემაშფოთებელი ის არის, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ჯერ კიდევ ვერ ახერხებს, თავი დააღწიოს დიადი საბჭოთის სამართალწარმოებისათვის დამახასიათებელ მსჯელობასა და სტილს. გადაწყვეტილებებში საკონსტიტუციო სასამართლო სულ უფრო ხშირად გვესაუბრება იმის შესახებ, რომ "გაბატონებული სოციალური და ეთიკური შეხედულებების თანახმად", უფლებები და თავისუფლებები არ არსებობს "გარანტირებული შეზღუდვებისა" და "თავისუფლების შემზღუდავი ჩარევის" გარეშე და ასეთი შეზღუდვები აუცილებელია, "განსაზღვრულ ტერიტორიაზე ადამიანთა მოწესრიგებული თანაცხოვრებისათვის". ამასთანავე, 2002 წელს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო სერიოზულ "აღმოჩენას" აკეთებს: თურმე ნუ იტყვით, უზენაესი ღირებულება "საჯარო უსაფრთხოება" და "სახელმწიფო ორგანოთა ხელშეუხებლობა" ყოფილა! და როდესაც ამ "დაცულ სიკეთეებს" საფრთხე ემუქრება, აუცილებელი და უპირობოა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა. გაუგებარია, თავისთავად, გარანტირებული შეზღუდვა რას ნიშნავს დღევანდელ მსოფლიოში და ჩვენს კონსტიტუციურ სინამდვილეში, როდესაც ადამიანის უფლებების თეორია და პრაქტიკა მთლიანად სახელმწიფო ორგანოების მხრიდან თმენის ვალდებულებასა და სახელმწიფო ორგანოების შეზღუდვის პრინციპებს განამტკიცებს. საქართველოში უზენაესი კანონი აცხადებს, რომ "ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულნი არიან უფლებებითა და თავისუფლებებით".

კიდევ უფრო საინტერესოა საკონსტიტუციო სასამართლო განცხადება: "თავისუფლების შემზღუდავი ჩარევის აუცილებლობა იქიდან გამომდინარეობს, რომ უფლებათა განხორციელება **მესამე პირთა ინტერესებს** აყენებს ზიანს" და ძალიან ხშირად სწორედ მესამე პირთა **"ინტერესებს",** და არა უფლებებსა და თავისუფლებებს აცხადებს "დაცულ სიკეთედ". სამწუხაროდ, საკონსტიტუციო სასამართლო კიდევ ერთხელ ცდება და სულ უფრო აშორებს საქართველოს დემოკრატიული ქვეყნების თანამეგობრობაში სრულფასოვანი წევრობის შესაძლებლობას. თუმცა, ეს გასაკვირი არ არის, ვინაიდან პოლიტიკურ კონიუნქტურას დაქვემდებარებული სასამართლოსათვის დღეს, როდესაც ასე მომრავლდა ქვეყნის უზენაესი ხელისუფალის საწინააღმდეგო შეკრებები და მანიფესტაციები, წარმოუდგენელი უნდა იყოს ამ უფლების რეალიზებისათვის მყარი გარანტიების განმტკიცება. ადამიანებისათვის ასეთი უფლებით სარგებლობის დაშვება ხომ დღევანდელ რეალობაში სწორედ ქვეყნის უზენაესი ხელისუფალის საწინააღმდეგო შეკრებებისა და მანიფესტაციების დაშვების ტოლფასია, ეს უკანასკნელი კი, სამართლიანობა მოითხოვს, ვაღიაროთ, ნამდვილად ლახავს მის ინტერესებს. თუმცა, გაუგებარია, რა იგულისხმება სამართლებრივად "მესამე პირთა ინტერესებში," როგორც დაცულ სიკეთეში. მაგალითად, პრეზიდენტის ინტერესია, რომ მას არ აკრიტიკებდნენ და კორუფციისა და უზნეობის მფარველობაში არ ადანაშაულებდნენ. არის ეს სამართლებრივად დაცული სიკეთე?

საკონსტიტუციო სასამართლო გამუდმებით იყენებს ისეთ ტერმინებს, როგორებიცაა: ხელისუფლებამ უნდა "აკრძალოს", "შეზღუდოს", "არ დაუშვას" და ა.შ. როდესაც გადაწყვეტილებას კითხულობ, სახელმწიფო კანცელარიაში ან თავად პოლიციაში დაწერილი ბრძანების შთაბეჭდილება გრჩება. ადამიანის უფლებების დაცვის თაობაზე სარჩელების განხილვისას, ყველა ქვეყანაში საკონსტიტუციო სასამართლოები უფლებით აღჭურველი პოზიციებიდან საუბრობენ. უმთავრესი, რაც აკლია ქართულ საკონსტიტუციო სამართალწარმოებას, ეს არის "ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტაცია", შეზღუდვებისა და აკრძალვების უფლებათა და თავისუფლებათა პერსპექტივით განხილვა და გაანალიზება. ძალზე დასანანია, რომ აკრძალვების გამართლების ძიებაში დამაშვრალი სასამართლო მუდმივად რუსეთის კანონმდებლობას იშველიებს, როგორც მაშინ, საბჭოურ წარსულში, როდესაც ასეთი მითითებები სავალდებულო იყო.

კიდევ ერთი სამწუხარო რეალობა. საკონსტიტუციო სასამართლოს დღევანდელმა შემადგენლობამ თავად ვერ გააცნობიერა, რომ კანონის უზენაესობა - ეს არის ერთადერთი ბერკეტი, რომელიც ამ ქვეყანას გარდაუვალ კატასტროფას ააცილებს და რომ საკონსტიტუციო სასამართლოა სწორედ ის ორგანო, რომელიც კანონისა და კონსტიტუციის უზენაესობის სადარაჯოზე უნდა იდგეს. ამის ბრალი, ალბათ, ის გაზრდილი მოთხოვნილებები და მაღალი სტანდარტია, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოების გადაწყვეტილებების შეფასებისათვის გამოიყენება. საკონსტიტუციო სასამართლო არასოდეს, არც ერთ ქვეყანაში არ განიხილებოდა ტიპიურ სასამართლო ინსტანციად, რომელიც მხოლოდ კანონების ე.წ. "ბუკვალური" განმარტებით უნდა შემოიფარგლებოდეს. განსაკუთრებით, ყოფილი სოციალისტური ბლოკის ქვეყნებში, ეს უკანასკნელი კანონის უზენაესობისა და კონსტიტუციური წესრიგის დამკვიდრების უმთავრესი ბერკეტი იყო, რომელიც არაპოპულარული და პოლიტიკურად მძიმე გადაწყვეტილებების მიღებით იმკვიდრებდა სახელსა და რეპუტაციას. ამის სანაცვლოდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები სისტემატურად არღვევენ საკუთარი საქმიანობის მარეგულირებელ კანონებს. მხოლოდ ერთი - "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია პარლამენტის წინააღმდეგ" - საქმის განხილვისას, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებმა რამოდენიმეჯერ დაარღვიეს კანონის მოთხოვნები. ჯერ იყო და, კანონის უხეში დარღვევით ვერ გაარკვიეს, როდის უნდა დანიშნულიყო სარჩელის არსებითი განხილვის სხდომა. ალბათ, ზოგიერთი მოსამართლის თამამი გადაწყვეტილება, რომ შეკრებებისა და მანიფესტაციების კანონის განხილვა სწრაფად მომხდარიყო, უარყოფითად შეაფასეს ძლიერთა ამა ქვეყნისათა და საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებსაც სხვა არაფერი დარჩენოდათ, თუ არა ყოვლად გაუგონარი, არაკომპეტენტური და სტუდენტისათვისაც კი შეუფერებელი პასუხები გაეცათ მომჩივანი მხარისათვის. თუმცა, ალბათ, კანცელარიისათვის შესაბამისი გარანტიების გაცემის შემდეგ, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო საქმის დაწყების უფლება. ამის შემდეგ, გამწესრიგებელი სხდომის ოქმში ჩაწერეს, რომ იურისტთა ასოციაციის სარჩელი მიღებულია არსებითი განხილვისთვის, შემდეგ სხდომის ორი მესამედი სარჩელის პირველი ორი მოთხოვნის განხილვას დაუთმეს, იმავე თემაზე არგუმენტაციას გადაწყვეტილებაში 3 გვერდი მიუძღვნეს და ბოლოს ჩაწერეს, რომ "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია აღნიშნულზე **ვერ იდავებს",** ხოლო "საკონსტიტუციო სასამართლო **ვერ იმსჯელებს** მათ კონსტიტუციურობაზე". სამწუხაროდ, საკონსტიტუციო სასამართლო ისევ ცდება. ჩვენ უკვე ვიდავეთ, სასამართლომ იმსჯელა, როგორც მოგახსენებდით, სწორედ ამ დავას სხდომის 2/3 მიეძღვნა, ხოლო კანონი ამბობს, რომ ჯერ კიდევ გამწესრიგებელ სხდომაზე მომხსენებელი მოსამართლე მოახსენებს "სარჩელის ან მასში მითითებული რომელიმე საკითხის არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმისათვის". ხოლო ასეთი უარის თქმის ერთ-ერთ საფუძველს, იმავე კანონის შესაბამისად, სარჩელის არა უფლებამოსილი პირის მიერ შეტანა წარმოადგენს. და ბოლოს, საკონსტიტუციო სასამართლომ შეკრებებისა და მანიფესტაციების ჩატარებისათვის დაშვებულ და აკრძალულ ადგილებზე მსჯელობისას გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ შესაძლო "მავნე პრაქტიკის დანერგვაზე" და "ნორმის არასწორად გაგებასა და გამოყენებაზე" ვერ იმსჯელებდა. მაშინ, როცა ჩვენი კანონები და საერთაშორისო სამართალი ცალსახად აცხადებს, რომ კანონები და ნორმები ჩვეულებრივი ადამიანებისათვის გასაგებ ენაზე უნდა იწერებოდეს და ბუნდოვანებისა და მრავალგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას არ უნდა იძლეოდეს. შესაბამისად, თუკი ასეთი გაუგებრობა არსებობს, საკონსტიტუციო სასამართლოს ვალდებულებაა, განმარტოს ნორმა და შესაბამისობაში მოიყვანოს კონსტიტუციასთან, ესეც რომ არ იყოს, საკონსტიტუციო სასამართლომ ისევ დაარღვია კანონი, ვინაიდან კანონი ცალსახად მოითხოვს, რომ კანონის "შემოწმებისას, საკონსტიტუციო სასამართლო მხედველობაში იღებს სადავო ნორმის არა მარტო სიტყვა-სიტყვით მნიშვნელობას, არამედ მასში გამოხატულ ნამდვილ აზრსა და მისი გამოყენების პრაქტიკას".

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების მხრიდან კანონმდებლობის უხეშ დარღვევებს, ჩემი აზრით, რამოდენიმე მიზეზი აქვს. უპირველეს ყოვლისა, არ მინდა დავიჯერო, რომ მოსამართლეებმა არ იციან კანონმდებლობა, ისინი, უბრალოდ, ცდილობენ, ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ კონიუნქტურას დაემორჩილონ, რაც, სამწუხაროდ, ხშირად სწორედ კანონის დარღვევის ხარჯზე ხდება შესაძლებელი; მეორე, კანონის იგნორირებით პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები, ისევე როგორც სახელმწიფო ჩინოვნიკების უმეტესობა, ალბათ, თვლის, რომ კანონების დარღვევისათვის მათ პასუხი არ მოეთხოვებათ; და მესამე, საკონსტიტუციო სასამართლოშიც, სამწუხაროდ, მოქმედებს ქვეყანაში საყოველთაოდ აღიარებული პრინციპი, მთავარია, უზენაესი ხელისუფალი იყოს ბედნიერი და რა მნიშვნელობა აქვს, კანონები და კონსტიტუცია რას ამბობენ. თანაც, თუკი შენ საბოლოო ინსტანცია ხარ, რატომ უნდა გაუშვა ხელიდან ასეთი შანსი.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი მიტინგებისა და მანიფესტაციების შესახებ გადაწყვეტილების მიღების ისტორიიდან. საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილება ა/წ 5 ნოემბერს გამოიტანა, ხოლო 6 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულება, სადაც გენერალურ პროკურორს ეთხოვა "შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონის დარღვევის ფაქტებზე სამართლებრივი რეაგირება ამ სფეროში სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარების მიზნით", ხოლო იუსტიციის მინისტრს - კანონის გამოყენების პრაქტიკის შესწავლა და შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების მომზადება "როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ორგანოების ნორმალური ფუნქციონირებისა და მუშაობისათვის აუცილებელი სამართლებრივი გარანტიების შესაქმნელად". საინტერესო დამთხვევაა. ბუნებრივად იბადება კითხვა: რომელი აქტი მომზადდა პირველად, პრეზიდენტის განკარგულება თუ სასამართლოს გადაწყვეტილება?

გადაწყვეტილება, რომელიც 5 ნოემბერს მიიღო საკონსტიტუციო სასამართლომ, პირველი არ არის შეზღუდვებისა და აკრძალვების სერიიდან, რომელსაც იგი წლების განმავლობაში ამკვიდრებს. სამწუხაროდ, ეს ტენდენცია კიდევ უფრო საგრძნობი ბოლო პერიოდში გახდა და სასამართლოს დღევანდელი ხელმძღვანელობა ნამდვილად არ გვიტოვებს გაუმჯობესებაზე ოცნების შესაძლებლობასაც კი. სამწუხაროდ, ჩვენმა საკონსტიტუციო სასამართლომ ვერ შეძლო იმ ისტორიული ფუნქციის შესრულება, რომელიც მსგავს ინსტიტუტებს ყველა ახალ დემოკრატიულ ქვეყნებში ეკისრებათ. გავკადნიერდები და შეგახსენებთ, საკონსტიტუციო სასამართლოს უმთავრესი ფუნქციაა, იბრძოლოს სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობისათვის და არა - დაემორჩილოს და ლოიალობა გამოუცხადოს არსებულ პოლიტიკურ რეჟიმს.

ეს სიტყვები ვინმეს უსაგნო კრიტიკად რომ არ მოეჩვენოს, საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთ ცნობილ გადაწყვეტილებას მოვიშველიებ, რომელშიც ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მონაწილეობდა.

2000 წელს, ისევე როგორც სხვა მრავალ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლომ ვერ გაბედა პარლამენტისათვის ეთქვა, რომ საქართველოს ყველა მოქალაქე თანასწორია და უფლება აქვს, ისარგებლოს კონსტიტუციით გარანტირებული პოლიტიკური უფლებებით, მათ შორის, აირჩიოს და არჩეული იყოს ქვეყნის მმართველობით ორგანოებში. ამის სანაცვლოდ, საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში ჩაწერა: "როგორც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე გვატყობინებს, საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2000 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, შექმნილია საარჩევნო კანონმდებლობის შემმუშავებელი ინტერფრაქციული ჯგუფი, რომელიც ახალი საარჩევნო კანონმდებლის შემუშავებისას გაითვალისწინებს კონსტიტუციურ სარჩელში აღნიშნულ საკითხებსაც". სწორედ ეს შეტყობინება გახდა საფუძველი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და საქართველოს ასი ათასობით მოქალაქის საარჩევნო უფლების გარეშე დატოვებისა. მაშინ, სამწუხაროდ, პასუხი არ გაეცა უმთავრეს კითხვას: რომელი კანონის რომელი მუხლის საფუძველზე მიიჩნია საკონსტიტუციო სასამართლომ, პარლამენტის თავმჯდომარესთან, სავარაუდოდ, სატელეფონო საუბარი, უტყუარ მტკიცებულებად?

საკონსტიტუციო სასამართლოს 5 ნოემბრის გადაწყვეტილებას, ყველა წინა გადაწყვეტილებისაგან ის განასხვავებს, რომ ამჯერად იგი გაცილებით შორს წავიდა და უზენაესი კანონის ყველაზე ფუნდამენტური და, ჩემი აზრით, უმნიშვნელოვანესი დებულებების ინტერპრეტაცია მოახდინა, ჩვეული "საბჭოური თუ პოსტსაბჭოური" მანერით. კონსტიტუციის მე-7 მუხლი, რომელიც, კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, ხალხისა და ხელისუფლების ადამიანის უფლებებითა და თავისუფლებებით შეზღუდვაზე საუბრობს, საკონსტიტუციო სასამართლომ ისე განმარტა, რომ "ადამიანისათვის მინიჭებული და აღიარებული უფლება ვერ იქნება განუსაზღვრელი და არ შეიძლება იქნეს აბსოლუტური". ამით, ჩვენი აზრით, საკონსტიტუციო სასამართლომ საბოლოოდ განაცხადა უარი არა მარტო შეკრებებისა და მანიფესტაციების უფლების რეალიზების შესაძლებლობაზე, არამედ საჯაროდ განაცხადა: მომავალშიც ნუ შემაწუხებთ მსგავსი სარჩელებით, ვინაიდან არ არსებობს შეუზღუდავი და აბსოლუტური უფლებებიო.

საერთაშორისო სამართალი და ადამიანის უფლებების ის დოკუმენტები, რომელიც სავალდებულოა, საქართველოსათვის – შესასრულებლად, საკონსტიტუციო სასამართლოსათვის კი – სახელმძღვანელოდ, ცალსახად აცხადებენ, რომ დღევანდელ მსოფლიოში არსებობს უფლებები, რომლებიც არავითარ შეზღუდვებს არ ექვემდებარებიან და მათ, ქვეყანა რომც იქცეოდეს, ვერ შეეხები. ასეთია, მაგალითად, წამების აკრძალვა, მონობის აკრძალვა, სიცოცხლის უფლების ხელყოფის აკრძალვა. შესაბამისად, მიუხედავად ყველაფრისა, იმედს ვიტოვებთ, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ამ უფლებების განმარტებისას მაინც გამოიყენებს საერთაშორისო პრაქტიკას, დაეყრდნობა საკუთარი ქვეყნის კონსტიტუციას და უარესი მაგალითების დემონსტრირებისათვის რუსეთისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების მაგალითებს არ მოგვიყვანს.

ნომრის პერსონა

# ერაყში სამხედრო მოქმედებების დაწყება გავლენას იქონიებს პოლიტიკური ურთიერთობების მთელ სპექტრზე

## ინტერვიუ გაეროში საქართველოს სპეციალურ წარმომადგენელთან რეზო ადამიასთან

*ოთხი თვის წინ გაეროში საქართველოს სპეციალურ წარმომადგენლად რეზო ადამიას დანიშვნა საკმაოდ მოულოდნელ ფაქტად იქცა, რადგან ადამია ოპოზიციაში გადასული ჟვანიას გუნდის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან წევრად ითვლებოდა. სამაგიეროდ, ადამიას დანიშვნა სასიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდა ამერიკელებისათვის. ჯერ კიდევ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს ამერიკელი პოლიტიკოსები, სამხედროები და ანალიტიკოსები საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ პროფესიონალად აღიარებდნენ. დღეს გაეროში საქართველოს სპეციალური წარმომადგენლის მთავარი მისია აფხაზეთის პრობლემაზე მუშაობაა. საქართველოს წარმომადგენლობა, ბოლო რამდენიმე თვეა, გაეროში უშიშროების საბჭოს სხდომას ელოდება, რომელზეც აფხაზეთთან დაკავშირებით სპეციალური რეზოლუცია უნდა მიიღონ. მაგრამ რუსეთის წარმომადგენლობის წინააღმდეგობის გამო, ყველა დაგეგმილი სხდომა გადაიდო.*

ეკა კვესიტაძე

- საუბარია იმაზე, რომ ბოდენის დოკუმენტს უშიშროების საბჭომ ოფიციალური მხარდაჭერა მისცეს. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი რუსი კოლეგები საკითხის ასე დაყენებას არ ეთანხმებიან. როგორც ჩანს, გაეროში წარმოდგენილი რუსი დიპლომატები ჯერჯერობით ასეთ ინსტრუქციებს იღებენ.

ამის გამო უკვე რამდენჯერმე გადაიდო უშიშროების საბჭოს სხდომა. მნიშვნელოვანია, რომ დღეს უშიშროების საბჭოს დახურული, არაფორმალური კონსულტაციები ჩატარდება, სადაც გაეროს გენერალური მდივნის მოადგილის ჟან მარი გიენოს მოხსენებას მოისმენენ. რაიმე ტექსტზე, რაიმე რეზოლუციაზე ან უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის განცხადებაზე, ამ შემთხვევაში, საუბარი არ არის, რადგან ტექსტის შეთანხმება მეგობრების ჯგუფს შიგნით ვერ მოხერხდა. ამ შეთანხმების გარეშე კი, უშიშროების საბჭოს სხდომაზე არანაირი ტექსტი არ გამოდის.

რეზოლუციას ყოველთვის მეგობრების ჯგუფი ამზადებს. ამ მეგობრების ჯგუფში კი რუსეთიც შედის.

**- რა მიზანს ისახავს გიენოს მოსმენა? რომ მეგობარ ქვეყნებს კიდევ ერთხელ შეექმნათ წარმოდგენა იმ სიტუაციაზე, რომელიც დღეს აფხაზეთშია?**

- მხოლოდ იმას, რომ უშიშროების საბჭო გაეცნოს, თუ როგორ აფასებს აფხაზეთში შექმნილ სიტუაციას გაეროს მაღალჩინოსანი. გიენო, ალბათ, ისაუბრებს იმაზე, თუ რა დამოკიდებულება აქვთ მხარეებს ბოდენის დოკუმენტის მიმართ. შესაბამისად, ამ თემაზე უშიშროების საბჭოს შიგნით კონსულტაციები ისევ გაგრძელდება.

**- გაეროს პროცედურის მიხედვით, თუ უშიშროების საბჭოს ერთი წევრი ქვეყანაც კი არ ეთანხმება რეზოლუციის ტექსტს, ეს რეზოლუცია მიღებული ვერ იქნება. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რუსეთს თავისი პოზიცია აფხაზეთთან მიმართებაში არ შეუცვლია, არსებობს თუ არა საერთოდ იმის შანსი, რომ ბოდენის დოკუმენტმა გაეროს ოფიციალური რეზოლუციის სახე მიიღოს?**

- თვითონ ბოდენის დოკუმენტს, როგორც ასეთს, რუსეთმა მხარი დაუჭირა. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ამას მთელი ორი წელი დასჭირდა, ისიც სხვა მეგობარი ქვეყნების მხრიდან მუდმივი ზეწოლის პირობებში.

მაგრამ როდესაც ბოდენის დოკუმენტის განხორციელებაზე იწყება საუბარი, რუსეთის წარმომადგენლების მხრიდან გარკვეულ ობსტრუქციას ისევ ვაწყდებით.

დღეს მე არაფერი მაძლევს იმის საფუძველს, ვივარაუდო, რომ რუსები პოზიციას შეცვლიან. თუმცა, ეს, პირველ რიგში, დამოკიდებულია იმ კონსულტაციებზე, რომელიც მეგობართა ჯგუფის წევრებმა ერთმანეთს შორის უნდა ჩაატარონ. მე შემიძლია, დარწმუნებით გითხრათ, რომ ეს კონსულტაციები აქტიურად მიმდინარეობს. პრაქტიკულად, ყოველ კვირას ხდება სხვადასხვა დონეზე მათი შეხვედრა, იქნება ეს ექსპერტების თუ ელჩების დონე.

ახლა გაჩნდა იდეა, რომლის ავტორები საქართველოს პრეზიდენტი და ბრიტანეთის სპეციალური წარმომადგენელი კონფლიქტების მოგვარების საქმეში, ბატონი ბრაიან ფოლი არიან, რომ ჩატარდეს მეგობრების ჯგუფის მაღალი დონის შეხვედრა, რათა ნათელი გახდეს, თუ როგორ ხედავენ ისინი აფხაზეთის პრობლემის მოგვარების გზებს.

სამწუხაროდ, რუსეთი ამაზეც არ დათანხმდა და ეს იდეა ჯერჯერობით მხოლოდ კონსულტაციების დონეზე განიხილება.

**ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, რა ბერკეტები არსებობს ამ შემთხვევაში?**

პირველ რიგში, ბუნებრივია, არსებობს პოლიტიკური დიალოგის გზა. ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი, გარკვეული გავლენა აქვთ რუსეთის პოზიციაზე და მათ ამ გავლენის გამოყენება შეუძლიათ. გავიხსენოთ თუნდაც ბუშისა და პუტინის სამიტის ერთობლივი დეკლარაცია, სადაც ხაზგასმული იყო აფხაზეთის პრობლემის მშვიდობიანი მოგვარების აუცილებლობა.

არსებობს მეორე მომენტიც. გარკვეული პრესია ერთდროულად საქართველოზეც და რუსეთზეც. ეს გახლავთ რუსი სამშვიდობოების მანდატი, რომელიც მიბმულია გაეროს დამკვირვებელთა მანდატზე და რომელსაც ვადა იანვარში გასდის.

რუსეთის ასეთი ხისტი პოზიციის შემთხვევაში, სავსებით შესაძლებელია, საქართველოში ისევ მწვავედ დადგეს საკითხი, რომ რუს სამშვიდობოებს მანდატი აღარ გაუგრძელდეთ.

ძნელია იმის თქმა, თუ რა შედეგები შეიძლება გამოიწვიოს მოვლენათა ასეთი სცენარით განვითარებამ. ბუნებრივია, ეს სცენარი ყველასთვის სარისკოა, პირველ რიგში კი, ჩვენთვის. მაგრამ მანდატის საკითხის პოლიტიკური ზეწოლის ბერკეტად გამოყენება ნამდვილად შესაძლებელია.

**- თქვენ ახსენეთ ბუშისა და პუტინის მაისის სამიტი, სადაც დეკლარაციის დონეზე მოხდა შეთანხმება, რომ აფხაზეთის კონფლიქტი უნდა მოგვარდეს. ამ სამიტის შედეგ საქართველოში, ისევე როგორც ამერიკაში, გარკვეული მოლოდინი გაჩნდა. ამერიკის ადმინისტრაციამ სპეციალური წარმომადგენელიც დანიშნა. რუდოლფ პერინამ, ისევე როგორც გაეროს გენერალური მდივნის მოადგილემ, თბილისში ვიზიტის დროს ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ, პირველ რიგში, აუცილებელია ბოდენის დოკუმენტის ამოქმედება. იყენებს თუ არა ამერიკის ადმინისტრაცია ზეწოლის ბერკეტებს, რათა რუსეთმა მხარი დაუჭიროს ბოდენის დოკუმენტისთვის რეზოლუციის სახის მიცემას?**

- პრაღის სამიტის დროს შედგა რუსეთისა და ამერიკის პრეზიდენტების შეხვედრა. ამ შეხვედრაზე არ იყო საუბარი რაღაც კონკრეტული დოკუმენტის მიღებაზე, მაგრამ ის, რომ პრეზიდენტებმა საქართველოზეც ისაუბრეს, ამას სახელმწიფო დეპარტამენტი ნამდვილად არ მალავს. ამის შესახებ პრესკონფერენციაზე პრეზიდენტმა ბუშმაც განაცხადა და მოუწოდა რუსეთის პრეზიდენტს, აქტიურად ითანამშრომლოს საქართველოსთან ანტიტერორისტულ საქმიანობაში.

მაგრამ რუსეთი არ არის ის ქვეყანა, რომელიც მალე თმობს თავის პოზიციებს. სამწუხაროდ, დღემდე რუსეთის ხელისუფლებაში სჯერათ, რომ აფხაზეთის პრობლემის მოგვარებაში მათ ისევ ის პოზიცია უნდა ეკავოთ, რომელიც აქამდე ჰქონდათ. ანუ, ოფიციალურად განაცხადონ, რომ რუსეთი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და, ამავე დროს, მხარი დაუჭიროს სეპარატისტულ ხელისუფლებას.

როგორც ჩანს, ეს პროცესი გარკვეული პერიოდი კიდევ გაგრძელდება და როგორც მეგობრების ჯგუფის, ისე საქართველოს მხრიდანაც ძალისხმევის გაზრდას მოითხოვს.

**- ამ ეტაპზე, რამდენად დიდია მეგობარი ქვეყნების აქტიურობა და ზეწოლა რუსეთზე?**

- მე კიდევ ვიმეორებ, რომ პრეზიდენტების შეხვედრაზე მეტი მაღალი დონე არ არსებობს. საქართველო კი მუდმივად არის რუსეთისა და ამერიკის პრეზიდენტების ყველა შეხვედრისა და ყველა სატელეფონო საუბრის ერთ-ერთი მთავარი თემა.

გარდა ამისა, როგორც იცით, აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში ძალიან აქტიურად ჩაერთო ბატონი რუდოლფ პერინა, ძალიან დაინტერესებული ჩანს ბატონი ბრაიან ფოლიც, რომელიც ბევრს მოძრაობს ვაშინგტონს, მოსკოვსა და თბილისს შორის.

რა თქმა უნდა, კიდევ დარჩა სივრცე, რომ ეს აქტიურობა გაიზარდოს და, შესაბამისად, პრობლემის მოგვარების უფრო კონკრეტული გზებიც გამოიკვეთოს.

ჩვენი ძალისხმევა სწორედ იქით არის მიმართული, რომ გაეროში ყველას დავანახოთ კრემლის ორმაგი სტანდარტი, რაც, სხვათა შორის, რუსეთის წარმომადგენლობას ძალიან არ სიამოვნებს.

ვაშინგტონში ჩვენი საელჩოც ასევე ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ გაიზარდოს აფხაზეთის პრობლემის ხვედრითი წილი რუსეთ-ამერიკის ყველა დონის მოლაპარაკებებში.

**- რაც შეეხება რუს სამშვიდობოებს. რამდენიმე ხნის წინ თავად პრეზიდენტი გამოვიდა რუსი სამშვიდობოების წინააღმდეგ და შესაბამისი დადგენილება პარლამენტმაც მიიღო. თუმცა, შევარდნაძემ პოზიცია მალევე შეცვალა. მაგრამ რაც ყველაზე მთავარია, რუსი სამშვიდობოების გასვლის წინააღმდეგი გაეროც იყო. როგორი სიტუაციაა ამ ეტაპზე, იმ ფონზე, როცა რუსეთი არანაირ დათმობაზე არ მიდის უშიშროების საბჭოში, ხომ არ შეცვალა თავისი პოზიცია გაერომ და ხომ არ დგას საკითხი რუსი სამშვიდობოების ჩანაცვლების შესახებ?**

- დღესდღეობით არც გაეროში, არც სადმე სხვაგან არ არსებობს რაიმე მზადყოფნა იმისათვის, რომ აფხაზეთში რუსი სამშვიდობოების სხვა ძალით ჩანაცვლება მოხდეს. თუ გახსოვთ, პრეზიდენტმა პოზიცია მაშინ შეიცვალა, როცა სახელმწიფო დეპარტამენტისა და გაეროს გენერალური მდივნის მხრიდან ძალიან მკვეთრი განცხადებები გაკეთდა.

მაგრამ არ შეიძლება უსასრულოდ ასე გაგრძელდეს. რუსი სამშვიდობები მხოლოდ მესაზღვრეები არიან საქართველოსა და აფხაზეთს შორის და არანაირად არ უზრუნველყოფენ იქ სპონტანურად დაბრუნებული ხალხის უსაფრთხოებას. ლტოლვილების ორგანიზებულ დაბრუნებაზე ხომ საუბარი საერთოდ არ არის. ასეთ სიტუაციაში, ბუნებრივია, საქართველოს მოსახლეობას უჩნდება სულ უფრო და უფრო ნეგატიური დამოკიდებულება ამ ძალის მიმართ.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ემოციური გადაწყვეტილება არ იქნას მიღებული. რა თქმა უნდა, ჩვენ შეგვიძლია განვაცხადოთ უარი რუს სამშვიდობოების ყოფნაზე კონფლიქტის ზონაში, მაგრამ თუ ეს პროცესი რეალურად დაიწყო, კარგად უნდა გვესმოდეს, რომ, შეიძლება, დიდი საფრთხის წინაშე აღმოვჩნდეთ.

ამიტომ ეს ისეთი საკითხია, როცა გადაწყვეტილების მიღებას სერიოზული აწონ-დაწონვა სჭირდება. მე არ ვამბობ იმას, რომ ჩვენ კმაყოფილები უნდა ვიყოთ რუსი სამშვიდობოებით, მაგრამ ისიც უნდა გავაცნობიეროთ, რა შეიძლება მოხდეს, თუ ეს ძალები გავლენ. ჩვენ უნდა გავთვალოთ ის ნაბიჯებიც, რომელიც თვითონ რუს სამშვიდობოებს შეუძლიათ გადადგან, მაგალითად, წასვლის წინ კონფლიქტის ზონაში ტოტალური დესტაბილიზაცია გამოიწვიონ.

**- ჩვენი ურთიერთობა რუსეთთან დიდწილად არის დამოკიდებული რუსეთ-ამერიკის ურთიერთობებზე. ერთი პერიოდი, ამ ორ სახელმწიფოს შორის დაწყებულ თანამშრომლობაზე დიდ იმედებს ამყარებდნენ დასავლელი მიმომხილველები, თუმცა მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ რუსეთ-ამერიკას შორის დამყარებული ურთიერთობების ახალი ეტაპი გაცილებით მეტ სირთულეებს შეიცავდა, ვიდრე ეს თავიდან ჩანდა. ერაყის პრობლემამ კიდევ უფრო გაურკვეველი გახდა, თუ რა გზით შეიძლება განვითარდეს რუსულ-ამერიკული პარტნიორობა. თქვენი აზრით, რა ეტაპზეა დღეს ეს ურთიერთობები და მათი გაუარესების შემთხვევაში, რა გავლენას მოახდენს ეს საქართველოზე?**

- ეს ურთიერთობები გავლენს ახდენს არა მარტო ჩვენზე, არამედ მთელი მსოფლიოს პოლიტიკურ არქიტექტურაზე.

მოლოდინი იმისა, რომ, ამ ახალი სტრატეგიული ურთიერთობების დამყარების შედეგად, ჩვენსა და რუსეთს შორის ყველა პრობლემა მოგვარდება, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებულია.

კიდევ ვიმეორებ, ჯერჯერობით აღქმა იმისა, რომ ერთიანი და ძლიერი საქართველო რუსეთის ინტერესებშიც შედის, რუსეთის პოლიტიკურ ელიტაში ნულოვან დონეზეა. მაგრამ რაღაც ტრანსფორმაციის პროცესი რუსეთშიც მიდის. ჩვენ დღესაც მოვისმინეთ, თუ როგორი განსხვავებული დამოკიდებულება აქვს პრაღის სამიტის შემდეგ რუსეთს ნატოს მიმართ და ეს უკვე იქ დაწყებულ დადებით ძვრებზე მიუთითებს.

რაც შეეხება ერაყს. არც ერთი პროცესი განყენებულად არ მიმდინარეობს. ერაყთან დაკავშირებული რეზოლუციის მიღების პროცესში, ბუნებრივია, ამერიკელები რაღაც დათმობებზე წავიდოდნენ, ან დროებითზე, ან მუდმივზე, ეს უკვე მოლაპარაკებების ტექნოლოგიის საკითხია. თუ ერაყში საომარი მოქმედებები დაიწყო, ეს გავლენას იქონიებს არა მარტო ერაყზე, არამედ პოლიტიკურ ურთიერთობათა მთელ სპექტრზე, ამერიკასა და რუსეთს, ამერიკასა და ევროპის ქვეყნებს, თვითონ ევროპის ქვეყნებს შორის და ასე შემდეგ.

ახლა ამის პროგნოზირება ძალიან ძნელია. მით უმეტეს, რომ ჯერ ისიც კი არ არის გარკვეული, როგორ განვითარდება ურთიერთობები ერაყთან. თუ ბაღდადი დათანხმდა ყველა იმ პირობას, რომელსაც მას საერთაშორისო საზოგადოება უყენებს, მაშინ მოვლენები ერთი სცენარით განვითარდება; თუ არ დათანხმდა და საომარი მოქმედებები დაიწყო, მაშინ სხვა სცენარი იქნება. მაგრამ ამაზე ახლა მსჯელობა უფრო მარჩილეობას დაემსგავსება, ვიდრე სერიოზული პროგნოზების გაკეთებას. ამიტომ ამ თემაზე საუბარი ცოტა ხნით გადავდოთ. მით უმეტეს, რომ პროცესები სწრაფად ვითარდება და, ჩემი ვარაუდით, სადღაც ზამთრის ბოლოსკენ უფრო გამოჩნდება, რა სცენარით წარიმართება მოვლენები.

**- და მაინც, თუ ამერიკამ დაიწყო საომარი მოქმედებები ერაყში, და ამერიკა-რუსეთს შორის ურთიერთობები დაიძაბა, როგორ აისახება ეს საქართველოზე?**

- კიდევ უფრო ნეგატიურად როგორ უნდა აისახოს? გარდა ამისა, საქართველოში უკვე ისეთი პროცესები ვითარდება, რომელიც მომავალში გარკვეულ შედეგებს მოიტანს. თუნდაც "წრთვნისა და აღჭურვის პროგრამა", რომელიც ქვეყნისათვის სტრატეგიული მნიშვნელობისაა. მნიშვნელოვანია, როგორ განვითარდება ეს პროგრამა, რა ფორმას მიიღებს და რა ურთიერთობები ჩამოყალიბდება პრაღის სამიტის შემდგომ ნატოსთან.

ეს წელი ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის, დაიწყო "წრთვნისა და აღჭურვის" პროგრამა, პრაღის სამიტზე გაკეთდა განაცხადი ნატოში შესვლასთან დაკავშირებით, ბაქო-ჯეიჰანის მშენებლობის საქმეც ადგილიდან დაიძრა. ყოველივე ამას მომავალში თავისი გამოვლინება ექნება, ეს აფხაზეთის საკითხზეც მოახდენს გავლენას.

**- თუმცა, რაც არ უნდა ბევრი გააკეთოს ამერიკის ადმინისტრაციამ და სხვა მეგობარმა ქვეყნებმა, ის საკითხები, როგორებიც არის აფხაზეთის პრობლემის მოგვარება და ნატოში გაწევრიანება, არ გადაწყდება მანამ, სანამ ქვეყანაში რეფორმები არ დაიწყება და ეკონომიკური პრობლემები არ მოგვარდება.**

- რა თქმა უნდა, გარე ფაქტორები განყენებულად ვერ მოახდენენ გავლენას ქვეყანაზე. იმისათვის, რომ კონკრეტული შედეგები მივიღოთ, აუცილებელია, რეფორმები მიმდინარეობდეს და სახელმწიფო ეკონომიკურად ძლიერდებოდეს.

არ შეიძლება, ქვეყანაში იყოს ქაოსი, არ ჩანდეს ეკონომიკური პროგრესი და ველოდოთ, რომ ყველაფერს გარედან შემოგვიტანენ, როგორც ოსტაპ ბენდერი ამბობდა, ცისფერქობიანი ლანგრით. ბუნებრივია, ჩვენ ძალიან სერიოზული ნაბიჯი უნდა გადავდგათ სამხედრო და სამართალდამცავი სტრუქტურების რეფორმის, საგადასახადო სისტემის მოდერნიზაციისთვის და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.



რეზო ადამია

ვახო კარელის ფოტო

სექტემბრიდან რუსთავი 2 იწყებს ახალ შოუს – „ხალხის პირისპირ". ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.

ხალხის პირისპირ

მაშ ასე, შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ, შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს და ინსტრუქციებს).

შეკითხვის ტექსტი:

პასუხის ტექსტი:

## მალხაზ ხარბედიას სვეტი

# ჩვენი დრო ახალ „ელისოს„ ელის



რეცეპტი პირველი ქართული ნობელის მოსაპოვებლად

*გუშინწინ შვედეთის აკადემიაში სალიტერატურო ნობელის ბოლო ლაურეატმა, იმრე კერტესმა თავისი ლექცია წაიკითხა. კათედრაზე მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟული პრემიის კიდევ ერთი ლაურეატი იდგა, პრემიისა, რომელიც წლიდან წლამდე სულ უფრო პოლიტკორექტული და ლიტერატურის მიმართ არაკორექტული ხდება.*

ნობელის მესვეურთა გემოვნებასთან გაშინაურებული ლიტერატურის მოყვარულებისთვის კომიტეტის შარშანდელი არჩევანი, ალბათ, სავსებით გასაგები იყო, **ვ.ს. ნაიპოლმა** ხომ უსწრაფესი რეაქცია გამოავლინა ისლამის საკითხებთან დაკავშირებით. სავაჭრო ცენტრის დაცემიდან ლამის მეორე დღესვე (ანუ ყველაზე ოპერატიულად) მან მოახერხა ყველაზე მწვავე შეფასება მიეცა ამ მოვლენისთვის, დაასწრო **მურაკამის, რუშდის, აპდაიკს, ორჰან პამუკს** და ნეღოსაც, სწორედ ამ შარშანდელი მოვლენებიდან გამომდინარე, მოველოდით, რომ პრემიას ამერიკელ მწერალს მისცემდნენ, თუმცა, როგორც ამბობენ, ისევ პოლიტკორექტულობის ფაქტორმა იმარჯვა და წლევანდელი ანტიამერიკული განწყობილების გამო, თავი შეიკავეს ამგვარი "განაჩენისგან". საბედნიეროდ, 2002 წლის პრემია, შარშანდელისგან განსხვავებით, რეტროსპექტული აღმოჩნდა, იგი მიანიჭეს ადამიანს, რომელიც მთელი ცხოვრება ჰოლოკოსტზე წერდა, წერდა თანმიმდევრულად და პირქუში სიდიადით.

ეჰ, რას გაუგებ ნობელის კომიტეტს, წინასწარ ვერავინ იტყვის, სად დაესობა მათი ინტერესების შუბი - მარქსიზმზე, მშრალ კანონზე, ჰარლემურ აღორძინებაზე თუ ჰოლოკოსტზე. არადა, ადრე სულ სხვაგვარად იყო: 1946-1950 წლებში ზედიზედ მიიღეს პრემიები **ჰერმან ჰესემ, ანდრე ჟიდმა, ტომას ელიოტმა, უილიამ ფოლკნერმა და პერ ლაგერკვისტმა,** რაც იმას ნიშნავს, რომ ომისშემდგომმა ნობელმა ხუთწლედს შეედგომ პოლიტკორექტულობის გარეშე ჩაიარა.

ეს ხუმრობით, მაგრამ მოდით კვლავ დავუბრუნდეთ ნობელის კომიტეტს ჩანაფიქრის შეუცნობლობის საკითხს და შევეცადოთ გავერკვეთ ამ მექანიზმში. მის ასახსნელად კი თანამედროვე ტექნოლოგიებს მივმართოთ. ყველამ, ვისაც კომპიუტერთან უმუშავია, იცის რა არის Winamp-ის ფლეიერი. უბრალო პროგრამაა, ჩაყრი შიგ mp3-ის მუსიკალურ ფაილებს და უსმენ რიგ-რიგობით. მაგრამ ერთი ოპცია აქვს ამ ფლეიერს, shuffle ქვია, რომლის აქტივიზირებითაც ფლეიერი რიგის მიხედვით კი არა, თავის ნებაზე ურევს, ამორჩევით. მაგალითად გუშინ ჩემი ერთ-ერთი მუსიკალური ფოლდერი გავხსენი, ჩავყარე ყველა, ანუ 765 სიმღერა და play-ს დავაჭირე. პირველი სიმღერა დასრულდა თუ არა, 76-ზე გადახტა, შემდეგ 135-ზე, 720-ზე, 518-ზე და ა.შ. ასეთი პრინციპით მოსმენისას დიდი შანსია, რომ რომელიმე შენი საყვარელი სიმღერა მთელი ორი დღის განმავლობაში ვერ მოისმინო. აქ, ამორჩევის არანაირი კანონზომიერება არ არსებობს და ისეც შეიძლება მოხდეს, რომ ზოგმა სიმღერამ საერთოდაც ვერ გაიჟღეროს, მითუმეტეს როცა დიდი არჩევანია.

ეს ვითარება ძალიან ჰგავს ლიტერატურული ნობელის გაცემის მექანიზმს. სამწუხაროდ ბევრია შესანიშნავი მწერალი (წარსულშიც და აწმყოშიც), რომელსაც უწყალოდ გადაახტა ეს shuffle-კალია, ოპცია სახელად ნობელის ჟიური. ამიტომაც არ უნდა გაგვიკვირდეს, როცა ბოლო დროს ბუფონადადან **(დარიო ფო)** კელტური სიძველეებისკენ **(შეიმას ჰინი)** გადახტებიან ხოლმე, პორტუგალიელი კომუნისტიდან **(ჟოზე სარამაგუ)** კი 50 წლის წინ ახმიანებულ თუნუქის დოლზე **(გიუნტერ გრასი)** და თუკი სადმე ნაფტალინის სუნი იგრძნო ვინმემ, ანუ თუკი პრემია "ასი წლის წინანდელი", თანაც არალიტერატურული დამსახურებისთვის მიანიჭეს, მოტივაციასაც აუცილებლად შესაფერისს მოუძებნიან. მაგალითად ისევ კერტეშის გუშინწინდელი სანობელე ლექცია გამოდგება, რომელიც ასეთი სიტყვებით მთავრდებოდა: "შესაძლოა პარადოქსულად მოგეჩვენოთ, მაგრამ აუშვიცზე ფიქრისას, წარსულს კი არა, მომავალს ავსახავდი"-ო.

თუმცა, ერთი რამ უნდა ვაღიარო, კერძოდ კი ის, რომ კერტეშის ნობელმა ბევრს გაუხსნა მადა უნგრული ლიტერატურის მიმართ. მაგალითად, გუშინ "გარდიანში" ტრადიციულ "ვინ რას კითხულობს"-ში ამოვიკითხე, რომ ცნობილი ბრიტანელი მწერალი, **ჯულიან ბარნსი** მთელი კვირაა გატაცებით კითხულობს 30-იანი წლების უნგრელი მწერლის, **შანდორ მარაის** რომანს. ბოლო ორი თვის განმავლობაში ინტერნეტში არაერთხელ გაიჟღერა **პეტერ ესტერჰაზის** სახელმაც, რომლის უკანასკნელ, 800 გვერდიან რომანსაც (Harmonia Caelestis), უკვე კაი ხანია "აძღება" მთელი ევროპა (ყველაზე მეტად კი გერმანელები).

და კიდევ ერთი, კერტეშმა ზუსტად ნობელის დღეებში მიიღო **ჰანს საჰლის პრემიაც** (10 000 ევრო) და ჯილდოს გადაცემისას ისიც კი თქვა: "თუკი გსურთ სიმართლე იცოდეთ საკონცენტრაციო ბანაკების შესახებ, ჩვენ გვკითხეთ. ჩვენ უკანასკნელნი ვართ, ვინც გადავრჩით"-ო. მალე ალბათ ეს მოწმეებიც გაქრებიან და ნობელიც დაკარგავს თავის მასშტაბს, ე.წ. shuffle-ურ გაქანებას, რადგან შემცირდება "სახტომი სივრცე".

ეს რაც შეეხება წლევანდელ ნობელს, მაგრამ ჩვენ რაღა ვქნათ, ქართველებმა, რომლებიც ვერსად გადავხტებით, რადგანაც არა გვაქვს ასეთი იდეოლოგიური კუნძულები. ჩვენ ხომ ფეხებგაჩაჩხული ვდგავართ ორ პატარა ბორცვზე, რომელთაგან ერთი საკმაოდაა დაძირული (წარსული), მეორე კი ჯერ არ ამოწვერილა, ვერ მოიკიდა ნიადაგი (მომავალი). და სწორედ აქ იწყება ჩემი რეცეპტი, რომელიც აუცილებელ პირობად თანამედროვე ქართული ლიტერატურის გარკვეულ უუნარობას გულისხმობს და ეს უუნარობა პირველ რიგში იმის ვერდანახვაში გამოიხატება, რაც ირგვლივ ხდება. ვიღაცა შემომედავება, თავი დაგვანებე შენი რეფერენციალური ხრიკებით, რაში გვჭირდება რეალობაზე მინიშნებაო. რის საპასუხოდაც ვიტყვი, რომ - კი ბატონო, ნუ მიანიშნებთ რეალობაზე, გამოიგონეთ, ოღონდ რეალური იყოს ეგ თქვენი გამონაგონი.

შესაძლოა, უცნაურადაც ჟღერდეს ეს "რეალური გამონაგონი", მაგრამ აბა გაიხსენეთ, განა ასეთი გამონაგონი არაა **დანიელ ჭონქაძის "სურამის ციხე", ილია ჭავჭავაძის "კაცია-ადამიანი?!", მიხეილ ჯავახიშვილის "ჯაყოს ხიზნები",** ან ჩვენი თანამედროვეს, **აკა მორჩილაძის "მოგზაურობა ყარაბახში".** კიდევ ერთი მახსენდება, კერძოდ კი **ყაზბეგის "ელისო"** და ამ ნაწარმოების ხსენებაზე, განსაკუთრებული ყურადღება გმართებს მკითხველო. არა, ჩემს მიმართ ყურადღებას არა გთხოვ, რეალობას მიაპყარი შენი სასმენელ-სანახავი და იმასაც გაარჩევ, თუ როგორა ჰგავს ამ მოთხრობას ერთი ნაწყვეტი ჩვენი სინამდვილიდან.

ჩეჩნებზე მოგახსენებთ, საბრალო ხალხზე, ვისაც ერთი მწერალიც არ გამოუჩნდა ყველაფერ იმის დასაწერად, რაც მათ თავს ხდება და რაც სხვებსაც მოუვლინეს. ასეთ მწერალზე, ალბათ კარგა ხანია ხელებს იფშვნეტენ ნობელის კომიტეტში და ვიდრე რუსებს დაუსწრიათ, იქნებ ვინმე ჩვენებურიც გამოჩნდეს. არადა, როგორი თემაა! ჩეჩენთა აყვანის სამიდღისწინანდელი ოპერაციის თუ სანახაობის დეტალები რომ მიამბეს, აშკარა გახდა, რომ კარგი მწერლის ხელში ამგვარი ამბები მართლაც კარგად შეისხამდა ხორცს. ეს კი უფლებას მაძლევს მოვუწოდო მწერლებს: მიდით, დაეკითხეთ ჩეჩნებს, მოაყოლეთ ამბები, სანამ მოწმენი ცოცხლები არიან, რადგან ვინ იცის, იქნებ, - კერტეშისა არ იყოს - ეს ადამიანები უკანასკნელნი არიან, ვინც გადარჩა.

ისევ "ელისოზე" მინდა მოგახსენოთ: დღეს ჩეჩნების საკითხის ყაზბეგისეული ხედვა ყველაზე თანამედროვეა, რადგან ბარათაშვილისეული "კავკასო ძრწოდე! შეირყა ჩეჩენიც დასამხობელი! ვის არა აღტაცების სული ამ ამბის მცნობელი?" კარგა ხანია ისტორიის საკუთრება გახდა (ამ თემას თავის დროზე ბრწყინვალე წერილი უძღვნა **ზაზა კვერცხიშვილმა**). დღეს ახალი ელისოებისა და ვაჟიების დრო მოვიდა. წავიდა ალი და ნინოს ასი წლის წინანდელი, მოსაწყენი ისტორიით ტკბობის ხანა. ჩვენს დროს ახალი "ელისო" სჭირდება, ისტორია, სადაც "რაღაცა იდუმალი სიჩუმე, იდუმალი სევდა იგრძნობა, რომელიც ნებაუნებლივ სიტყვას აწყვეტინებს და ხმას აკმენდინებს კაცს", ამბავი ადამიანებისა - დაღვრემილი სახითა და მფეთქავი გულით.

იქნებ კიდევ ერთხელ შეგვძრას ვინმემ იმ ზუზუნით, იმ შემაძრწუნებელი გლოვის ხმით, გოდებითა და გმინვით, "რომელიც სწყდებოდათ მათ გულის საძირკვლიდან და იკარგებოდა ჰაერში!..."

ნუ დავკარგავთ ამ ხმას და ნობელიც ჩვენი იქნება! თანაც, პოლიტკორექტული ნობელი.

# ახალი სტიმული და ახალი იმედები

## სტუდენტური "დებიუტი" გაიხსნა

თამარ სუხიშვილი

სტუდენტური სპექტაკლებისა და ფილმების კონკურს-ფესტივალი "დებიუტი" გუშინ პრესკონფერენციით გაიხსნა. პრეკონფერენცია თეატრალურ ინსტიტუტში, ძველი "სპარტაკის" შენობაში გაიმართა. ფესტივალის ორგანიზატორებს იმედი აქვთ, რომ მომავალ წელს დანგრეული კინოთეატრი აღდგება და მთელ ფესტივალს (როგორც სპექტაკლებს, ასევე ფილმებს) სწორედ "სპარტაკი" უმასპინძლებს. "დებიუტი" თეატრალური ინსტიტუტის პრორექტორმა, ბატონმა ვასილ კიკნაძემ გახსნა. როგორც გამომსვლელებმა აღნიშნეს, ამ ფესტივალმა ბევრს ახალგაზრდობის ოცნებები გაახსენა, სტუდენტობის დროს ჩვენც გვინდოდა ანალოგიური ფესტივალის გამართვა და ძალიან მოხარული ვარ, რომ ეს სურვილი 15 წლის შემდეგ მაინც განხორციელდაო, - ამბობს რეჟისორი ანდრო ენუქიძე. პრესკონფერენციაზე, დაპირებისამებრ, ჟიურის წევრები გამოაცხადეს: **"დებიუტის" ჟიურის წევრები არიან:**

**თეატრალური ხელოვნების დარგში**

თეატრმცოდნე ზაზა სოფრომაძე (თავმჯდომარე)

მსახიობი მურმან ჯინორია

რეჟისორი ანდრო ენუქიძე

თეატრმცოდნე მაია გოშაძე

სცენოგრაფისტი ნინო ჩიტაიშვილი

**კინოხელოვნების დარგში**

კინომცოდნე გურამ ნავროზაშვილი (თავმჯდომარე)

მსახიობი ზურაბ ბეგალიშვილი

რეჟისორი ნანა ჯანელიძე

კინომცოდნე არჩილ შუბაშვილი

ოპერატორი ლერი მაჩაიძე

ჩემთვის ცოტა ძნელი იქნება შეფასება, - აღნიშნა მურმან ჯინორიამ, რომელმაც წინასწარ გაამხნევა ყველა მონაწილე: ბუნებრივია, ვიღაცა ვიღაცას ჯობია, აქ გასაკვირი არაფერია, მთავარია, სტიმული გქონდეთო, - თქვა მსახიობმა.



"დებიუტის" ემბლემა
ავტორი ნინო თათარაშვილი

კონკურს-ფესტივალის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა გეგა ქურციკიძემ მაყურებელს წინასწარ ბოდიში მოუხადა "დებიუტის" შესაძლო ხარვეზებისათვის, და განსაკუთრებით ჟურნალისტებს სთხოვა, ძალიან დაუნდობლები ნუ იქნებითო. მართალიც იყო. ბოლოსდაბოლოს, ეს ხომ დებიუტია.

გუშინვე ფესტივალის პირველი სპექტაკლი **"იხვებზე ნადირობა"** გაიმართა. დღეს მაყურებელი იხილავს წარმოდგენას **"ქალბატონო ელენე, ძვირფასო"**, რომელიც "სპარტაკში" საღამოს შვიდის ნახევარზეა დანიშნული. დანგრეული "სპარტაკი" თავის მაყურებელს ელის.

# სამი ფელიქსი და რვა ქალი სისხლიან კვირადღეს

*შაბათს რომის "პარკო დელა მუზიკას" დარბაზში ევროპული კინოს დღესასწაული გაიმართა. საღამოს ტრიუმფატორი პედრო ალმოდოვარი გახდა. ესპანელმა რეჟისორმა, თავისი ბოლო ნამუშევრის - ფილმის "ესაუბრე მას" წყალობით, შინ სამი "ფელიქსი" წაიღო: საუკეთესო ფილმის, სცენარისა და რეჟისურისთვის.*

თამარ ბაბუაძე

"ოსკარის" ევროპული ანალოგის, "ფელიქსის" ცერემონიალი პირველად 1988 წელს გაიმართა, თუმცა, მას მეორე სუნთქვა 1997 წელს გაეხსნა, როდესაც ევროპული კინო-აკადემიის პრეზიდენტმა, ინგმარ ბერგმანმა მას ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანი დაუსახა – "ფელიქსის" ცერემონიალს ევროპული კინოსადმი ინტერესი მსოფლიოს მასშტაბით უნდა გაეღვივებინა. მას შემდეგ "ფელიქსი" ყოველწლიურად იმართება, ხოლო არაევროპული აუდიტორიის მოსაზიდად უამრავი კამპანია ეწყობა. საზეიმო ცერემონიალს ევროპის, აშშ-ს, სამხრეთ ამერიკისა და ახალი ზელანდიის პირდაპირ ტელე-ეთერში გადასცემენ. დიდ ყურადღებას უთმობენ სტუმრების შერჩევასაც – გალა-საღამოზე დამსწრეები აუცილებლად მთელ საერთაშორისო კინო-ინდუსტრიას უნდა წარმოადგენდნენ.

შარშან ევროპული კინოს ზეიმი ბერლინში, ტემპოდრომის დარბაზში მოეწყო. წელს მასპინძელი ქვეყანა იტალია აღმოჩნდა, ღონისძიების ტრიუმფატორი კი – ესპანელი რეჟისორი.

თუმცა, ალმოდოვარის სურათს საუკეთესო ფილმის კატეგორიაში საკმაოდ ძლიერი მეტოქეები ჰყავდა: ფრანსუა ოზონის "რვა ქალი", პოლ გრინგრასის "სისხლიანი კვირა დღე", გურინდერ ჩადჰას "მოკაკვე, როგორც ბექჰემმა", ლუკას მუდისონის "ლილია სამუდამოდ", აკი კაურისმაკის "უწარსულო კაცი", პიტერ მულანის "მაგდალინელი დები" (2002 წლის კანის კინო-ფესტივალის ლაურეატი ფილმი) და რომან პოლანსკის "პიანისტი". ეს ის ფილმებია, რომლებმაც 2002 წლის კინო-ინდუსტრიაში ამინდი შექმნეს და მთელი მსოფლიოს კინო-კრიტიკოსები აალაპარაკეს. ამიტომაც საინტერესოა, რატომ მაინცდამაინც "ესაუბრე მას"?

საგულისხმო დეტალია ის, რომ ალმოდოვარის ეს უკანასკნელი ნამუშევარი ამერიკული "ოსკარის" მფლობელიც გახლავთ. ევროპული კინო კი გამალებით ცდილობს, თავისი ტრადიციული ხარისხი და დახვეწილობა შეინარჩუნოს, მაგრამ, პარალელურად, ჰოლივუდიდან მაყურებლის გართობის ხერხებიც "მოიპაროს". სავარაუდოა, რომ ალმოდოვარის ფილმმა ევროპული კინოს ამ სურვილს, გარკვეულწილად, უპასუხა და საერთო აღფრთოვანება ამიტომაც მოიპოვა. საერთოდაც, ესპანელი რეჟისორი ხომ ხშირად ახერხებს ისეთი ფილმების გადაღებას, რომლებიც კრიტიკოსთა მაღალ მოთხოვნებსაც აკმაყოფილებენ და კომერციულ წარმატებასაც აღწევენ, თანაც - საერთაშორისოს.

შაბათს კი ალმოდოვარის ტრიუმფი, ნაწილობრივ, საზოგადოების არჩევანმაც განაპირობა: ალმოდოვარმა გაიმარჯვა სპეცკატეგორიაშიც – "ხალხის რჩეული საუკეთესო რეჟისორი". "ხალხის რჩეული საუკეთესო მსახიობი მამაკაცი" კი ხავიერ კამარა გახდა, საუკეთესო მსახიობი ქალი – კეიტ უინსლეტი ფილმ "აირისში" შესრულებული როლისთვის.

აღსანიშნავია, რომ ამ სპეცკატეგორიას, რომელშიც საუკეთესო შემოქმედებს საზოგადოების გამოკითხვის შედეგად ავლენენ, განსაკუთრებული პროევროპული დატვირთვა აქვს: 1997 წლიდან მოყოლებული, ევროპული კინო-აკადემია გამოკითხვაში არაევროპულ აუდიტორიასაც რთავს და ამით მშობლიური კინემატოგრაფისადმი ინტერესს სხვა კონტინენტებზეც აღვივებს.



ფელიქსი

საკუთარი ფილმის არჩევისთვის კი ალმოდოვარმა რომში შეკრებილ საზოგადოებას ასე მოუხადა მადლობა: "ხალხის გარეშე ამ ყველაფერს ვერ გავაკეთებდი. ძალიან მნიშვნელოვანია რეჟისორისთვის იმის ცოდნა, რომ მისი ფილმი მაყურებელზე ძლიერ მოქმედებს".

საუკეთესო რეჟისორის ტიტულისთვის ერთმანეთს ეცილებოდნენ: პედრო ალმოდოვარი, მარკო ბელოკიო, ანდრეას დრესენი, აკი კაურისმაკი, მაიკ ლი, კენ ლოუჩი, რომან პოლანსკი, ალექსანდრ სოკუროვი. მართალია, აქაც ყველას ალმოდოვარმა აჯობა, მაგრამ სამაგიეროდ, კენ ლოუჩმა ევროპელი კრიტიკოსების მიერ დაწესებული ჯილდო მოიპოვა ფილმისთვის SWEET SIXTEEN. ეს სურათი კანშიც დაჯილდოვდა საუკეთესო სცენარისთვის. ლოუჩი სურათში გლაზგოს ღარიბულ უბანში მცხოვრები თინეიჯერი ბიჭუნას თავგადასავალს აღწერს. ფილმის მთავარი გმირი ნარკომანია და დედის ციხიდან დახსნას ცდილობს, მაგრამ კრიმინალები მას თავიანთ სამყაროში ითრევენ.

პაუელ ედელმანი ფილმისთვის "პიანისტი" საუკეთესო კინოოპერატორი გახდა. პოლანსკი ამ სურათში ბოლო ხანს ძალზე პოპულარულ თემას – ჰოლოკასტს ეხება. მისი გმირი ვარშავის გეტოს აღწევს თავს. კრიტიკოსები ერთხმად აღიარებენ, რომ "პაინისტი" ოპერატორული ნამუშევრით უდავოდ გამოირჩევა.

ევროპულმა კინო-აკადემიამ მსოფლიო კინემატოგრაფში შეტანილი წვლილისთვის პრიზი გადასცა ესპანელ მსახიობს, ვიქტორია აბრილს. ევროპული კინოს განვითარებისთვის იტალიელი სცენარისტი, ტონინო გუერა დაჯილდოვდა. საუკეთესო ევროპელი მსახიობი მამაკაცი იტალიელი სერჯო კასტელიტო გახდა, საუკეთესო ქალი მსახიობის ტიტული კი ოზონის რვა ქალმა გაინაწილა.

# ჯილდო კონცეპტუალურ ნაგავს



REUTERS

კეიტ ტაისონი

"თუ ეს არის ბრიტანელი ხელოვანების ფანტაზიისა და პროფესიონალიზმის პიკი, მაშინ ბრიტანულ ხელოვნებას მომავალი არ ჰქონია", - ასეთი იყო კულტურის მინისტრის, კიმ ჰოუელსის კომენტარი პრესტიჟული ჯილდოს, ტერნერის პრიზის მფლობელის გამოვლენისას.

კეიტ ტაისონი, რომელსაც "გიჟ პროფესორსაც" ეძახიან, პრიზი როდენის "მოაზროვნის" საკუთარი ვერსიის შექმნისთვის მიანიჭეს. მისი თვალთახედვით, "მოაზროვნე" ეს არის ორ დიდ პანელზე გამოსახული კომპიუტერული ტექნიკის ნაზავი. ტერნერის პრიზი მას როდენის, სწორედ, ასე ორიგინალურად "თარგმნისთვის" გადასცეს. წესისამებრ, მხატვარი 20 ათასი ფუნტი სტერლინგითაც დააჯილდოვეს.

ტაისონი თავიდანვე ერთ-ერთ ფავორიტად იყო აღიარებული, მაგრამ კულტურის მინისტრისთვის ამ ფაქტს ხელი არ შეუშლია, თავისი მოსაზრება გულწრფელად გამოეთქვა. მან ტაისონის ტილოს ერთი ჩვეულებრივი "კონცეპტუალური ნაგავი" უწოდა. "ტაისონმა ხატვა უდავოდ იცის, მაგრამ მისი ქმნილებების სანახავად ქუჩას ნამდვილად არ გადავჭრიდი", - დასძინა მან.

დაჯილდოებული ხელოვანი კი მინისტრის მკაცრ შეფასებებს გულგრილად შეხვდა: "სამწუხაროა, მაგრამ ბრიტანეთში ყოველთვის ასე ხდება ხოლმე – ნიჭიერ ადამიანს მანამ არ აფასებენ, სანამ არ დაკარგავენ. დარწმუნებული ვარ, დემიენ ჰირსტი (ბრიტანელი კონცეპტუალისტი მხატვარი) ავტობუსმა რომ გაიტანოს, ყველა ცრემლად დაიღვრება", - აღნიშნა მან.

ლონდონში კეიტ ტაისონის პირველი პერსონალური გამოფენა 1995 წელს მოეწყო. მან სახელი გაითქვა ე.წ. კომპიუტერული მხატვრობის შექმნით. ტაისონმა კომპიუტერში შეიტანა ინფორმაცია და გააკეთა რობოტი, რომელიც მხატვარს იდეებს კარნახობდა. სწორედ მისი მხარდაჭერით შექმნა ტაისონმა თავისი ცნობილი ინსტალაცია კენტუკურად შემწვარი ქათმის შესახებ.

დღეს ამ კონცეპტუალისტი ავტორის ხელწერას უკვე ყველა ცნობს. მის ნამუშევრებში, როგორც წესი, ტაისონის საყვარელი თემები - მათემატიკური ფორმულები, მეცნიერული თეორიები, ატომის შემადგენლობა და კომპიუტერები დომინირებს; ანუ ის დეტალები, რის გამოც კულტურის მინისტრი მის შემოქმედებას ნაგავს უწოდებს.

## სკანდალი პოლიტიკოსების, ხელოვანებისა და ჟურნალისტების მონაწილეობით

საკრებულოს სხდომაზე ქართველი კულტურის მოღვაწეების ცნობილი გამოსვლების შემდეგ ატეხილი ხმაური დღეს ახალი სიმძლავრით გაგრძელდება. ქეთი დოლიძე, თანამოაზრეებთან ერთად, ერთ-ერთი გაზეთის პუბლიკაციას გააპროტესტებს. სტატია, ძირითადად, ქეთი დოლიძესა და ორგანიზაცია "თეთრ მანდილში" მის მოღვაწეობას მიეძღვნა. ქეთი დოლიძე მას-მედიის საშუალებით დღესვე გაავრცელებს ღია წერილს, რომელშიც აღნიშნულ პუბლიკაციაში მოყვანილ ფაქტებს უარყოფს. შეკრებას დაესწრებიან რეჟისორები: ლევან წულაძე, დავით ანდღულაძე, მერაბ თავაძე, გოგი მარგველაშვილი, სანდრო მრევლიშვილი. "თეთრ მანდილთან" დაკავშირებით კი ამ ორგანიზაციის კომიტეტის წევრები ისაუბრებენ.

"ეს იყო შეკვეთილი წერილი", - ამბობს ქეთი დოლიძე და პუბლიკაციის ავტორს "ლეიბორისტების" ინტერესების დაცვაში ამხელს. რეჟისორის თქმით, "თეთრი მანდილის" წევრები სტატიით აღშფოთებულები არიან და ისინი სასამართლოს გზით აუცილებლად აგებინებენ პასუხს წერილის ავტორს. როგორც ქეთი დოლიძემ "24 საათთან" საუბრისას თქვა, იგი ესაუბრა მედიაჰოლდინგის ერთ-ერთ პასუხისმგებელ ხელმძღვანელს, რომელიც რეჟისორს იმავე გაზეთში საპასუხო წერილის გამოქვეყნებას დაჰპირდა. "წერილში მოყვანილი ყველა ფაქტი აბსოლუტური სიცრუეა", - ამბობს ქეთი დოლიძე. დაწვრილებით ამ ყველაფრის შესახებ იგი დღევანდელ შეხვედრაზე ისაუბრებს.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევასაც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

## სლოვაკეთში ყოფილი უშიშროების შეფი დააპატიმრეს

სლოვაკეთის პოლიციამ კვლავ დააპატიმრა ქვეყნის უშიშროების სამსახურის შეფი - ივან ლექსა. მას ბრალი ედება ყოფილი პოლიციელის, რობერტ რემიაშის მკვლელობაში თანამონაწილეობისთვის. რობერტ რემიაში 1995 წელს სლოვაკეთის მაშინდელი პრეზიდენტის, მიხაილ კოვაჩის შვილის მოტაცების საქმეში მთავარ მოწმედ იყო დასახელებული. **"ლექსას, მკვლელობის ხელშეწყობაში ედება ბრალი,"** განუცხადა ჟურნალისტებს ყოფილი უშიშროების ხელმძღვანელის ადვოკატმა იურაი ტროკანმა. მისი თქმით, ლექსა თავდაპირველად სამართალდამცავმა ორგანოებმა მოწმის სახით დასაკითხად მიიწვიეს. **"თუმცა, ჩემმა კლიენტმა შენობის დატოვება ველარ მოახერხა. ის დააპატიმრეს,"** განაცხადა ლექსას ადვოკატმა.

## რუსებმა სადამ ჰუსეინს წითელას ვირუსი მიჰყიდეს

აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო იძიებს აგენტებისგან მიწოდებულ ინფორმაციას - თითქოს, რუსმა მეცნიერმა ერაყში წითელას ვირუსის სასიკვდილო ვაქცინა გააგზავნა, რომელიც, შესაძლოა, ერაყელებმა ბაქტერიოლოგიურ იარაღად გამოიყენონ. ამ ვირუსის გადაცემის ფაქტი 1990 წლით თარიღდება.

ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ექსპერტების ინფორმაციით, მოდიფიცირებული ვირუსი მოსკოვის ვირუსული პრეპარატების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ინახებოდა. გავლენიანი გაზეთის, "ნიუ-იორკ ტაიმსის" ცნობით, სასიკვდილო ვირუსი ერაყში 1990 წელს თავად აღნიშნული ინსტიტუტის დირექტორმა, ნელი მალცევმა გააგზავნა.

"მალცევს ხელი მიუწვდებოდა წითელას ვირუსის ყველა პრეპარატთან, რომელთა რაოდენობა რუსეთში, სულ ცოტა, 100 ცალს მაინც შეადგენდა,"



სადამ ჰუსეინი

- განაცხადა შტატ ნიუ-მექსიკოს ალბუკერკის ეროვნული ლაბორატორიის მკვლევარმა, დოქტორმა ალან სელიკოფმა.

მისი თქმით, ეს ვირუსი გამძლეა ყველა ცნობილი ვაქცინის წინააღმდეგ და, შესაძლოა, ერაყის პრეზიდენტის - სადამ ჰუსეინის მიერ რაკეტების გამოყენებით იქნას გავრცელებული ჰაერიდან და თანაც დიდი მანძილზე.

უნდა ითქვას, რომ სადამ ჰუსეინს სპარსეთის ყურეში პირველი ომის დროს, 1991 წელს ასეთი ვირუსი არ გამოუყენებია. მას არ აუმოქმედებია არანაირი ბაქტერიოლოგიური იარაღი. ცსს-ს ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ ის ამ ხნის მანძილზე საგულდაგულოდ ამზადებდა და აგროვებდა სხვადასხვა სახის ქიმიურ და ბაქტერიოლოგიურ იარაღს, რომელსაც ახლო მომავალში, ერაყში შესაძლო სამხედრო კამპანიის დაწყების შემთხვევაში აუცილებლად გამოიყენებს.

## ებრაელ ფეხბურთელებზე თავდასხმა მზადდებოდა

ისრაელის სპეცსამსახურებმა ტერორისტული აქტი აღკვეთეს, რომელიც ისრაელის ფეხბურთის ნაკრების წინააღმდეგ მზადდებოდა. აღნიშნული ინფორმაცია ისრაელში გამომავალმა გაზეთმა "ედიოტ ახრონოთმა" გაავრცელა.

ამ ინფორმაციის თანახმად, საერთაშორისო ტერორისტული ქსელის "ალ-ქაიდას" ერთ-ერთ მოქმედ უჯრედს მალტაში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის დროს, რომელიც 12 ოქტომბერს შედგა, შესვენებისას ებრაელი ფეხბურთელების გასახდელი დარბაზი უნდა აეფეთქებინა. ინფორმაცია ტერაქტის მომზადების შესახებ იტალიურმა სპეცსასმახურებმა მიიღეს და თავის ებრაელ კოლეგებს გადასცეს. იტალიის და ისრაელის სპეცსამსახურებმა საერთო ძალისხმევით ტერაქტის მომზადებაში ეჭვმიტანილი ტუნისის მოქალქეები დააკავეს. როგორც გაირკვა, ისინი აქტიურად თანამშრომლობდენ ალჟირის და მაროკოს ისლამისტურ-ექსტრემისტულ დაჯგუფებებთან. ეს დაჯგუფებები კი, როგორც ცნობილია, "ალ-ქაიდას" მიერ იმართებიან და ფინანსდებიან.

მატჩის გამართვამდე, ერთი დღით ადრე ისრაელის დაზვერვის "მოსადის" და იტალიის სპეცსამსახურის თანამშრომლებმა ხუთი ეჭვმიტანილი ტუნისელი მოქალაქე დააკავეს, რომელთაც ტერაქტის მზადების შესახებ ინფორმაცია დაადასტურეს.

აღსანიშნავია, რომ ისრაელის სპეცსამსახურები აღნიშნულ ინფორმაციას დიდი ხნის მანძილზე არ ახმაურებდნენ.

შეგახსენებთ, რომ ებრაელ სპორტსმენებზე მასშტაბური თავდასხმა 1972 წელს მიუნხენის ოლიმპიადაზე მოხდა, როდესაც ტერორისტულმა ორგანიზაციამ- "შავი სექტემბერი"- ებრაელ ძალოსანთა ნაკრები დახოცა. უნდა ითქვას, რომ "მოსადმა" შურისძიების არნახული ოპერაცია ჩაატარა. ყველა მონაწილე ტერორისტი, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნებში იყვნენ გაფანტულები, ყოველგვარი დაკავების და სასამართლოს გარეშე ცალცალკე გაანადგურეს.

## ბინ ლადენს „ობობები„ ეძებენ

გაზეთ "ვაშინგტონ პოსტის" ინფორმაციით, აშშ-ს სპეცსამსახურის გამოძიების ფედერალური ბიუროს სპეცრაზმი - კოდური სახელით "ობობა" მსოფლიოს ნომერ პირველი ტერორისტის, ოსამა ბინ ლადენის მოსაძებნად ამოქმედდა. "ობობას" ზესაიდუმლო ჯგუფის წევრები, მასთან ერთად, "ალ-ქაიდას" სხვა მაღალი რანგის წევრებსაც ეძებენ.

"ვაშინგტონ პოსტის" თანახმად, ეს ჯგუფი სპეციალურად შეიქმნა, რადგან თეთრი სახლი პაკისტანის სპეცსამსახურებს ვერ ენდობა.




ოსამა ბინ ლადენი

# სსრკ-ს და რუსეთის სპეცსამსახურები

### შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველო (მსს)

*"აკვარიუმი" - ასე ეწოდება მთავარი სადაზვერვო სამმართველოს შენობას. სამხედრო დაზვერვა სხვადასხვა დასახელებებით 1918 წლის 21 ოქტომბრიდან არსებობს. ამ პერიოდისათვის წითელი არმია უკვე უზარმაზარ და ძლევამოსილ ორგანიზაციას წარმოადგენდა. არმიას გენერალური შტაბი ედგა სათავეში, რომელიც გარკვეულ მოვლენებზე ყოველთვის დაყოვნებით და დაგვიანებულად რეაგირებდა. მოწინააღმდეგის შესახებ ინფორმაციას გენერალური შტაბი ღებულობდა საგანგებო კომიტეტისგან (ჩეკა), რომელიც სამხედროების მოთხოვნებს და შეკითხვებს მეორეხარისხოვნად მიიჩნევდა. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან "ჩეკისტებს" სამხედროებისგან განსხვავებული პრიორიტეტები გააჩნდათ და ახლაც გააჩნიათ. სწორედ ამ ვითარებამ განაპირობა სამხედრო დაზვერვის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება,შეექმნათ საკუთარი სადაზვერვო ორგანიზაცია.*



"აკვარიუმი" - მთავარი სადაზვერვო სამმართველოს შენობა

### მსს-ის სტრუქტურა

მთავარი სადაზვერვო სამმართველოს ხელმძღვანელი მხოლოდ გენშტაბის ხელმძღვანელს და თავდაცვის მინისტრს ემორჩილება. მას ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან პირდაპირი კონტაქტი არც აქვს. ამდენად, მთავარი სადაზვერვო სამმართველოს ხელმძღვანელის მუშაობის პრინციპი განსხვავებულია საგარეო დაზვერვის დირექტორის სამსახურისგან, რომელიც უშუალოდ ქვეყნის პრეზიდენტს ექვემდებარება.

**მთავარ სადაზვერვო სამმართველოში არსებობს შემდეგი ქვესამმართველოები:**

*პირველი სამმართველო (ევროპის ქვეყნები)*

*მეორე სამმართველო (ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკა, ინგლისი, ავსტრალია, ახალი ზელანდია)*

*მესამე სამმართველო (აზიის ქვეყნები)*

*მეოთხე სამმართველო (აფრიკის ქვეყნები)*

*მეხუთე სამმართველო (ოპერატიული დაზვერვა)*

*მეექვსე სამმართველო (რადიოტექნიკური დაზვერვა)*

*მეშვიდე სამმართველო (ნატო)*

*მერვე სამმართველო (სპეციალურად გამოყოფილი ქვეყნები)*

*მეცხრე სამმართველო (სამხედრო ტექნოლოგიები)*

*მეათე სამმართველო (სამხედრო ეკონომიკა)*

*მეთერთმეტე სამმართველო (სამხედრო დოქტრინები და შეიარაღება)*

*მეთორმეტე სამმართველო*

***დამხმარე განყოფილებები და სამმართველოები:***

*კოსმოსური დაზვერვა*

*კადრების სამმართველო*

*ოპერატიულ-ტექნიკური სამმართველო*

*ადმინისტრაციულ-ტექნიკური სამმართველო*

*საგარეო ურთიერთობების სამმართველო*

*პოლიტიკური სამმართველო*

*არქივი*

*საინფორმაციო სამსახური*

*ინფორმაციის გავრცელების განყოფილება*

### მთავარი სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომლების სასამართლო პროცესი

1998 წლის 20 აპრილს მოსკოვის სამხედრო ოლქის სასამართლომ 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა მსს-ის პოდპოლკოვნიკ ვლადიმირ ტკაჩენკოს. ის მსს-ის იმ ოფიცერთა ჯგუფის წევრი იყო, რომლებმაც ისრაელის დაზვერვას - "მოსადს" კოსმოსიდან გადაღებული 200 საიდუმლო ფოტო მიჰყიდეს. სურათებზე ახლო და შუა აღმოსავლეთის ობიექტები იყო აღბეჭდილი. მანამდე 2-წლიანი პირობითი სასჯელი მიიღო ჯგუფის სხვა წევრმა, პოდპოლკოვნიკმა გენადი სპორიშევმა. ვაჭრობის ორგანიზატორი, გადამდგარი პოლკოვნიკი ალექსანდრე ვოლკოვი კი, რომლის სახლიდანაც 345 ათასი დოლარი ამოიღეს, სასამართლოს მოწმის სახით ესწრებოდა.

ტკაჩენკო, ვოლკოვი და სპორიშევი მსს-ს კოსმოსური დაზვერვის ცენტრში მსახურობდნენ. იქვე ინახებოდა რუსეთის კოსმოსური ჯაშუშ-თანამგზავრებით გადაღებული ფილმებიც.

1992 წლიდან, უცხოელებისთვის თანამგზავრის ფირებიდან გაკეთებული სლაიდების მიყიდვით, ცენტრმა სამხედრო დაზვერვისთვის ვალუტის მოპოვება დაიწყო. ერთი სლაიდის ფასი 2 ათას დოლარს აღემატებოდა. გამოსახულების ხარისხის მიხედვით, სურათები საიდუმლოდ და არასაიდუმლოდ ხარისხდებოდა. მსს-ის ოფიცერთა ჯგუფი სასამართლოში, სწორედ, საიდუმლო სურათების გაყიდვისთვის მოხვდა, მყიდველი იყო ისრაელის სპეცსამსახურის "მოსადის" ოფიციალური წარმომადგენელი მოსკოვში - რუბენ დანილი. მას ერაყის, ირანის, სირიის და ისრაელის სურათები აინტერესებდა.



მთავარი სადაზვერვო სამმართველოს შეფი – ი. კორაბელნიკოვი (მარჯვნივ)

90-იანი წლების დასაწყისში დანილი მოსკოვში გააგზავნეს რუსეთის და ისრაელის ტერორისტულ დაჯგუფებებთნ და ნარკომაფიასთან ბრძოლის კოორდინატორად. მალე დანილი კოსმოსური დაზვერვის ცენტრის ერთ-ერთი განყოფილების ხელმძღვანელს - პოლკოვნიკ ვოლკოვს დაუკავშირდა. ალექსანდრე ვოლკოვმა განაცხადა, რომ ოფიციალურად შოულობდა "მოსადისთვის" არასაიდუმლო სლაიდებს, ხოლო ფული ცენტრის სალაროში შეჰქონდა. ისინი ერთმანეთს ღიად ხვდებოდნენ, გარიგებებს დებდნენ ისრაელის საელჩოში ან რესტორნებში. 1995 წლამდე რუსეთის კონტრდაზვერვას ეს შეხვედრები არ აინტერსებდა. 1993 წელს ვოლკოვი გადადგა და კომერციული ასოციაცია "სოვინფორმსპუტნიკის" ერთ-ერთი დამფუძნებელი და გენდირექტორის მოადგილე გახდა. "სოვინფორმსპუტნიკი" დღემდე ითვლება მსს-ის კოსმოსური ფოტოებით ვაჭრობის ერთადერთ და ოფიცილურ საშუამავლო ფირმად.

1994 წელს ცენტრიდან გათავისუფლდა განყოფილების უფროსის თანაშემწე პოდპოლკოვნიკი სპორიშევიც. მან, ვოლკოვის შუამავლობით, პირველმა მიჰყიდა დანილს ისრაელის ტერიტორიების გამოსახულებით რამდენიმე საიდუმლო სლაიდი. ერთი წლის შემდეგ სპორიშევმა საქმეში მსს-ის სხვა თანამშრომელი ჩართო - პოდპოლკოვნიკი ტკაჩენკო, რომელსაც ცენტრის ფილმოტეკასთან ჰქონდა კავშირი. ამ ჯგუფით მალე უშიშროების ფედერალური სამსახურიც (უფს) დაინტერესდა.

13 დეკემბერს უფს-ს სამხედრო კონტრდაზვერვის სამმართველოს თანამშრომლებმა, მეტრო "ბელორუსკაია"-ს სადგურში საქმეზე მისული ვოლკოვი დააპატიმრეს. ის "მოსადის" თანამშრომელს, დანილს 10 საიდუმლო სლაიდს (ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ტერიტორიების გამოსახულებით) გადასცემდა. დანილი ქვეყნიდან გააძევეს.

სულ მალე დააკავეს ტკაჩენკო და მსს-ის 3 ოფიცერი, რომლებიც სლაიდებს ამზადებდნენ. დაკავებულთა წინააღმდეგ "სამშობლოს ღალატის" მუხლით აღძრეს საქმე, მაგრამ ბოლოს ვოლკოვი და ცენტრის სამი ოფიცერი გაათავისუფლეს. ისინი ამტკიცებდნენ, რომ არ იცოდნენ ფოტოების საიდუმლოება, ბრალდება კი ვერ დაუმტკიცეს. სხვათა შორის, ვოლკოვმა განაცხადა, – **"ისრაელი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია, ხოლო სადამი - ტერორისტი, თავი მოვალედ ჩავთვალე, მის მტრებს დავხმარებოდი."** საბოლოოდ, ეს ოფიცრები საქმეში მოწმეებად გავიდნენ. ვოლკოვმა მისი სახლის ჩხრეკისას ამოღებული 345 ათასი დოლარი ("მოსადის" ფული), გამომძიებლის დაჟინებული მოთხოვნით, სახელმწიფო ფირმა "მეტალბიზნესის" ანგარიშზე შეიტანა. ეს არის უშიშროების სამინისტროს და ქარხანა "ნამგალი და ურო"-ს მიერ დაარსებული ოფიცერთა გადამზადების ცენტრი.

ჯამში, დამნაშავე აღმოჩნდა მხოლოდ ტკაჩენკო, რომელსაც ბრალად დასდეს სახელმწიფო საიდუმლოებათა გაცემა. მალე ძიების ხელში აღმოჩნდა მიმალული სპორიშევიც. ის ყველაფერში გამოტყდა და მისი საქმე სასამართლოს გადაეცა. მას 2-წლიანი პირობითი სასჯელი შეუფარდეს. ამბობენ, რომ პოდპოლკოვნიკი კვლავ მალვაშია - ამჟამად კრედიტორებს ემალება. ტკაჩენკოს საქმე გაცილებით სერიოზულად იდგა - მას "მოსადისთვის" 202 საიდუმლო ფოტოს მიყიდვას და, სანაცვლოდ, 30 ათასი დოლარის აღებას აბრალებდნენ. ვოლკოვი ცდილობდა, ამოღებული თანხის წარმომავლობა აეხსნა. საქმეში აშკარა შეუსაბამოებები ჩნდებოდა. მტკიცებისას ძიება ისრაელის ფოტოებს ეყრდნობოდა. გარდა ამისა, მოწმეთა ჩვენებებიც ურთიერთგამომრიცხავი იყო.

### სსრკ-ს სახელწმიფო უშიშროების კომიტეტის სპეცრაზმები

***I ეტაპი***

დიდი სამამულო ომის დროს სსრკ-ში შეიქმნა განსაკუთრებული დანიშნულების მოტომსროლელი ბრიგადა. რომელიც ნკვდ-ს მე-4 განყოფილებაში შედიოდა. ამ სამმართველოს, რომელსაც ჯერ კიდევ პარტიზანულს ეძახდნენ, მეთაურობდა დაზვერვის და დივერსიების საქვეყნოდ ცნობილი სპეციალისტი, გენერალ-ლეიტენანტი პ. ა. სუდოპლატოვი. ბრიგადის ორგანოები წარმატებით მუშაობდნენ გერმანელების ზურგში, ეწეოდნენ პარტიზანულ მოძრაობას, ძარცვავდნენ გარნიზონებს, აწარმოებდნენ დაზვერვას საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ.



პირველი სპეცრაზმები

#### განსაკუთრებული დანიშნულების მოტომსროლელი ბრიგადის მეთაური მიხაილ ფიოდორის ძე ორლოვი

ომის დამთავრების შემდეგ ამ ბრიგადის საქმიანობა შეწყდა - მტრის ზურგშიც და ბანდდაჯგუფებების წინააღმდეგაც.

1955 წელს შეიქმნა სუკ-ის პგუ-ს (პირველი მთავარი სამმართველო - დაზვერვა) სპეცგანყოფილება. ომის დროს განყოფილების ბაზაზე ხორციელდებოდა დივერსიული დაზვერვის მმართველობა. თავის მხრივ, ამ განყოფილებასთან შექმნილი იყო განსაკუთრებული დანიშნულების, კოდირებული ხასიათის ბრიგადა.



მიხაილ ფიოდორის ძე ორლოვი

განყოფილების ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო სუკ-ის სპეცრეზერვის მომზადება ომის შემთხვევაში, რომელიც შემდეგ 4500 კაციან ბრიგადად იქცა. ბრიგადაში შედიოდა 6 პოლკი და 1 ოპერატიული ბატალიონი. სამშვიდობო დროს ამ პოლკების რეზერვისტებად ჩამოყალიბებაზე უკრაინის ყაზახეთის, უზბეკეთის, ხაბაროვის და კრასნოდარის მხარის, მოსკოვის და ლენინგრადის ოლქების სუკ-ის ტერიტორიალური ორგანოები ზრუნავდნენ. ამისათვის შექმნილი იყო სპეცგანყოფილება, რომელიც არჩევდა და ამზადებდა საგარეო დაზვერვის სპეცრეზერვს, ორგანიზებას უწევდა სასწავლო კურსებს და სამხედრო შეკრებებს.

სპეცგანყოფილება ამუშავებდა მეცადინეობების პროგრამას, რომელიც შეკრებების დროს ხორციელდებოდა. სპეცკურსი გათვილი იყო თვენახევრიან სწავლებაზე. ყველა კატეგორიის რეზერვისტის მომზადება ერთად და ერთი პროგრამით ხდებოდა.

ბრიგადის ნაწილები მთელს კავშირში იყო გაფანტული და შესაბამისი რეგიონების ეროვნული კადრებით კომპლექტდებოდა. ომის შემთხვევაში მათ შეეძლოთ, საკუთარი მიმართულებებით განეხორციელებინათ სადაზვერვო-დივერსიულ საქმიანობა, ვინაიდან საკუთარი და მეზობელი სახელმწიფოების ადგილობრივ თვისებებსა და გეოგრაფიაში კარგად ერკვეოდნენ.

1960-1980 წლების პერიოდში სპეცრეზერვისტები მონაწილეობას იღებდნენ ოპერატიულ-საბრძოლო ქმედებებში ყველაზე ცნობილი აქციების – სპეცლონისძების გატარებაში - მაგალითად, 1968 წელს საბჭოთა ჯარების ჩეხოსლოვაკიაში შეყვანისას და ყველაზე ცობილი აქციის - 1979 წლის დეკემბერში ქაბულში ამინის სასახლის აღების დროს.

აღსანიშნავია ის ნაკლოვანებები, რაც ჩეხოსლოვაკიაში შეჭრის დროს ამ სპეცრაზმების მომაზადების თვალსაზრისით გამომჟღავნდა:

ენის და ადგილობრივი თავისებურებების არცოდნა, რაც ხელს უშლიდა ქვეყანაში ეფექტურად მუშაობას.

სამალავების არასაიმედოობა და ლეგენდების არადამაჯერებლობა.

გადასროლის წესების შაბლონურობა ამ ნაკლოვანებებზე სუკ-ის უმაღლეს ხელმძღვანელობას შეატყობინეს. მოხსენების შესწავლის შემდეგ სუკის ხელმძღვანელობამ სპეცრაზმების მეთაურებს შესთავაზა ჩეკისტების ინტენსიური მზადების ფორმის დახვეწა. ამ საქმიანობით დაკავებული იყო სპეცგანყოფილების ხელმძღვანელის მოადგილე ა. ი. ლაზარენკო. მას დიდ სამამულო ომში საკმაოდ მდიდარი გამოცდილება ჰქონდა შეძენილი. ჩეხოსლოვაკიის მოვლენების მსვლელობისას, 1968 წლის მაისიდან-აგვისტომდე, ის ქვეყანაში სპეცრეზერვის ჯგუფის საქმიანობას კოორდინირებდა. სპეცკურსების შექმნის ინიციატორები იყვნენ ასევე - ი. გ. სტარინოვი, ვ. ა. ანდრიანოვი და გ. ი. ბოიარინოვი.

განყოფილების ხელმძღვანელობამ თანამშრომელთათვის ჩატარებული ანალიზის საფუძველზე დაწერილი დასკვნის შემდეგ, სუკ-ის ძერჟინსკის დაზვერვის უმაღლესი სკოლის ბაზაზე კურსების შესაქმნელად, სუკ-ის ხელმძღვანელობას მიმართა თხოვნით. საბოლოოდ, ჩეხოსლოვაკიის გაკვეთილებმა და ევროპაში ტერაქტების ტალღამ (მიუნჰენის ოლიმპიადა 1972 წელს) ამ იდეის დამტკიცება დააჩქარა.

## სსრკ-ს სუკ-ის ოფიცერთა შემადგენლობის სრულყოფის კურსების შექმნა

***II ეტაპი***

1969 წელს სუკ-ის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, სუკ-ის უმაღლესი სკოლის შემადგენლობაში, მაგრამ დაზვერვის ოპერატიულ დაქვემდებარებაში, შეიქმნა ოფიცერთა შემადგენლობის სრულყოფის კურსები. მათი ძირითადი მიზანი იყო სუკ-ის "ოპერების" მომზადება ოპერატიულ-საბრძოლო ჯგუფების შემადგენლობაში საქმიანობისთვის - მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე განსაკუთრებულად სახიფათო პერიოდში ან მის ღრმა ზურგში საბრძოლო მოქმედებების დასაწყებად.


*პოლკოვნიკი გ. ი. ბოიარინოვი*

კურსების პირველი ხელმძღვანელი იყო პოლკოვნიკი გ. ი. ბოიარინოვი. 10 წლის შემდეგ ის ამინის სასახლის აღებისას დაიღუპა და ავღანეთის ომის ერთ-ერთ პირველ გმირად იქცა.

სრულყოფის კურსების ბაზად არჩეულ იქნა "ძველი ქალაქი" - მოსკოვის მახლობლად ბალაშიხაში. იქ მზადდებოდა კადრები, დივერსანტების - პ. სუდოპლატოვის და ი. სტარინოვის ჯგუფებიდან, მათ რიცხვში იყო ლეგენდარული ნ. კუზნეცოვიც.

კურსებს გადიოდნენ სამხედრო შენაერთები და ე. წ. "მიწერილები"- სამოქალაქო პირები, რომლებითაც საჭიროების შემთხვევაში კომპლექტდებოდა ჩეკისტ-ოფიცერთა ჯგუფები.

სწავლების პროცესში ბევრი ელემენტი ამერიკული "მწვანე ბერეტების" მოსამზადებლი სპეციფიკიდანაც გადმოიღეს.

## "კასკადი" და "ომეგა"

**III ეტაპი**

1980 წლის მაისში სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარესთან დამუშავდა განსაკუთებული დანიშნულების ბრიგადის სრული შემადგენლობით ავღანეთში გადაგზავნის საკითხი. ამასთან დაკავშირებით, ა. ი. ლაზარენკომ გამოიძახა სამმართველოს ხელმძღვანელი, რათა საკუთარი აზრი გამოეთქვა, როგორც ბრიგადის უშუალოდ პასუხისმგებელ პირს. ლაზარენკო ამ მოსაზრებას არ იზიარებდა და შემდეგი არგუმენტები მოჰყავდა:

ბრიგადის ყველა ქვედანაყოფი არ იყო მზად მოცემულ რეგიონში სამუშაოდ.

დემობილიზებულთა მოსათავსებლად არ იყო საკმაო ადგილები. ომის დროს გამოიყენებოდა სკოლები, პიონერთა ბანაკები და ა.შ. მშვიდობიან დროს კი მათი გამოყენება პრობლემატური იყო.

ბრიგადის მეხუთედი სუკ-ის ტერიტორიული ორგანოების თანამშრომლებისგან შედგებოდა. მათი გაშიფრვა კი არ შეიძლებოდა.

ლაზარენკოს შეთავაზებული წინადადების საფუძველზე შეიმუშავეს კრასნოდარის და ალმა-ატის პოლკების, ასევე ტაშკენტის ბატალიონის ნაწილის გამოწვევის ბრძანება. ბრიგადის სხვა ქვედანაყოფებიდან აირჩიეს მხოლოდ სპარსული ენის მცოდნეები. სრულ შემადგენლობაში ათასამდე ადამიანი შეირჩა. განყოფილების მეთაურობა დაავალეს ა. ი. ლაზარენკოს, რომელმაც შეარჩია დასახელება "კასკადი".

განყოფილების მზადება ხდებოდა ფერგანაში, 105-ე სამხედრო-სადესანტო დივიზიის ბაზაზე.

"კასკადს "შემდეგი ამოცანები ჰქონდა: ავღანელების დახმარება ადგილზე უშიშროების ორგანოების შექმნაში, აგენტურულ-ოპერატიული სამუშაოების ორგანიზება არსებული ბანდფორმირებების წინააღმდეგ. ავღანეთში სსრკ-ს რეჟიმის განსაკუთრებით აგრესიულ მოწინააღმდეგეთა მიმართ სპეციალური ღონისძიებების გატარება.


*სპეცრაზმი "კასკადი" ავღანეთში*


*სპეცრაზმი "ვიმპელი"*

ავღანეთში ადგილობრივი რთული ნაციონალური, ეთნიკური და რელიგიური თავისებურებების გამო, მეორე ამოცანა უფრო რთული იყო.

1980 წლის 25 ივლისს დაიწყო განყოფილება "კასკადის" გადასროლა ტაშკენტიდან ქაბულში, ყანდაჰარსა და შინდადში. "კასკადი" აღჭურვილი იყო ავტომანაქანებით, 45 ჯავშანტრანსპორტიორით, 12 რადიოსადგურის მანქანით, (საავიაციო მოკლეტალღიანი კავშირის რადიოსადგური) მსუბუქი ავტომატური იარაღით, საბრძოლო მასალებით. მაზარიშარიფში და ყუნდუზში, "კასკადიორები" საკუთარი სვლით მიდიოდნენ. მათ სვლას უზრუნველყოფდა მე-40 არმიის ქვეგანაყოფი.

"კასკადის" გუნდები დისლოცირებულნი იყვნენ ავღანეთის რვა ტერიტორიულ-ადმინსტრაციულ ცენტრში, ქაბულიდან 200-1000 კმ-ს დაშორებით. ყოველ გუნდს თავისი საპასუხისმგებლო ზონა ჰქონდა, რომელიც რამდენიმე პროვინციას მოიცავდა. ამ ტერიტორიების 70% მოწინააღმდეგის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა.

პირველივე დღეებში "კასკადიორები" ავღანეთში სირთულეებს წააწყდნენ. განყოფილებაში ცოტამ თუ იცოდა ქვეყნის ადგილობრივი ენები, ყოფა და ადათები.

ადგილობრივი პირობების, არსებული მდგომარეობის და დროის არქონის გამო "კასკადის' თანამშრომლებს ხშირად უხდებოდათ სადაზვერვო სამუშაოს ტრადიციული ფორმებიდან გადახვევა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჯგუფი დავალებას გაუმკლავდა. "კასკადის" საქმიანობის დასასრულს, მასზე მუშაობდა 482 ინფორმაციული წყარო. ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით შემუშავდა ასევე საკუთარი ტაქტიკა. ის მოიცავდა სადაზვერვო, ოპერატიულ-საბრძოლო და სპეციალურ ოპერაციებს, მიმართულს მოჯაჰედების და მათი ლიდერების ბანდფორმირებების წინააღმდეგ.

დროთა განმავლობაში, "კასკადმა" დაიწყო ხარისხიანი სადაზვერვო მონაცემების მოწოდება ბანდფორმირებებზე, არაერთხელ იმართებოდა ერთობლივი ოპერაციები.

"კასკადი" აქტიურად ამზადებდა ავღანეთის სახ. უშიშროების ორგანოებს. მისი უშუალო მონაწილეობით შეიქმნა მე-5 სამმართველო, რომელიც გეგმავდა და ასრულებდა მოჯაჰედების საწინააღმდეგო ღონისძიებებს. "კასკადიორები" ავღანელებთან ინსტრუქტორებადაც მუშაობდნენ.

ავღნეთში "კასკადის" მოღვაწეობის დროს, ის იყო ყველაზე მზა ქვედანაყოფი პარტიზანებთან საბრძოლველად.

სულ ავღანეთში რაზმის 4 შემადგენლობა მუშაობდა.

6თვე
6თვე
9თვე
12 თვე

"კასკადის" ეპოპეა 1983 წლის გაზაფხულზე დამთავრდა.

"კასკადის" 1, 2, 3, შემადგენლობების მეთაური უცვლელად იყო ა. ი. ლაზარენკო, რომელმაც 1980 წლის 7 ნოემბერს გენერალ-მაიორის წოდება მიიღო.

"კასკადი"შეცვალა რაზმმა "ომეგამ", რომელსაც ავღანეთის უშიშროების სამინისტროს სპეცქვედანაყოფებში მრჩევლის ფუნქციები.

1984 წლის აპრილში მიხეილ ციბენკომ, ქაბულში სუკ-ის წარმომადგენლობის ტერიტორიაზე 2 ოფიცრის თანდასწრებით დაჩეხა "ომეგას" საგერბო ბეჭედი და კუთხოვანი შტამპი. მოწმეებმა ხელი მოაწერეს აქტზე და "ომეგას" რაზმმა არსებობა შეწყვიტა.

## 1981-1993 წწ. "ვიმპელი"

***IV ეტაპი***

სუკ-ის არასაშტატო სპეცრაზმის ქვედანაყოფებმა ავღანეთში ნათლად წარმოაჩინა საშტატო სტრუქტურის აუცილებლობა, მოწინააღმდეგის ღრმა ზურგში სპეცამოცანების გადასაჭრელად. ეს იდეა გამოთქვა გენერალ-მაიორმა ი.ი. დროზდოვმა, სუკის იმჟამინდელ თავმჯდომარესთან ი. ვ. ანდროპოვთან შეხვედრისას.

1979 წლის ბოლოს. 1980 წლის განმავლობაში ეს იდეა არაერთხელ განიხილებოდა პოლიტბიუროზე, და ბოლოს და ბოლოს, სუკ-ის ხელმძღვანელობამ დათანხმდა მის განხორციელებას.

1981 წლის 19 აგვისტოს სსრკ-ს მინისტრთა საბჭოს და ცკ-ს პოლიტბიუროს დახურულ სხდომაზე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სსრკ-ს სუკ-ში სრულიად საიდუმლო სპეციალური დანიშნულების რაზმის შექმნის შესახებ, სსრკ-ს საზღვრებს გარეთ, "განსაკუთრებულ პერიოდში" ოპერაციების განსახორციელებლად. ამ ამოცანის შესრულება დავალა გენერალ-მაიორ ი. დროზდოვს.

ჯგუფის პირველი მეთაური გახდა 1 რანგის კაპიტანი ევალდ კოზლოვი. რაზმს "ვიმპელი" უწოდეს. სტრუქტურის ოფიციალური სახელწოდება იყო - სსრკ-ს სუკ-ის გამოყოფილი სასწავლო ცენტრი.

ამ რაზმის ძალების გამოყენების ბრძანება შეეძლო გაეცა მხოლოდ სუკ-ის თავმჯდომარეს და ისიც მხოლოდ წერილობით. მისი საზღვარგარეთ გამოყენების შემთხვევები არ ყოფილა, თუმცა "ვიმპელის" ზოგმა თანამშრომელმა მოგვიანებით არალეგალურად გაიარა "სტაჟირება" ნატოს სპეცდანიშნულების ქვეგანაყოფებში.

უნიკალურ ქვედანაყოფს ესაჭიროებოდა სპეციალური მოსამზადებელი პროგრამის შემუშავება საკუთარი თანამშრომლებისთვის, რათა შესძლებოდათ საჭირო დროს სპეცღონისძიებების გატარება მტრის ზურგში.

აუცილებელი იყო მაღალკვალიფიციური, მოაზროვნე მებრძოლების მომზადება, რომლებიც შესძლებდნენ დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღებას და თავგანწირვასაც სამშობლოს ინტერესებისთვის. მომზადების პროგრამის შემუშავება ნულიდან დაიწყო. ამასთან, გამოიყენებოდა საჰაერო სადესანტო ჯარების ქვედანაყოფის, მესაზღვრეების, სუკ-ის ოპერატიული შემადგენლობის და საკუთარი გამოცდილება.

"ვიმპელის" თანამშრომელთა დაძაბული საბრძოლო მზადება ქვედანაყოფის დაკომპლექტებისთანავე დაიწყო. საბრძოლო ქვედანაყოფებში თავიდან მხოლოდ ოფიცრებს იღებდნენ. ძირითადად ეს "კასკადში" გამოვლილი ხალხი იყო. მაგრამ, რადგან ქვედანაყოფის რაოდენობა შეადგენდა ათასამდე ადამიანს, ოფიცრებს იწვევდნენ სასაზღვრო, საჰაერო სადესანტო და სხვა სახის ჯარებიდანაც.

სასტიკი შერჩევით ათი კანდიდატიდან ერთს ირჩევდნენ. უდიდესი ყურადღება ეთმობოდა ფიზიკურ მომზადებას, ხელჩართულ ბრძოლას. მაღალ დონეზე იყო სამთო მომზადება. ასწავლიდნენ სროლას ყველაფრიდან, რაც ისროდა, ავტომანქანების და ჯავშანტრანსპორტის მართვას. სერიოზული მზადება ეთმობოდა სანაღმო აფეთქებებს. მებრძოლებს შეეძლოთ შეექმნათ ასაფეთქებლები ყოფითი ქიმიიდან. რადიოსადგურებზე მუშაობას ასწავლიდნენ სატელეფონო და სატელეგრაფო რეჟიმში და მრავალი სხვა. "ვიმპელის" მებრძოლები მზად იყვნენ ემოქმედათ ქვეყანაში, რომლის წინააღმდეგ საბრძოლველადაც ემზადბოდნენ. ეს აძლევდათ მათ საშუალებას, სცოდნოდათ 1-2 უცხო ენა და მოწინააღმდეგე ქვეყნის მოსახლეობის ნაციონალური თვისებები.

მიუხედავად არასაკმარისი დაფინანსებისა, მიღწეულ იქნა პირადი შემადგენლობის და აღჭურვილობის მაღალი დონე. სპეცრაზმი "ვიმპელი" დაკომპლექტებული იყო სპეცრაზმის ნამდვილი ფანატებისგან, რომლებსაც შეეძლოთ დამოუკიდებლად მუშაობა საკუთარ თავზე, ნებისმიერ დროს. გარდა ამისა, მებრძოლები პერიოდულად იგზავნებოდნენ საბრძოლველად ავღანეთში, სადაც ომი იყო გაჩაღებული, ასევე ვიეტნამში, კუბაზე, ნიკარაგუაში, ანგოლასა და მოზამბიკში. იქ ისინი ფასდაუდებელ გამოცდილებას იძენდნენ. კუბელებისგან და ვიეტნამელებისგან სწავლობდნენ შენიღბვის და ფარული გადაადგილების მეთოდებს. ნიკარაგუელებმა უჩვენეს სროლის უმაღლესი კლასი. რაზმში გარკვეული იყო მოვალეობები, იყვნენ ჯგუფები, რომლებიც სამთო ან საზღვაო მიმართულებით მუშაობდნენ. მეომრის მომზადებას ნულიდან 5 წელი სჭირდებოდა.


*სპეცრაზმი "ვიმპელი"*

### იური ივანეს ძე დროზდოვი

*სუკის გადამდგარი გენერალ-მაიორი, დაზვერვის მთავარ სამმართველოში "ს" სამმართველოს (არალეგალები) ყოფილი ხელმძღვანელი*

მის პიროვნებას თანამედროვე და განსაკუთრებით ძველ თაობებში დღემდე მოწიწებით და პატივისცემით მოიხსენიებენ.

ის იყო 1945 წელს ბერლინის შტურმის მონაწილე და ხელმძღვანელობდა 1979 წლის 27 დეკემბერს ავღანეთში იმ სპეცრაზმს, რომელმაც არნახული ოპერაციის შედეგად ამინის სასახლე აიღო.

იყო სუკის რეზიდენტი პეკინში (1964-68წწ) და ნიუ-იორკში (1975-79წწ). სუკში ხელმძრვანელობდა ერთ-ერთ ყველაზე გასაიდუმლოებულ სამმართველოს – არალეგალებს.

თავისი მზვერავ-არალეგალის საქმიანობა იური დროზდოვმა გერმანიაში მოღვაწეობით დაიწყო. ის 1957-63 წლებში სხვადასვა საფარით მოღვაწეობდა გერმანიაში: გერმანელი ინსპექტორი - კლაინერტი დასავლეთ ბერლინში, იურგენ დრივსი, რუდოლფ აბელის ბიძაშვილი და სხვა. მისი მოღვაწეობა დეტალურად არის აღწერილი მისივე წიგნში: **"არალეგალური დაზვერვის ხელმძღვანელის ჩანაწერები."**

## ბრიტანელმა ინჟინერმა სასამართლოზე რუსების სასარგებლოდ ჯაშუშობა აღიარა

45 წლის ბრიტანელმა ინჟინერ-ავიამშენებელმა, იან პარმა, რომელიც British Aerospace Systems-ის თანამშრომელი იყო, სასამართლოზე აღიარა, რომ სამხედრო ხიასიათის საიდუმლო ინფორმაციის გაყიდვას ცდილობდა. ამის შესახებ ბრიტანული საიტი ბი-ბი-სი ნიუსი იტყობინება. იან პარი ა.წ. მარტში დააპატიმრეს ბრიტანეთის პოლიციისა და კონტრდაზვერვის – მი 5-ის თანამშრომლებმა, როდესაც ის ცდილობდა, საიდუმლო ინფორმაცია გადაეცა რუსეთის საელჩოს თანამშრომლისათვის. საბრალდებლო დასკვნის თანახმად, პარს 14 წლით პატიმრობა ელის.

## უინსტონ ჩერჩილის ბიძაშვილი საბჭოთა ჯაშუში იყო

დიდი ბრიტანეთის კონტრდაზვერვის სამსახურმა მი-5-მა საარქივო მასალები გახსნა. დღის სინათლეზე გამოტანილი საიდუმლო დოკუმენტებიდან ცხადი გახდა, რომ დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერმინისტრის, სერ უინსტონ ჩერჩილის ბიძაშვილი ქალი საბჭოთა დაზვერვის სასარგებლოდ მუშაობდა.

როგორც საარქივო დოკუმენტებშია აღნიშნული, თავად უინსტონ ჩერჩილი - ბი-ბი-სი-ს გამოკითხვის მიხედვით, ყველაზე დიდი ბრიტანელი- ამ ფაქტს ძალიან განიცდიდა და საკუთარი ბიძაშვილის საქციელის რცხვენოდა. მისი ბიძაშვილის სახელი და გვარი კლერ შერიდანი იყო.

მან საბჭოთა რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობა ჯერ კიდევ 20-იან წლებში დაიწყო. მაშინ ჩერჩილი ჯერ კიდევ არ იყო პრემიერ-მინისტრი. მი-5-ის თანამშრომელმა შერიდანის წერილების წაკითხვისას გამოარკვია, რომ ის გერმანიაში ჩადიოდა და მონაწილეობას იღებდა შეკრებებში, რომელსაც ადოლფ ჰიტლერი თავმჯდომარეობდა.

ჩერჩილმა, რომლის მეთაურობითაც დიდმა ბრიტანეთმა მეორე მსოფლიო ომში გამარჯვება მოიპოვა, უარი განაცხადა ბიძაშვილის ბრიტანეთის კონტრადზვერვის კონტროლისაგან გათავისუფლებაზე.

საარქივო მასალების მიხედვით, ცნობილი გახდა, რომ უკვე 1925 წელს შერიდანი მზად იყო გამოეყენებინა ჩერჩილის ნდობა. დოკუმენტში აღნიშნულია: **"ის ესაუბრა ჩერჩილს, რომელმაც გამოთქვა ეჭვი იმის შესახებ, რომ საფრანგეთი სირიაზე კონტროლის შენარჩუნებას შეძლებდა."** ასევე აღმოჩენილია მასალები, სადაც დაფიქსირებულია შერიდანის ნაცნობი საიმედო ინფორმატორის განცხადება. მან **"გამოთქვა აზრი, რომ შერიდანი მუშაობს რუსების სასარგებლოდ და საბჭოთა დაზვერვამ რამდენიმე ხნის წინ ისარგებლა შერიდანის მომსახურებით კონსტანტინოპოლში. სწორედ მათ გააგზავნეს შერიდანი ალჟირში, რათა მას მოეპოვებინა ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა ხდებოდა ჩრდილოეთ აფრიკაში."**

აღსანიშნავია, რომ საარქივო მასალებში აღმოჩენილია ფოტო, სადაც შერიდანი ლენინის ბიუსტთან არის გადაღებული.

ასევე გამოაშკარავდა, რომ ის იყო ისმეტ ბეის საყვარელი, რომელმაც შეასუსტა დიდი ბრიტანეთის პოზიციები ინდოეთში.

შერიდანი ცხოვრობდა ფრანგ გენერალთან. ინტიმური ურთიერთობები ჰქონდა საფრანგეთის წამყვან და გავლენიან პოლიტიკოსებთან.

ის იყო მოქანდაკე, მწერალი, პოლიტიკური ჟურნალისტი. შერიდანი ამტკიცებდა, რომ ის ეხმარებოდა ბრიტანულ დაზვერვას საბჭოთა ხელისუფლების წევრის, კამენევის გამოსააშკარავებლად, რომელიც ბოლოს საბჭოთა კავშირში სიკვდილით დასაჯეს.

თავად შერიდანის ბედის შესახებ არქივებში მასალები აღმოჩენილი არ არის.

ვარაუდობენ, რომ საბჭოთა დაზვერვამ შერიდანის გერმანიაში ვიზიტების შესახებ შეიტყო და შემდგომში მის გადმოსაბირებლად გამოიყენა.

## სტატისტიკა: ვინ უფრო მეტს ჯაშუშობდა აშშ-ის წინააღმდეგ 1947-2001 წლებში

1947-2001 წლებში აშშ-ში აქტიურად მოქმედებდენ სსრკ-ს და რუსეთის ჯაშუშები, რომლებიც, ძირითადად, მოსკოვის ან ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების სასარგებლოდ მუშაობდნენ. ასეთი დასკვნა გააკეთა სახელმწიფო კვლევითმა ორგანიზაციამ - თავდაცვის პერსონალის უსაფრთხოების კვლევითმა ცენტრმა.

1947-2001 წლებში აშშ-ში დააპატიმრეს ჩინეთის, კუბის, ფილიპინების, ეგვიპტის, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის, პოლონეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩრდილოეთ კორეის, საფრანგეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, ლიბიის, ეკვადორის, სამხრეთ კორეის, იაპონიის, ვიეტნამის, ლიბერიის, საბერძნეთის, დიდი ბრიტანეთის, ნიდერლანდების, ისრაელის, საუდის არაბეთის, განის, სალვადორის, იორდანიის, ერაყის და ტაივანის აგენტები.

აღნიშნული კვლევითი ცენტრის მონაცემებით, აგენტთა დიდი ნაწილის გადაბირება სუსტი სქესის და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლთაგან ხდებოდა. 1990 წლებში აშშ-ში დაპატიმრებული აგენტების, თითქმის, მეოთხედს ის უცხოელები შეადგენდნენ, ვინც ამერიკის მოქალაქეობას იღებდა.

## გამოძიების ფედერალურ ბიუროში რეფორმები უნდა დაიწყოს

**რეფორმების** შესახებ აშშ-ის გაზეთ "ნიუ-იორკ ტაიმსს" თავად გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორმა, რობერტ მიულერმა განუცხადა. მისი თქმით, რეფორმების განხორციელება ბიუროში აუცილებელია. **"ჩვენ გვჭირდება სასწრაფო ცვლილებები. ბიუროკრატიულმა მავთულხლართებმა ამას ხელი არ უნდა შეუშალოს,"** განაცხადა მიულერმა.

უკანასკნელ ხანებში გამოძიების ფედერალური ბიუროს წინააღმდეგ პრესის და საზოგადოების მხრიდან კრიტიკის მკვეთრი ტალღა წამოვიდა. უკანასკნელ პერიოდში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევების შედეგებმა აჩვენა, რომ აშშ-ის მოქალაქეთა უდიდესი უმრავლესობის აზრით, გამოძიების ფედერალური ბიუროს მთავარ ამოცანას არა დანაშაულის გამოძიება, არამედ თავად ამ დანაშაულთა აღკვეთა უნდა წარმოადგენდეს. ასევე უდიდესი ყურადღება უნდა დაეთმოს ტერორიზმთან ბრძოლას.

მიულერის ინფორმაციით, გფბ-ში ჩატარებულმა რეფორმებმა ორგანიზაციის უკლებლივ ყველა განყოფილება და სექცია უნდა მოიცვას. რეფორმების წარმატებით გატარებაზე თავად გამოძიების ფედერალური ბიუროს მაღალჩინოსანი თანამშრომლები იქნებიან პასუხიმგებელნი.

უნდა ითქვას, რომ 2001 წლის 11 სექტემბრის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ ამერიკის საზოგადოების მხრიდან ძირითადი დარტყმა აშშ-ის სპეცსამსახურებზე განხორციელდა. გამოძიების ფედერალურ ბიუროსთან ერთად კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა ლეგენდარული ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოც.

ერთ-ერთი პირველი, ვინც სპეცსამსახურებში გარდაქმნებსა და რეფორმებზე დაიწყო საუბარი, სწორედ ცსს-ს და სადაზვერვო თანამეგობრობის დირექტორი ჯორჯ ტენეტი იყო. საუბარი შეეხებოდა ცსს-ს ანალიტიკური სამსახურის გარდაქმნას და ორგანიზაციის უმაღლესი დონის ლინგვისტებით აღჭურვას. ძირითადი ყურადღება ამჟამად გამახვილებულია პუშტუს, ჰინდუს, არაბულის და ტაჯიკური ენების სპეციალისტებით დაკომპლექტებაზე.

სავარაუდოა, რომ გფბ-ს რეფორმები ცსს-ში განხორციელებული რეფორმების მოდელით წარიმართება.


*რობერტ მიულერი და ჯორჯ ბუში*

ჩანართი მოამზადა: ლევან ღირსიაშვილი

## ბინები

### იყიდება

იყიდება 4-ოთახიანი არასტანდარტული ბინა პეკინის 35. 140 კვ.მ. ფასი 32 000, ტელ: 899 901729.

იყიდება ერთი ოთახი აღმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ,. ფას: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

საშუამავლო ფირმა "კახი 98" დაგეხმარებთ ბინების ყიდვა-გაყიდვა-გაქირავება-დაგირავებაში. ტელ: 23-70-91; 96-66-27; 893 30-32-82.

იყიდება 2-ოთახიანი ბინა ხილიანზე, ფასი 28000. ტელ: 33-49-15, 899 505510.

იყიდება ორთაჭალაში 2 სართულიანი აგურის შენობა (750 კვ.მ) სარდაფით, მიწის ნაკვეთით. ტელ: 75-53-55.

ვყიდი 3-ოთახიან ლვოვის პროექტის ბინას ვარკეთილში, მეტროსთან ახლოს. მე-7 სართული. ბინას სჭირდება კოსმეტიკური რემონტი. ფასი 7000$. 76 21 97 თინა

იყიდება 2-ოთახიანი მაღალჭერიანი ბინა ევრო-რემონტით, თამარ მეფის გამზირზე N11. მე-5 სართული. 38-30-62, 8(99) 55-04-48

იყიდება 2-ოთახიანი ჩეხური გამზადებული ინტერნეტ-კაფესთვის, ოფისისთვის ან მაღაზიისთვის. მიცკევიჩის N18. 38-30-62, 8(99)55-04-48

## მიწის ნაკვეთი

იყიდება ბაზალეთის ტბის პირას საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-52-92.

## ბინები

### ქირა, გირაო

სასწრაფოდ ვიგირავებ 2-ოთახიან ბინას 3000$-ად საბურთალოზე.
ტელ: 78-21-80

**ქირავდება!**
სახლი აღმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.
ტელ: 37-28-77;
93-16-11; 899 539097

## კომერციული ფართი

სასწრაფოდ! იყიდება მომგებიანი, "ლუდის ბარი" დეზერტირების ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე. წინამძღვრიშვილის 198. თანამედროვე დიზაინით, კეთილმოწყობილი, ყველა საჭირო ინვენტარით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 877 479860. სოსო ან აზა.

## მანქანები

იყიდება "ოპელ-ომეგა" (ფურგონი) 1991 წლის, კარგ მდგომარეობაში - 2100-ად (წყალდიდობაში არ მოყოლილა!).
ტელ: 8(24) 153814,
8(24) 1798 95

სასწრაფოდ იყიდება 1991 წლის ფოსფორისფერი "ფორდ-ესკორტი" იდეალურ მდგომარეობაში ძრავა – 1,4; ეკონომიური (წვა – 6ლ 100 კილომეტრზე). ფასი – 2500 დოლარი. ტელ: 899 50 30 13, მაია.

## სწავლება

**შეგასწავლით!**
კომპიუტერზე საოფისე პროგრამებს ინდივიდუალურად (WINDOWS, Word, Exell, Internet), ფასი 60 ლარი, ჭავჭავაძის 74, მე-9 სართ. 908 ოთახი.
ტელ: 25-35-48, 23-53-69 - თამილა.

მოვამზადებ გერმანულში მოსწავლეებს. მოვემსახურები ბინაზე მისვლითაც. განათლება მიღებული მაქვს გერმანიაში. ტელ: 53-72-95 მადონა.

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. 38 44 43 საღამოს, 61 29 76

სწრაფი, კვალიფიციური კითხვის ტექნიკას შევასწავლი ინტელექტუალური საქმიანობის პირებს. გაუმჯობესდება ყურადღება, გაგებისა და დამახსოვრების ხარისხი. 32 32 75

შევასწავლი ხატვას, ფერწერას, მოდელირებას, ჭრა-კერვას, ცოცხალი და მშრალი ყვავილების კომპოზიციას შეღავათიან ფასებში. 32 35 83

## სხვადასხვა

გვესაჭიროება ავეჯის ხელოსანი. ხე და ლამინატი. ტელ: 22-57-77. 25-13-46.

გენერატორების შეკეთება გამოძახებით. 899 925690.

ვთარგმნი ინგლისურიდან და რუსულიდან ქართულად შეღავათიან ფასში. ტელ: 755355, 893 398284.

დაიკარგა შავი სეტერი. მარჯვენა ფეხით კოჭლობს. მპოვნელი დასაჩუქრდება. 62 73 24, 8(99) 18 68 87

საშუამავლო ფირმა "კახი-98" დაგეხმარებათ თანხების სესხება-გასესხებაში ბინის მყარი გარანტიით. დაგეხმარებით საბუთების შეგროვებაში დაბალი საპროცენტო ანაზღაურებით. 23 70 91, 96 66 24, 8(93) 30 32 82

გამდიდრების უნარის განვითარება სულიერად ჩამოყალიბებულ ადამიანებში, უძველესი და ძლიერმოქმედი მეთოდების შესწავლა. 52 20 54.

ლომთათიძე მკურნალობს: მეჭეჭების პაპილომების, ხორცმეტების მოშორება უმტკივნეულოდ. კანის სხვადასხვა დაავადებებს. თმის ცვენას. მკურნალობის კურსი5-10 დღეანია.
აღმაშენებლის 113. კაბ. 17. იკითხეთ ლომთათიძე.

ფირმა "ულტრა-დომუს"-ი გთავაზობთ:
- პროექტირებას,
- დიზაინს,
- მშენებლობას.
ტელ: 23-36-58; 94-13-34; 893 347536

ფირმების რეგისტრაცია. ბუკლეტები, სავიზიტო ბარათები, პლაკატები.
ტელ: 95-39-97
მარჯანიშვილის 21, მე-4 სართული.

**განცხადება**

ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმის ბაზაზე იხსნება
სამხატვრო სკოლა-სტუდია:

- **სკოლის მოსწავლეთათვის:**
  ფერწერა, ხატვა, ქანდაკება, კომპოზიცია, გობელენი, მოდელირება, კომპიუტერული გრაფიკა, მულტიპლიკაცია, დიზაინი, არქიტექტურა, ხატწერა, რესტავრაცია, რელიგიისა და ხელოვნების ისტორია.
- **აბიტურიენტებისათვის:**
  მოსამზადებელი ჯგუფი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში და იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში შესასვლელად (მიზნობრივი სწავლება). სკოლა სტუდიის მოსწავლეები სისტემატიურად მიიღებენ მონაწილეობას საერთაშრისო და რესპუბლიკურ გამოფენებში. სასწავლო წლის ბოლოს მოეწყობა საზაფხულო შემოქმედებითი ბანაკი. მოსწავლეები იმუშავებენ სამხატვრო სახელოსნოში და კომპიუტერულ კლასში. სკოლა უზრუნველყოფილია გათბობით, მუდმივი დენით, მუშაობს ბუფეტი. მეცადინეობა ჩატარდება კვირაში სამჯერ 15.00 საათზე. მოსწავლეთა მიღება იწარმოებს მიმდინარე წლის 20 ოქტომბრიდან. სწავლა დაიწყებულია. მიღება გრძელდება.

მისამართი: ნუცუბიძის 223. (საქართველოს ბანკის შენობასთან).
ტელეფონი: 32 97 83 (9.00-15.00) სკოლა ლიცეუმი.















# აფიშა

## თეატრები

- **რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია**
"ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"
დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.
- **ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო„**
"ზღვა ძალიან ღელავს", რეჟ. მურმან ჯინორია
დას: 17:00 სთ; ფასი 3 ლარი
- **თავისუფალი თეატრი**
"მედეა", რეჟ. გოჩა კაპანაძე, როლებში; მარინა კახიანი, თეონა გურამიშვილი, ნანა ფაჩუაშვილი, გოჩა კაპანაძე, დიმა ჯაიანი
დას: 19:00 სთ, ფასი 3,5 ლარი
- **სახიობა**
საესტრადო სასწავლებლის მოსწავლეთა კონცერტი
დას: 16:00 სთ; ფასი 2 ლარი
- **თეატრალური სარდაფი**
"ინსტინქტი", რეჟ. ოთარ ეგაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი
- **პანტომიმის თეატრი**
"კონტრასტები", რეჟ. გოგა ოსეფაშვილი
დას: 18:00 სთ; ფასი 3,5 ლარი

## საგამოფენო დარბაზები

- **სასტუმრო „კოპალა„**
"ფოტოები ლითონზე", გიორგი კოკილაშვილისა და გიორგი ხმალაძის ნამუშევრების გამოფენა
- **ეროვნული გალერეა**
მანანა თავაძისა და თენგიზ მირზაშვილის გამოფენა
- **ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება)
- **ძველი გალერეა**
გოგა ჯაფარიძის ფერწერული ნამუშევრების გამოფენა
- **გალერეა „ვერნისაჟი„**
საიუბილეო გამოფენა "ვერნისაჟი 5 წლისაა"
- **გალერეა „უნივერსი„**
"პალერმოს გამოფენა 15 წლის შემდეგ", ფარჯიანი, მატაბელი, ბულაძე, ჭოლოშვილი
- **„ქარვასლა„**
"აქტუალური სიზმრები"
ანტონ ბალანჩივაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა
- **TMS**
საშობაო გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა)

## კინოთეატრები

- **„ამირანი„**
"წითელი ურჩხული", რეჟ. ბრედ რატნერი
დას: 14:00; 18:00; 22:00 სთ; ფასი 7 ლარი
"ობობების შემოტევა"
დას: 14:00; 20:00 სთ; ფასი 7 ლარი
- **„რუსთაველი„**
მულტიპლიკაციური ფილმი "პიტერ პენი"
დას: 13:00; 15:00; 17:00 სთ; ფასი 5 ლარი
"დაგმობილი გზა", რეჟ. სემ მენდესი, მთავარ როლებში: ტომ ჰენკსი, პოლ ნიუმანი, ჯუდ ლო
დას: 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ფორმულა 51", რეჟ. ბონი იუ
დას: 21:30 სთ. ფასი 7 ლარი
- **„ელისო„**
მულტიპლიკაციური ფილმი "პიტერ პენი"
დას: 13:00; 15:00; 17:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ფორმულა 51",რეჟ. ბონი იუ
დას: 19:00 სთ, ფასი 5 ლარი
"ნოვა"
დას: 21:00 სთ; ფასი 5 ლარი

# TV პროგრამა 10 დეკემბერი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 ჯადოქარი
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 ქალთა ქვეყანა
10.40 გურმანთა მეგზური
11.10 ხალხის პირისპირ
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი "მაცდური სიყვარული"
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.05 ქალთა ქვეყანა
18.00, 21.00, 01.40 კურიერი
18.20 ჯადოქარი
18.45 მედისონის სკოლა
19.35 პერეკროსტოკი
20.05 სერიალი "მაცდური სიყვარული"
22.00 "ვის უნდა ოცი ათასი"
22.50 კურიერი
23.40 ჩემპიონთა ლიგა "არსენალი" - "ვალენსია"
02.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა
02.40 კლასიკა.

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 დრო და ფული
09.55 მხ. ფილმი "აკვანი დაირწევა"
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 სერიალი "რვაფეხა"
13.00 ნაშუადღევს
14.05 "ლერერის შოუ"
15.15 მხ. ფილმი "ონავარი"
16.50 დოკ. სერიალი "პალიტრა"
17.15 დოკ. ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო"
17.40 ტელესერიალი "ძილის წინ"
18.00 ვესტნიკი
18.20 ბასტი-ბუბუ
18.40 "და არს მუსიკა"
19.05 "ვიდეოპატრული"
19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე"
21.00 სერიალი "რვაფეხა"
22.00 "დრო და ფული"
22.15 "სათავეებთან"
23.00 "დღის ბოლოს"
23.40 ტელესერიალი "ძილის წინ"
00.00 მხ. ფილმი "უკანასკნელი რელიქვია"

### პირველი სტერეო

08.00 -ტოროლა
08.20 - გამ. კვირის საუკ. ლექსები
11.00 - გამ. მუსათეული
11.45 - 13.45 - პაუზის გარეშე
13.45 - მუსიკა
17.00 - ფილმი კომედია "ოსმოზის ჯონსი "
19.00 - გამ. პაპარაცი
19.30 - ვიდეორადიო
21.00 - გამ. ქართული მუსათეული
21.45 - აბა გამოიცანი კინოოგანა
22.45 - მოკლე სეანსი
23.00 - სველი ხაზი
00.00 - ფილმი ბრავო "მხედრები ალმოდებული პრერიებიდან"
01.45 - ფილმი ღამურა "წამშლელი"
03.45 - პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები"
20.30 ამბები ჩვენზე
20.45 ოქტაგონი
21.30 ასპარეზი
22.10 ჰიტ-პარადი
22.20 მხ. ფილმი "ფარიატივების ფანტაზიები"

### ევრიკა

11.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
11.20 მულტფილმი
12.00, 21.00 სალონი
14.00, 15.00 მუსიკალური პაუზა
15.15 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
18.30 რუსული ენის გაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 მუსიკალური ტაიმ-აუტი
20.00 მსოფლიო სპორტი
23.00 სტუდია "ეკონომისტი"
00.00 მხ.ფ. "თამაში სიყვარულით"

### იბერია

08.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
08.15 აღსავალი
08.20 ანონსი, მულტფილმი
08.30 ბურთი და მოედანი
09.05 მხ. ფილმი "დამსხვრეული გულები"
10.25 დოკ. სერიალი
10.45, 14.10, 17.20, 19.30, 21.45, 22.15, 00.45 მუსიკა
10.50 მხ.ფ. "აზარტული თამაში"
13.10, 17.30 მულტფილმი
18.00 დოკუმენტური ფილმი
20.00 მხ.ფ. "ისევ კოლეჯში"
22.30 ძველი კინო "მთვრალი ანგელოზი"
00.50 ღამის ფილმი

### კავკასია

12.00 მხ. ფილმი "მოასწრო გახსენება"
13.30 მხ. ფილმი "გამოუსწორებელი"
15.00 მხ. ფილმი "სარკეს ორი მხარე აქვს"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 "დღეს"
17.15 მხ. ფილმი "პაროლი ხმალთევზა"
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი "პონეტი"
22.30 მხ. ფილმი "ჩიხში"

### მეცხრე არხი

10.00 მხ. სერიალი "ზურგის ქარი"
10.45, 11.50, 13.15, 17.20, 20.50, 21.45, 23.30 მუსიკა
11.00 მხ. სერიალი "მოჯადოება"
12.00 გადაცემა "მსოფლიო რაგბი"
13.30 მხ. ფილმი "საპასუხო დარტყმა"
15.00 მხ. ფილმი "ბინძური ჭორები"
16.30 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 47-ე სერია
17.40 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" მე-18 სერია
18.30 მულტფილმი "მეფის ასული შაჰრაზადი" მე-18 სერია
19.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" 67-ე სერია
20.00 მხ. დეტექტიური სერიალი "ბენზინი სისხლში" მე-4 სერია
21.20 დოკ. ფილმი-ბალეტი "ფაივ დანსი, - მარტა გრეჰემი"
21.30 "მსოფლიო კულტურის საგანძური". "ჰაინსა-შავი ხელოვნების ტაძარი. სამხრეთ კორეა".
22.00 მხ.ფ. "გრძელი შაბათ-კვირა" მთ. როლებში რეგან დელი, ფრენკ სევიჯი
23.50 მხ.ფ. "ორმოცდაათ წელიწადში" მთ. როლში მიკი რურკი

### აჭარის ტელევიზია

07.00, 08.00, 09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
9.30 სათავგადასავლო ფილმი "ნაპოლეონი"
10.50 ფანტასტიკა "კაპიტანი ნემო" 1 სერია
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 კომედია "ილგლიანი ჯენტელმენები"
13.35 მხატვრული ფილმი "მშვიდობისმყოფელი"
15.10 დოკუმენტური ფილმი "იდუმალი აფრიკა"
16.10, 19.30, 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
16.20 მულტფილმი "დინოზავრი"
17.35 მხატვრული ფილმი "ძაღლი თივაზე" 1 სერია
19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი"
19.40 "Пресс- папье"
19.45 დოკუმენტური ფილმი "მამაცი ოპერატორები"
20.30 მხატვრული ფილმი "დანგრეული სასახლე"
22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს"
22.50 "Пресс- папье"
23.05, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.10, 01.05 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
23.15 ტელესერიალი "ბინძური ცეკვები" 1 სერია
01.10 კომედია "თქვენ გიხმობთ ტაიმირი"
03.30 მხატვრული ფილმი "ძაღლის ქოფაკები"
05.20 დოკუმენტური ფილმი

### VII არხი

09.30 "აჩიკუდა"
09.55 "ბედნიერი ერი"
10.00 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა
10.25 "ავტოტრეკინგი"
11.00 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" -
11.35 "სახლიდან გაუსვლელად" - მოგილურები
12.15 ანიმაცია
12.30 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე
13.10 "ბიორითმი" - მიხეი და ჯუმანჯი თბილისში
13.35 დისნეი და მისი მეგობრები
14.00 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა
14.45 სპორტი
18.20 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა
19.00 "აჩიკუდა"
19.30 ამინდის პროგნოზი
19.45 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა
20.10 "ფაქტი, აზრი, კომენტარი"
20.25 პორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა
21.00 "ღამის კაპრიზი" - თემა: სწავლა საზღვარგარეთ
22.00 "სახლიდან გაუსვლელად" - მოგილურები
22.40 "კინოკლუბი" - "რემბო-3". ა.შ.შ. 1984 წელი.
00.25 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე
00.55 "ბიორითმი" - მიხეი და ჯუმანჯი თბილისში

### ОРТ

07.00 "Доброе утро!"
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости
10.15 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ"
11.05 Независимое расследование. "Рыбная мафия"
11.50 "Ералаш"
12.05, 16.51, 00.30 "Фабрика звезд".
12.35 Дисней-клуб: "Переменка"
13.15 Детектив "ЗАКОН КОЛОМБО"
15.00 Жди меня (с сурдопереводом)
16.40 "Ералаш"
16.55 "ЗнаТоКи". "ПУД ЗОЛОТА", 5 с.
18.00 "Большая стирка"
19.25 "Смехопанорама"
20.00 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ"
20.55 "Последний герой 2". "Шанс"
22.00, 01.00 Время
22.40 "ЗнаТоКи". "ПУД ЗОЛОТА", 6 с.
23.45 Тайны века. "Власов. Дважды проклятый генерал"
01.20 Телеканал "Новый день". Искатели. "Пропавшее сокровище Ивана Грозного"
01.50, 02.50 "Апология"
02.20 "Формула власти". Три президента Боснии и Герцеговины

### РТР

06.45 "Доброе утро, Россия!"
09.45 Сериал "МУЖСКАЯ РАБОТА 2"
10.40 Сериал "ЛЮДИ И ТЕНИ"
11.45, 18.20, 00.30 Вести. Дежурная часть
12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести
12.20 "Цена успеха"
13.15 Сериал "КОМИССАР РЕКС"
14.10 "Экспертиза"
14.30 "Колоссальное хозяйство"
14.45, 19.20, 21.35 Вести-Москва
15.20 "Что хочет женщина"
16.20 Худ.фильм "ГОНКИ ПО ВЕРТИКАЛИ"
17.40 "Экспертиза"
18.50 "Дорожный патруль"
19.05 Вести-Спорт
19.50 Сериал "ВОРОВКА. СЧАСТЬЕ НАПРОКАТ"
20.50 "Спокойной ночи, малыши!"
21.55 Сериал "МУЖСКАЯ РАБОТА 2"
22.50 Сериал "ЛЮДИ И ТЕНИ" 00.00 "Вести +"
00.45 Худ.фильм "ДОРОГА НА АРЛИНГТОН"
02.50 "Дорожный патруль"




ფეხბურთი

# ევროფეხბურთი: „რეალმა„ 5:1 გაიმარჯვა, ლიდერი კი ისევ „სოსიედადია„

˝მილანმა˝ იტალიის ჩემპიონატის ლიდერის პოზიცია დაიბრუნა

აკა ტონია

**ესპანეთი, XIV ტური**

*7 დეკემბერი:*

| | |
|---|---|
| **მალაგა – ვილიარეალი** | **1:1** |
| **რეკრეატივო – დეპორტივო** | **1:1** |
| **რაიო ვალეკანო – ბარსელონა** | **1:0** |
| **სევილია – სოსიედადი** | **0:1** |
| **ვალენსია – სანტანდერი** | **2:0** |
| *8 დეკემბერი:* | |
| **ბილბაო – ოსასუნა** | **1:3** |
| **სელტა – ალავესი** | **2:1** |
| **ესპანიოლი – ბეტისი** | **2:4** |
| **მაიორკა – რეალი** | **1:5** |
| **ატლეტიკო – ვალიადოლიდი** | **1:0** |

"მაიორკასთან" სტუმრად 5:1 გამარჯვებით, მადრიდის "რეალმა" წლევანდელ სეზონში პირველად გამოაჩინა თავისი რეალური პოტენციალი. მიუხედავად იმისა, რომ სტუმრებს ფერნანდო იერო და ესტებან კამბიასო აკლდათ, "სამეფო კლუბმა" რონალდოს (7` და 48` წუთებზე), რაულის (63` და 65`) და გუტის (90`) გოლების წყალობით, "მაიორკას" 9-მატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა.

"მაიორკასგან" განსხვავებით, თავის დაუმარცხებელ მსვლელობას განაგრძობს ესპანეთის ჩემპიონატის მოულოდნელი ლიდერი, სან სებასტიანის "რეალ სოსიედადი". სევილიაში 1:0 გამარჯვების შემდეგ ბასკებმა კიდევ უფრო გაიმყარეს პირველი ადგილი.

მაშინ როდესაც "პატარა სოსიედადს" ესპანეთის ჩემპიონობის ამბიცია აქვს, მადრიდის "რეალი" კი დღითიდღე ჩვეულ ფორმას უბრუნდება, კატალონიური "ბარსელონას" კრიზისი სულ უფრო საგანგაშო ხდება. გასულ შაბათს "ბარსა" "რაიო ვალეკანოს" ესტუმრა და დამარცხდა – 0:1. კატალონიელი გულშემატკივრები უკვე ვან გაალის გადადგომას მოითხოვენ. ადგილობრივი პრესა კი მიიჩნევს, რომ "ვან გაალისა და პრეზიდენტ გასპარის თავები ბეწვზე კიდია". თავად მწვრთნელი იმედს არ კარგავს და აცხადებს, რომ მას "ჯერ კიდევ შესწევს უნარი, "ბარსელონას" ჩემპიონის ტიტული მოაპოვებინოს". ასეა თუ ისე, "ბარსელონა" მე-10 ადგილზეა და ლიდერს 13 ქულით ჩამორჩება.

ესპანეთის ჩემპიონატის ფავორიტებიდან მხოლოდ "ვალენსია" ამართლებს საკუთარი გულშემატკივრის იმედებს: შაბათს ესპანეთის ახლანდელმა ჩემპიონმა სანტანდერის "რასინგს" უმასპინძლა და დამაჯერებლად – 2:0 მოუგო.

კიდევ ერთი "მოსაგები" მატჩი ვერ მოიგო "დეპორტივომ", რომელიც ცხრილის უკანასკნელ საფეხურზე მყოფ "რეკრეატივოს" დაუზავდა - 1:1.



*რონალდო ˝მაიორკელი˝ მარკოს მარტინის წინააღმდეგ*

**იტალია, XIV ტური**

*7 დეკემბერი:*

| | |
|---|---|
| **მილანი – რომა** | **1:0** |
| **ლაციო – ინტერი** | **3:3** |
| *8 დეკემბერი:* | |
| **ბრეშა – იუვენტუსი** | **2:0** |
| **მოდენა – კომო** | **1:1** |
| **პარმა – რეჯინა** | **2:0** |
| **პერუჯა – პიაჩენცა** | **0:0** |
| **ტორინო – ატალანტა** | **(გადაიდო)** |
| **უდინეზე – ემპოლი** | **2:1** |
| **კიევო – ბოლონია** | **0:0** |

არგენტინელი კლაუდიო ლოპესის 3 გოლი რომის "ლაციოს" არ ეყო, რათა "ინტერისთვის" მოეგო. მიუხედავად იმისა, რომ მილანელები 0:3 აგებდნენ, მათ მაინც შეძლეს რომის ოლიმპიური სტადიონიდან 1 ქულის წაღება. "ლაციომ" კი ჩემპიონატის ლიდერობა "მილანს" დაუთმო. მეორე მილანურ-რომაულ დუელში კახი კალაძის გუნდი "რომას" მასპინძლობდა და მოუგო კიდეც – 1:0. ტრავმის გამო კალაძეს კვლავ არ უთამაშია. სამაგიეროდ, კვლავ გაიბრწყინა "პიპო" ინძაგიმ, რომელმაც 73-ე წუთზე მატჩის ერთადერთი გოლი გაიტანა. აღსანიშნავია, რომ, ამ მატჩში პირველად, კარგად გამოიყურებოდა შევჩენკო-ინძაგის დუეტი. ˝მილანის˝ თავდამსხმელები ჰარმონიულად მოქმედებდნენ.

პირველი მარცხი იწვნია აქამდე წაუგებელმა "იუვენტუსმა". ტურინელები აუტსაიდერ "ბრეშას" ესტუმრნენ და 0:2 წააგეს.

ბოლო დროს იტალიის ჩემპიონატში ლიდერი ყოველი ტურის შემდეგ იცვლება. ამჟამად ლიდერი "მილანია". ვნახოთ, მომავალ კვირას, შესაძლოა, კვლავ "ლაციო", "ინტერი" ან "იუვენტუსი" ვიხილოთ პირველ ადგილზე. ამ კლუბებს ერთმანეთისგან მხოლოდ თითო ქულა აშორებთ.

**ინგლისი, XVII ტური**

*7 დეკემბერი:*

| | |
|---|---|
| **მანჩესტერი – არსენალი** | **2:0** |
| **ასტონ ვილა – ნიუკასლი** | **0:1** |
| **ბოლტონი – ბლექბერნი** | **1:1** |
| **ჩარლტონი – ლივერპული** | **2:0** |
| **ევერტონი – ჩელსი** | **1:3** |
| **ფულემი – ლიდსი** | **1:0** |
| **მიდლსბრო – ვესტ ჰემი** | **2:2** |
| **საუთჰემპტონი – ბირმინგემი** | **2:0** |
| *8 დეკემბერი:* | |
| **ტოტენჰემი – ვესტბრონვიჩი** | **3:1** |

შაბათს, ინგლისში, არა მარტო ტურის, ალბათ, მთელი ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე პრინციპული მატჩი გაიმართა: "მანჩესტერ იუნაიტედმა" ლიდერს - "არსენალს" უმასპინძლა და დაამარცხა (2:0). მიუხედავად იმისა, რომ, წაგების მიუხედავად, ლონდონელებმა ცხრილის სათავეში ადგილი შეინარჩუნეს, "მანჩესტერმა" მესამე საფეხურზე გადაინაცვლა და ლიდერს მხოლოდ 3 ქულით ჩამორჩება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ალექს ფერგიუსონის გუნდმა ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლას სერიოზულად მოჰკიდა ხელი, რაც "არსენალს" მოდუნების საშუალებას აღარ მისცემს.

"არსენალსა" და "მანჩესტერს" შორის, მე-2 ადგილზე, 33 ქულით გადაინაცვლა "ჩელსიმ", რომელმაც სტუმრად მოუგო (3:1) ბოლო დროს ჩინებულ ფორმაში მყოფ "ევერტონს". მე-2 ადგილის შენარჩუნების კარგი შანსი ჰქონდა "ლივერპულს", მაგრამ ჟერარ ულიეს გუნდი სტუმრად "ჩარლტონთან" დამარცხდა (0:2) და ცხრილის მე-4 საფეხურზე დამკვიდრდა.

**გერმანია, XVI ტური**

*7 დეკემბერი:*

| | |
|---|---|
| **არმინია – ჰანზა** | **3:0** |
| **დორტმუნდი – კაიზერსლ.** | **3:1** |
| **ჰერტა – ვოლფსბურგი** | **2:2** |
| **მიუნხენ 1860 – ლევერკუზენი** | **0:3** |
| **ნიურნბერგი – კოტბუსი** | **2:2** |
| **შალკე – ვერდერი** | **1:1** |
| **შტუტგარტი – ბაიერნი** | **0:3** |
| *8 დეკემბერი:* | |
| **ჰამბურგი – ბოხუმი** | **1:1** |
| **მიონხენგლადბახი – ჰანოვერი** | **1:0** |

გერმანიის წლევანდელი ჩემპიონატი, ალბათ, სეზონის ბოლომდე მე-2 ადგილისთვის ბრძოლაში ჩაივლის – ჩემპიონი თითქმის გარკვეულია. მიუნხენის "ბაიერნმა" თავისი ზედიზედ მეხუთე მატჩი მოიგო, ამჯერად შტუტგარტში – 3:0. მიუნხენელების ტაქტიკა მარტივი, მაგრამ წარმატებული იყო: ჰიტცფელდმა თამაში კონტრშეტევებზე ააგო. წლევანდელ სეზონში ეს "შტუტგარტის" პირველი საშინაო მარცხი იყო.

"სანუკვარი" მე-2 ადგილისთვის ბრძოლაში ამჯერად დორტმუნდის "ბორუსიამ" გაიმარჯვა. მათიას ზამერის გუნდმა მძიმე კრიზისში მყოფ "კაიზერსლაუტერნს" უმასპინძლა და მოუგო (3:1), ხოლო უშუალო კონკურენტები - "ვერდერი" და "შალკე" - ერთმანეთს დაუზავდნენ – 1:1.

დამაჯერებელ გაიმარჯვებას მიაღწია ლევერკუზენის "ბაიერმაც". ჩემპიონთა ლიგის შარშანდელი გათამაშების ფინალისტი "ბუნდესლიგაში" იმდენად სუსტად ასპარეზობს, რომ გავარდნის საშიშროების წინაშეც კი დადგა. "მიუნხენ 1860"-თან სტუმრად, 3:0 გამარჯვება კი კლაუს ტოპმიოლერის გუნდს ამოსუნთქვის საშუალებას მისცემს. მატჩის გმირად აღიარეს ოლივერ ნოივილი, რომლის ანგარიშზე ერთი გოლი და ორი საგოლე გადაცემაა. "ბაიერი" თავის გამარჯვებას, ნოივილთან ერთად, უნდა უმადლოდეს "მიუნხენ 1860"-ის "სუპერ-თავდასხმას", ლაუტსა და შროტს, რომლებმაც უამრავი საგოლე მომენტი გაუშვეს ხელიდან.

| ესპანეთი | თ | მ | ფ | წ | ბ.შ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოსიედადი | 13 | 8 | 5 | 0 | 24:14 | 29 |
| ვალენსია | 13 | 7 | 4 | 2 | 22:7 | 25 |
| სელტა | 13 | 7 | 3 | 3 | 17:9 | 24 |
| ბეტისი | 13 | 6 | 5 | 2 | 24:14 | 23 |
| მაიორკა | 13 | 7 | 2 | 4 | 20:20 | 23 |
| რეალი | 12 | 5 | 6 | 1 | 22:11 | 21 |
| ატლეტიკო | 13 | 5 | 6 | 2 | 19:13 | 21 |
| დეპორტივო | 13 | 5 | 5 | 3 | 18:17 | 20 |
| მალაგა | 13 | 4 | 6 | 3 | 18:18 | 18 |
| ბარსელონა | 13 | 4 | 4 | 5 | 18:16 | 16 |
| ვილიარეალი | 13 | 3 | 6 | 4 | 13:13 | 15 |
| ოსასუნა | 13 | 4 | 3 | 6 | 15:19 | 15 |
| ბილბაო | 13 | 4 | 3 | 6 | 19:26 | 15 |
| სანტანდერი | 13 | 4 | 2 | 7 | 12:15 | 14 |
| ვალიადოლიდი | 13 | 4 | 2 | 7 | 11:17 | 14 |
| ალავესი | 13 | 3 | 4 | 6 | 15:23 | 13 |
| რაიო ვალეკანო | 13 | 3 | 3 | 7 | 15:22 | 12 |
| სევილია | 12 | 2 | 5 | 5 | 8:11 | 11 |
| ესპანიოლი | 13 | 3 | 1 | 9 | 14:25 | 10 |
| რეკრეატივო | 13 | 2 | 3 | 8 | 10:24 | 9 |

| იტალია | თ | მ | ფ | წ | ბ.შ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 13 | 9 | 2 | 2 | 28:9 | 29 |
| ლაციო | 13 | 8 | 4 | 1 | 28:13 | 28 |
| ინტერი | 13 | 8 | 3 | 2 | 28:15 | 27 |
| იუვენტუსი | 13 | 7 | 5 | 1 | 21:10 | 26 |
| კიევო | 13 | 7 | 2 | 4 | 21:13 | 23 |
| ბოლონია | 13 | 6 | 5 | 2 | 16:9 | 23 |
| პარმა | 13 | 6 | 4 | 3 | 24:14 | 22 |
| მოდენა | 13 | 6 | 1 | 6 | 12:20 | 19 |
| პერუჯა | 13 | 5 | 3 | 5 | 17:19 | 18 |
| უდინეზე | 12 | 5 | 3 | 4 | 11:13 | 18 |
| რომა | 13 | 4 | 5 | 4 | 23:22 | 17 |
| ემპოლი | 13 | 5 | 2 | 6 | 20:19 | 17 |
| პიაჩენცა | 13 | 3 | 3 | 7 | 11:17 | 12 |
| ბრეშა | 13 | 3 | 3 | 7 | 16:25 | 12 |
| ატალანტა | 12 | 2 | 2 | 8 | 11:23 | 8 |
| რეჯინა | 13 | 1 | 4 | 8 | 10:23 | 7 |
| ტორინო | 12 | 2 | 0 | 10 | 6:26 | 6 |
| კომო | 12 | 0 | 5 | 7 | 7:20 | 5 |

| ინგლისი | თ | მ | ფ | წ | ბ.შ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 17 | 11 | 2 | 4 | 36:19 | 35 |
| ჩელსი | 17 | 9 | 6 | 2 | 31:14 | 33 |
| მანჩესტერი | 17 | 9 | 5 | 3 | 27:17 | 32 |
| ლივერპული | 17 | 9 | 4 | 4 | 27:17 | 31 |
| ევერტონი | 17 | 9 | 2 | 6 | 20:20 | 29 |
| ნიუკასლი | 16 | 9 | 1 | 6 | 26:23 | 28 |
| ტოტენჰემი | 17 | 8 | 3 | 6 | 23:23 | 27 |
| საუთჰემპტონი | 17 | 7 | 5 | 5 | 20:17 | 26 |
| მიდლსბრო | 17 | 7 | 4 | 6 | 21:15 | 25 |
| ბლექბერნი | 17 | 6 | 6 | 5 | 23:20 | 24 |
| ჩარლტონი | 17 | 7 | 2 | 8 | 18:20 | 23 |
| ფულემი | 17 | 6 | 4 | 7 | 22:22 | 22 |
| ბირმინგემი | 17 | 5 | 5 | 7 | 16:21 | 20 |
| მანჩესტერ სიტი | 16 | 6 | 2 | 8 | 17:23 | 20 |
| ასტონ ვილა | 17 | 5 | 4 | 8 | 15:17 | 19 |
| ლიდსი | 17 | 5 | 2 | 10 | 20:25 | 17 |
| ვესტ ბრონვიჩი | 17 | 4 | 3 | 10 | 12:25 | 15 |
| ბოლტონი | 16 | 3 | 5 | 8 | 18:28 | 14 |
| სანდერლენდი | 16 | 3 | 5 | 8 | 8:20 | 14 |
| ვესტ ჰემი | 17 | 3 | 4 | 10 | 17:31 | 13 |

| გერმანია | თ | მ | ფ | წ | ბ.შ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 16 | 12 | 2 | 2 | 36:14 | 38 |
| დორტმუნდი | 16 | 8 | 6 | 2 | 24:13 | 30 |
| ვერდერი | 16 | 9 | 3 | 4 | 32:27 | 30 |
| შალკე | 16 | 7 | 6 | 3 | 21:14 | 27 |
| შტუტგარტი | 16 | 6 | 6 | 4 | 25:21 | 24 |
| მიუნხენ 1860 | 16 | 7 | 3 | 6 | 24:23 | 24 |
| ჰამბურგი | 16 | 7 | 3 | 6 | 21:23 | 24 |
| ჰერტა | 16 | 6 | 5 | 5 | 18:17 | 23 |
| ვოლფსბურგი | 16 | 7 | 2 | 7 | 19:20 | 23 |
| ბოხუმი | 16 | 6 | 4 | 6 | 30:27 | 22 |
| არმინია | 16 | 6 | 3 | 7 | 21:24 | 21 |
| ლევერკუზენი | 16 | 5 | 5 | 6 | 24:25 | 20 |
| მიონხენგლადბახი | 16 | 5 | 4 | 7 | 20:17 | 19 |
| ჰანზა | 16 | 5 | 4 | 7 | 20:20 | 19 |
| ნიურნბერგი | 16 | 5 | 3 | 8 | 21:27 | 18 |
| ჰანოვერი | 16 | 4 | 3 | 9 | 22:23 | 15 |
| კაიზერსლაუტერნი | 16 | 2 | 4 | 10 | 15:27 | 10 |
| კოტბუსი | 16 | 2 | 4 | 10 | 13:34 | 10 |

# ჩემპიონთა ლიგა ზამთრის შესვენების მოლოდინში

*დღეს უეფას ჩემპიონთა ლიგის, 2002-03 წლის სეზონის მეორე ეტაპის ოთხი შეხვედრა გაიმართება. წინ ზამთრის შესვენებაა და, ცხადია, ყველა გუნდი დღევანდელი და ხვალინდელი მატჩებისთვის განსაკუთრებული მონდომებით ემზადება. იტალიაში, ესპანეთში, ჰოლანდიასა და ინგლისში უმნიშვნელოვანესი მატჩები გაიმართება.*

დიმიტრი ობოლაძე

### A ჯგუფი

**ინტერი – ბაიერი**
**ბარსელონა – ნიუკასლი**

უკანასკნელი გუნდი, რომელმაც ევროპულ საკლუბო ტურნირებში იტალიაში "ინტერს" მოუგო, დორტმუნდის "ბორუსიაა". 1993-94 წლის UEFA-ს თასის გათამაშებაში გერმანელებმა 2:1 დაამარცხეს იტალიელები, თუმცა, საკუთარ მოედანზე 1:3 დამარცხდნენ და ბრძოლა "ინტერმა" განაგრძო. სან-სიროზე გამართული 15 შეხვედრიდან "ინტერმა" გერმანელებს 12 მოუგო და სამჯერ წააგო. ფრედ არც ერთი მატჩი არ დასრულებულა. ფავორიტად დღესაც იტალიელები ითვლებიან. კუპერის გუნდმა წინა ტურში შთამბეჭდავად ითამაშა და 4:1 დაამარცხა "ნიუკასლი". თან ეს სტუმრად, "სენტ ჯეიმს პარკზე" შეძლო. დღეს კუპერს არ ეყოლება მცველი ფაბიო კანავარო, რომელიც სწორედ ნიუკასლში მიღებული გაფრთხილების გამო გამოტოვებს შეხვედრას. ტოპმიოლერის "ბაიერმა", მეშვიდე ტურში, საკუთარ მოედანზე "ბარსელონასთან" წაგების შემდეგ, სამი საშინაო მატჩი ჩაატარა. ლევერკუზენელებმა 2:3 წააგეს "ჰამბურგთან" და სწორედ ამ შეხვედრაში დაკარგეს ბრაზილიელი მცველი ლუსიო, რომელმაც ტრავმა მიიღო. ექიმების განცხადებით, ბრაზილიელის ტრავმა იმდენად სერიოზულია, რომ იგი მხოლოდ ზამთრის შესვენების შემდეგ განაახლებს ვარჯიშს. შეგახსენებთ, რომ ლევერკუზენის "ბაიერი" სეზონის დასაწყისიდან გუნდის კაპიტნის იენს ნოვოტნის გარეშე თამაშობს. ამ ჯგუფში ყველაზე მძიმე სიტუაციაში სწორედ ტოპმიოლერის გუნდია. მეორე ეტაპზე ორი წაგება ნებისმიერისთვის კატასტროფის ტოლფასია. "მე ვიცი, რომ უკანდასახევი გზა არა გვაქვს, - განაცხადა მწვრთნელმა – თუ დღეს წავაგეთ, ყველაფერი დასრულდება. ძალიან სამწუხაროა, რომ "ბარსელონას" ვერ მოვუგეთ. იტალიაში მხოლოდ მოსაგებად ჩამოვედით". მსაჯი შოტლანდიელი ჰიუ დალასია.

ქვეჯგუფის მეორე მატჩში ფავორიტი "ბარსელონაა". კატალონიელები საკუთარ მოედანზე ინგლისელთა წინააღმდეგ, ტრადიციულად, ძლიერად თამაშობენ. ინგლისის კლუბებმა "ნოუ კამპზე" მოგება 24-ჯერ სცადეს და მხოლოდ ერთხელ გაიმარჯვეს. ეს მოხდა 1975-76 წლების UEFA-ს თასის გათამაშებაში, როდესაც "ლივერპულმა", ჯონ ტოშაკის ერთადერთი გოლის წყალობით, დაამარცხა "ბარსელონა". სულ კი 24 თამაში, 17 გამარჯვება, 6 ფრე და ერთი მარცხი. მოკლედ, სტატისტიკა კატალონიელთა სასარგებლოდ მეტყველებს. "ბარსელონას" სასარგებლოდ მეტყველებს ისიც, რომ მათი მწვრთნელი, ჰოლანდიელი ლუის ვან გაალი აშკარად ჩემპიონთა ლიგაზე აკეთებს აქცენტს და ნაკლებად აღელვებს ესპანეთის პრიმერადივიზიონი. 16 ნოემბრის შემდეგ "ბარსელონას" არც ერთი საშინაო თამაში არ მოუგია (0:2 "დეპორტივოსთან", 0:0 "რეალთან", 1:2 "სოსიედადთან" და 0:1 "რაიო ვალეკანოსთან"). ძნელია, ფიცხი კატალონიელები დაარწმუნო, რომ გუნდი, რომელსაც ჩემპიონთა ლიგაში შვიდიდან შვიდივე მატჩი მოგებული აქვს, ვერ უგებს "ვალეკანოს" მსგავს გუნდებს. ვან გაალი კი მშვიდადაა და ზამთრის შესვენების შემდეგ პრიმერადივიზიონში სიტუაციის გამოსწორებას გვპირდება. არ დაგავიწყდეთ, რომ რობსონს არ ეყოლება "მოხულიგნო ელემენტი" კრეიგ ბელამი და გუნდის კაპიტანი ალან შირერი, რომელიც კანავაროს წინააღმდეგ უხეშობისთვის მატჩის ვიდეოფირის ნახვის შემდეგ დასაჯეს. ასე რომ, "ნიუკასლი", ფაქტობრივად, განწირულია, თუმცა...

### B ჯგუფი

**აიაქსი – რომა**
**არსენალი – ვალენსია**

ჰოლანდიელთა მწვრთნელი რონალდ კუმანი ძალიან კმაყოფილია თავისი გუნდით. "მერწმუნეთ, ჩვენ აქ, "ამსტერდამ არენაზე", ფავორიტები ვართ", - განაცხადა კუმანმა. წინა შეხვედრაში "აიაქსმა" ძველი ტრადიციების დაბრუნებისკენ სერიოზული ნაბიჯი გადადგა. ამსტერდამელებმა თითქმის მოახდინეს სენსაცია. ისინი "მესტალიაზე" მთელი შეხვედრის განმავლობაში იგებდნენ, მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ ფრეს დასჯერდნენ. ჰოლანდიაში კი არავის ახსოვს, რომ ბენიტესის გუნდმა უამრავი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა. სწორედ მომენტების გამოყენებას აპირებს დღეს იტალიის "რომა". კაპელომ იცის, როგორ უნდა მოიქცეს. "ამსტერდამელებმა დიდი პატივისცემა დაიმსახურეს", - განაცხადა იტალიელმა, – "ეს გუნდი სწრაფ, თუმცა, არცთუ ისე დალაგებულ ფეხბურთს თამაშობს. ეს განსაკუთრებით დაცვის ხაზს ეხება. "აიაქსი" შეგვიტევს. ეს კი ჩვენთვის იდეალური ვარიანტია". საგულისხმოა, რომ ამსტერდამელები არცთუ კარგ გუნებაზე არიან. ჰოლანდიის ჩემპიონატის უკანასკნელ ტურში მათ "გრააფსხაპს" ვერ მოუგეს და ძალიან ცუდად ითამაშეს. სხვათა შორის, "აიაქსის" ორ ფეხბურთელს დიდი პატივი ხვდა წილად: კრისტიან კივუ და ჰატემ ტრაბელსი მადრიდის "რეალის" 100 წლისთავისადმი მიძღვნილ მატჩში მიიღებენ მონაწილეობას.

18 დეკემბერს "რეალი" მსოფლიოს ნაკრებს მადრიდში შეხვდება.

ყველაზე დიდ ინტერესს მაინც "ჰაიბერიზე" გასამართი თამაში იწვევს. ლონდონის "არსენალსა" და არსენ ვენგერს, 2001 წლის შემდეგ, პირველად ეძლევათ შანსი, გავიდნენ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში. ამისთვის დღეს "მეთოფეებმა" უნდა მოიგონ და მშვიდად დაელოდონ თებერვალს. ლონდონელთა და ესპანეთის გუნდების მატჩები, ტრადიციულად, უკომპრომისოა და ფრედ იშვიათად მთავრდება. "არსენალმა", ევროპულ საკლუბო ტურნირებში, ხუთჯერ უმასპინძლა ესპანეთის კლუბებს და სამჯერ დაამარცხა. ორი შეხვედრა კი სტუმრებმა მოიგეს. ერთადერთი ესპანური გუნდი, რომელმაც "არსენალი" "ჰაიბერიზე" დაამარცხა, "დეპორტივოა".

თუმცა, დღეს სტატისტიკას მნიშვნელობა არა აქვს. "რა მნიშვნელობა აქვს, რა მოხდა გუშინ, ან, სულაც, რამდენიმე წლის წინათ. დღეს ანგარიში ნულით ნულია და ორივე გუნდმა მაქსიმუმი უნდა გააკეთოს. რაც შეეხება ფავორიტს, რა თქმა უნდა, უპირატესობა ჩემი გუნდის მხარესაა. არ დაგავიწყდეთ, ეს ჰაიბერია", - განაცხადა არსენ ვენგერმა.

***სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი-2", დღეს, 23,45 სთ-ზე, გთავაზობთ პირდაპირ რეპორტაჟს ლონდონიდან.***

ინფორმაცია

## ვან გაალი არ ნებდება

"ბარსელონას" ჰოლანდიელი მწვრთნელი ლუის ვან გაალი აგრძელებს საფეხბურთო საზოგადოებისა და გულშემატკივართა გაოცებას. ესპანეთის ჩემპიონატის მე-13 ტურში კატალონიელებმა მორიგი წარუმატებლობა იწვნიეს - ამჯერად მადრიდის "რაიო ვალეკანოსთან" დამარცხდნენ (1:2). მიუხედავად ამისა, ლუის ვან გაალმა განაცხადა, რომ ეს წლევანდელ სეზონში მისი ფეხბურთელების მიერ ჩატარებული ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი იყო. ამ სიტყვებს ვან გაალმა მაშინვე დაამატა: "ჩვენ ცუდ მდგომარეობაში ვართ და ამის მეტს ვერაფერს მოგახსენებთ", რამაც გულშემატკივრები არანაკლებ გააოცა. საქმე ის არის, რომ კატალონიელებს ვან გაალისთვის რივალდოს გაშვება ვერ უპატიებიათ და მისგან მხოლოდ გამარჯვებას მოითხოვენ. ამიტომ ჰოლანდიელისგან ასეთი განცხადებები კატალონიელ გულშემატკივარს მხოლოდ აღიზიანებს.

ვან გაალმა ისიც აღნიშნა, რომ მისი გუნდი "რაიო ვალეკანოსთან" მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდა ბურთს და, შესაბამისად, ინიციატივას, მაგრამ მას, უბრალოდ, არ გაუმართლა. ვან გაალი ამბობს, რომ იცის იმ კრიზისიდან გამოსვლის გზები, რომელსაც ამჟამად "ბარსელონა" განიცდის. თუმცა, ამ გზების შესახებ მწვრთნელს არაფერი უთქვამს. ბოლოს ჰოლანდიელმა დაამატა, რომ რეაბილიტაციისა და მდგომარეობის გამოსწორების საუკეთესო საშუალება მის გუნდს სამშაბათს, ინგლისის "ნიუკასლ იუნაიტედის" წინააღმდეგ ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში ექნება. "თუ მოვიგებთ, მეოთხედფინალის საგზურს პრაქტიკულად გავინაღდებთ. ესე იგი, "სევილიას" წინააღმდეგ ეროვნული ჩემპიონატის მატჩის ჩატარებაც გაგვიადვილდება", - განმარტა ლუის ვან გაალმა.

## 2012 წლის ოლომპიურ თამაშებს, შესაძლოა, პარიზმა უმასპინძლოს

2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლად პარიზის დასახელება დიდი წარმატება იქნებოდა საფრანგეთისა და ფრანგული სპორტისთვის - ასეთი განცხადება გააკეთა, წარმოებისა და მეცნიერების ნაციონალურ ცენტრში, სპორტის გენერალური შტატების სხდომაზე გამოსვლისას საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა. "თუ საფრანგეთი 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის სურვილს გამოთქვამს, პარიზი ასეთი ტურნირის ჩატარებისთვის საუკეთესო ვარიანტი იქნება, - განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა, - ხელისუფლება ყოველგვარ დახმარებას გაუწევს მერიასა და პარიზის მუნიციპალურ საბჭოს. ეს შანსს მისცემს ჩვენს ჩემპიონებს, ჩვენს სპორტს, ჩვენს ქვეყანას".

ოლიმპიური თამაშების მასპინძელ ქალაქს დაადგენს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სხდომა, რომელიც 2005 წელს სინგაპურში გაიმართება. წინასწარი განაცხადების შეტანის ვადა კი 2003 წლის ივლისში იწურება. ჯერჯერობით, ოფიციალური განაცხადი მხოლოდ ნიუ-იორკმა წარმოადგინა. ვარაუდობენ, რომ ოლიმპიადის მასპინძლობას ერთმანეთს შეეცილებიან: ლონდონი, მადრიდი, მოსკოვი, რიო-დე-ჟანეირო და ტორონტო. პარიზის კანდიდატურა 1992 წელს ბარსელონის სასარგებლოდ დაიწუნეს, ხოლო 2008 წელს მას პეკინი ამჯობინეს. ამრიგად, ეს პარიზელთა მესამე ცდა იქნება.

მოკლედ

**ფეხბურთი.** ლევერკუზენის "ბაიერის" ბრაზილიელმა ლეგიონერმა ლუციომ უმძიმესი ტრავმა მიიღო და ქირურგიულ ჩარევას საჭიროებს. მას აშშ-ში გაუკეთებენ ოპერაციას. გერმანული კლუბი იძულებულია, სულ ცოტა, თებერვლის ბოლომდე, ლუციოს გარეშე ითამაშოს. სავარაუდოდ, მარტის დასაწყისში ლუციო მწყობრში ჩადგება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** დევიდ ბექჰემის ზურგს უკვე ორივე შვილის სახელი ამშვენებს. ფეხბურთელი ამბობს, რომ ამ მოვლენის აღსანიშნავად ზურგზე სპეციალურად დაიტოვა ადგილი. გუშინ ბექჰემმა ახალი სვირინგი ამოიტვიფრა - "რომეო" მისი უმცროსი შვილის სახელია. უფრო ადრე კი ბედნიერი მამის ზურგი "ბრუკლინმა" დაამშვენა. ბრუკლინი ბექჰემის პირველი ვაჟია. "მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველმა განაცხადა, რომ, დიდი სურვილი აქვს, ოთხი ან ხუთი შვილის მამა გახდეს და ყოველი მათგანის დაბადება ასე გამოხატოს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ბელორუსის "სლავიას" საუკეთესო ბომბარდირმა ალექსანდრ კლიმენკომ მიიღო ელისტის "ურალანის" წინადადება, 15-დან 27 დეკემბრამდე კვიპროსში, გუნდთან ერთად გაიაროს შეკრება. კლიმენკოსთვის "ურალანის" წინადადება უკვე მეორეა. პირველი მიიღო ოქტომბერში, როცა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ეროვნული ნაკრების გამოსვლის გამო ბელორუსის ჩემპიონატში შესვენება გამოცხადდა. თუმცა, მაშინ თავდამსხმელმა ელისტელებს უარი შეუთვალა. ახლა კი კლიმენკომ გადაწყვიტა, წინადადებას მოგვიანებით უპასუხოს.

■ ■ ■

**კალათბურთი.** შაბათს "დალას მავერიქსის" ფორვარდს ედუარდო ნახერას მარცხენა მუხლზე ართროსკოპიული ოპერაცია გაუკეთეს. ქირურგის თქმით, ნახერას, თანაგუნდელ ვან ექსელისგან განსხვავებით, მუხლის დაზიანების სრულიად სხვა ფორმა ჰქონდა. მექსიკელს აღსადგენად, დაახლოებით, 6-8 კვირა დასჭირდება. რეგულარული ჩემპიონატის 15 შეხვედრაში ნახერამ შედეგიანი თამაში აჩვენა. მატჩზე, საშუალოდ, 8,7 ქულა, 5,3 მოხსნა და 1,2 ჩაჭრა. ამჟამად "დალასის" შემადგენლობაში ნახერა ლიდერობს თამაშიდან ზუსტი ტყორცნების მაჩვენებლით - 60,2 პროცენტი. მის ადგილს გუნდში გამოცდილი უოლტ უილიამსი დაიკავებს.

■ ■ ■

**კალათბურთი.** საოპერაციო მაგიდაზე აღმოჩნდა "ნიუ-ჯერსი ნეთსის" ცენტრი დიკემბე მუტომბოც. მას ფეხი თაბაშირში აქვს ჩასმული და, როგორც ექიმები ვარაუდობენ, მომავალი წლის აპრილამდე ვერ შეძლებს თამაშს. ამის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა გუნდის გენერალურმა მენეჯერმა როდ ტორნმა. შეგახსენებთ, რომ მუტომბომ "კლიპერსთან" შეხვედრისას მიიღო ტრავმა. მანამდე კი თამაშზე, საშუალოდ, 7,3 ქულას, 7,1 მოხსნას და 2 ბლოკშოტს ახორციელებდა. მის ადგილს აარონ უილიამსი ან ჯეისონ კოლინზი დაიკავებს.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** შეიძლება ისეც მოხდეს, რომ გერმანელ რალფ შუმახერს მხოლოდ ფორმულა 1-ის ბოლიდების მართვა ანდონ. მას სიჩქარის გადაჭარბებისთვის მართვის უფლების ჩამორთმევა ემუქრება. ავსტრიის საგზაო პოლიციამ ცნობილი პილოტი მაშინ დააკავა, როცა ერთ-ერთ ტრასაზე შუმახერმა დაშვებულ ნორმას 50 კილომეტრ საათი სიჩქარით გადააჭარბა. რალფ შუმახერისთვის ეს პირველი შემთხვევა არ არის. შარშან, აპრილში, "უილიამსის" პილოტი იმავე დანაშაულისთვის დააკავეს. მაშინ მართვის უფლება ორი კვირით ჩამოართვეს.

■ ■ ■

**ველოსპორტი.** ამერიკული ჟურნალ "Sports Illustrated"-ის ვერსიით, ველომრბოლი ლენს არმსტრონგი ქვეყნის წლის საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს. 31 წლის მრბოლმა პრესტიჟული "ტურ დე ფრანსი" წლეულს მეოთხედ მოიგო. თუ არმსტრონგი შეძლებს, უახლოეს მომავალში კიდევ ერთხელ გახდეს "ტურ დე ფრანსის" ტრიუმფატორი, ის მსოფლიო ველოსპორტის ისტორიაში ერთ-ერთი ტიტულოვანი მრბოლი გახდება. დღემდე მხოლოდ ოთხმა ველომრბოლმა შეძლო "ტურის" ხუთჯერ მოგება.

■ ■ ■

**მძლეოსნობა.** ცნობილი ბრიტანელი მორბენალი პოლა რედკლიფი სამაუწყებლო კომპანია "ბი-ბი-სის" ლაურეატი გახდა. მას წლის საუკეთესო სპორტსმენის პრემია მიანიჭეს. რედკლიფის მიღწევებში აღინიშნა ჩემპიონის სამი ტიტული და ჩიკაგოს მარათონში ნაჩვენები საუკეთესო დრო. მეორე ადგილზეა ინგლისის ნაკრების კაპიტანი დევიდ ბექჰემი. პრიზები გათამაშდა სხვადასხვა ნომინაციაშიც. საუკეთესო უცხოელი სპორტსმენის პრიზი გადაეცა ბრაზილიელ რონალდოს, ხოლო საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს ლონდონის "არსენალის" დამრიგებელი არსენ ვენგერი. საუკეთესო გუნდად "ბი-ბი-სიმ" აღიარა გოლფში რაიდერის თასის გამარჯვებული ევროპის ნაკრები. საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენი კი "ევერტონის" ფორვარდი უეინ რუნი გახდა.

■ ■ ■

**ცურვა.** ფრანგმა ფრანკ ესპოზიტომ, ქვეყნის საკლუბო ჩემპიონატზე, 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში, ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა - 1.50,73. წინა მიღწევა, რომელიც 2001 წლის 1 დეკემბერს როსტოკში დაფიქსირდა, გერმანელ ტომას რუპრატს ეკუთვნის. ამ ტურნირის მსვლელობაში კიდევ ერთი, ოღონდ ამჯერად ევროპის რეკორდი დამყარდა. მისი ავტორი 200 მეტრზე ბრასით ცურვაში სტეფან პეროა. ეს დისტანცია რეკორდსმენმა - 2.07,56 წამში დაფარა და თავისივე მიღწევა 0,02 წამით გააუმჯობესა.

■ ■ ■

**ჰოკეი.** "ბუფალოსთან მატჩში მიღებული მარცხენა მუხლის ტრავმის გამო, "ნიუ-იორკ რეინჯერსის" რუსი ლეგიონერი პაველ ბურე, სულ ცოტა, ორ მატჩს გამოტოვებს. თუმცა, ამ ვერდიქტს მხოლოდ ექიმები ვარაუდობენ. ზუსტი დიაგნოზი კი ბურესთვის ჯერ არ დაუსვამთ. ამ კვირაში მას გადაუღებენ რენტგენს, რომელიც დააზუსტებს ტრავმის სიმძიმეს. ამჟამად ექიმები ელოდებიან, თუ როდის ჩაცხრება სიმსივნე. ტრავმის გამო ბურემ "ბოსტონთან" მატჩი უკვე გამოტოვა.

"რეინჯერსის" მთავარი მწვრთნელის ბრაიან ტროტიეს თქმით, ბურეს განზრახ უხეშად შეუტია კერტის ბრაუნმა, თუმცა, იგი მოედნიდანაც კი არ გააძევეს. "ჯარიმა აშკარა იყო და საოცარია, მსაჯმა ამ დარღვევაზე რატომ არ გაამახვილა ყურადღება. მით უფრო, რომ ლიგამ "ბინძურ თამაშთან" ბრძოლა გამოაცხადა", - აღშფოთდა ტროტიე. ბურემ უკვე არაერთხელ მიიღო მარჯვენა მუხლის ტრავმა. ახლახან მან მენისკის ოპერაციაც კი გადაიტანა. მარცხენა მუხლის ტრავმა კი ბურემ პირველად მიიღო.



K1 ანუკი ქვაჭაძე
ასაკი-18, 168/98/70/99, თვალი - ყავის, თმა - მუქი წაბლი



K3 თამუნა თოფურია
ასაკი-15, 181/86/63/93, თვალის-მწვანე, თმა-წაბლის



K2 თამთა ვაშაკიძე
ასაკი-15, 174/80/63/89, თვალის-თაფლის, თმა-წაბლის



K4 ანი გეგუჩაძე
ასაკი-16, 170/78/53/84, თვალის-ღია ყავის, თმა-წაბლის






K5 ანი ალექსიშვილი
ასაკი-17, 174/89/60/90, თვალის-ყავის, თმა-ღია წაბლის

თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში
20-24-24
20-00-24

Visage
ესთეტიკური
კოსმეტოლოგიის
ცენტრი "ვიზაჟი"

პირველად საქართველოსა და ამიერკავკასიაში მაღალი ტექნო-ლოგიების პროფესიულ პროგრამას "Danne Montague-King"

MATTIOLLI ENGINEERING
მიკროკრისტალურ დერმოგრაზიას "Aesthipeel"

- მეზოთერაპია
- სხეულის კორექცია არაქირურგიული, ინტელე-ქტუალური სისტემით "ЭСМА"
- ელექტრო ეპილაცია "BLEND, Flash"
- გამონაყარი, აკნე, ფერიმჭამელები, ფორიანობა, პიგმენტური ლაქები, ნაოჭები, კანის მოდუნება, ლოკალური ცხიმების დაგროვება, ცელულიტი, ორსულობის შემდგომი სტრიები, ნაწიბურები, კანის მოვლა პოსტოპერაციულ პერიოდში.

ფალიაშვილის 98, TEL 91-24-20, 25-27-02, მობილური 899-56-18-52

ქართული ფოლკლორი

თქვენი ელექტრონული ბიბლიოთეკისათვის!

# წამალი "სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.